# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 11 მარტი 2000 №45 (1067) | ფასი 50 თეთრი


საქართველოს ჩემპიონატი 2 ტური

## ჩემპიონი ზღვაზე, მეზვერავები მცხეთაში

ორ სადღეისო ზღვისპირულ წყვილს ჩემპიონატის პირველი ეტაპის რჩეული ოთხი გუნდი შეადგენს. „ა“ ზონის საუკეთესო „დინამო“ „ბ“ ზონის მეორეადგილოსან „კოლხეთს“ ფოთში სტუმრობს, „ბ“ ზონის ლიდერ „ტორპედოს“ კი „ა“ ზონის მეორე „ბათუმი“ მასპინძლობს. ჩემპიონიც სავარაუდოდ სწორედ ამ მატჩების მონაწილეებშია საძიებელი. საჩემპიონო ბრძოლაში ჩართვა შესაძლოა დღევანდელი „ვიტ ჯორჯია“ — „სიონის“ გამარჯვებულმაც მოიწადინოს. თუ „დინამოსთან“ სავარეო ფრით გულმიცემულ ვიტელებს ხასიათი ბოლნისელებმა არ წაუხდინეს, ყოფნა ხვალაც მცხეთაში მოუწევთ, სადაც თანამოძმე თსუ-საც უქომაგებენ და თასის მეოთხედფინალში მეტოქე „ლოკომოტივსაც“ დაზვერავენ.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები



გამუკა დარჩიას ფოტო

შარშანდელი „ბათუმი“ — „ტორპედო“ 2:1. მასპინძლებმა „დინამოს“ მდევარი ქუთაისელები ამ მატჩში დაამუხრუჭეს




## რა განსხვავებაა გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

- გაზეთი „სარბიელი“ თითქმის ათი წელიწადია რაც გამოდის, ჟურნალ „სარბიელს“ კი მკითხველი

ორშაბათიდან

გაეცნობა.

- გაზეთი „სარბიელი“ კვირაში ხუთჯერ მიდის მკითხველთან, ჟურნალი „სარბიელი“ თვეში ერთხელ მივა.
- გაზეთი „სარბიელი“ შავ-თეთრია, ჟურნალი „სარბიელი“ — ფერადი.
- და რა არის საერთო გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

ორივე სარბიელია

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## ფორმულა შუმახერის ავარიით დაიწყო
### თავად შუმი ამას მხიარული სტვენით შეხვდა

REUTERS მელბურნიდან



მიხაელ შუმახერის ნაავარიევი ბოლიდი

ხვალ მელბურნში, ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყება და წლის ბოლომდე გასტანს ფორმულა 1-ის რბოლათა თვალისმომჭრელი სერია. გუნდები და პილოტები მზადებას ასრულებენ და სწორედ ამ დროს კინაღამ გამაოგნებელი ამბავი მოხდა: გუშინ „ფერარის“ პირველმა პილოტმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა ტესტირებისას ბოლიდი ველარ დაიმორჩილა და ბარიერს შეეჯახა. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. შუმი სალსალამათია. ამ უსიამოვნებას თუ არ ჩავთვლით, სხვამხრივ გერმანელს შეუძლია, იმედიანად შეეგებოს კვირის რბოლას. მისმა ბოლიდმა, „F1 2000“-მა ტესტურ გარბენზე ყველას აჯობა, ამიტომ სავსებით გასაგებია, რად უსტვენდა შუმი რომელიღაც მხიარულ მელოდიას, როცა ბოქსებში დაბრუნდა. შიში და შუმახერი ხომ ერთმანეთს არ იცნობენ!

იხილე მერვე გვერდი

## 5 კიდევ დალიე?

ჯორჯ ბესტი ლონდონის კლინიკაში მოათავსეს



REUTERS მელბურნიდან

## 7 ეს ქვეყანა ანოსია

რატომ არიან ჩემპიონთა ლიგაში არაჩემპიონები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი 11 მეორე ეტაპი — 2 ტური — ანონსი

# ტორპედო, წითელი გაცვია!

## ჩემპიონი ზღვაზე, მზვერავები მცხეთაში

ლიდერი პოლიტიკაში, ლიდერი საზოგადოებაში, ლიდერი სპორტში — ლიდერი ყველას აღიზიანებს. ლიდერის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ, წერენ, ლამის მითებს თხზავენ — ყველას ამ მითის დამსხვრევა უნდა.

წითელი ფერი — ბუნებრივ ფერთა სპექტრის მეშვიდე, განაპირა ფერი — ყველაზე გამომწვევი და აგრესიულობის გამომხატველი.

ლიდერი „ტორპედო" ბათუმს ეწვია. დღეს ზღვისპირა ქალაქის სარბიელზე საფეხბურთო კორიდა შედგება. ჯერჯერობით დაუმარცხებელი, მეტოქეთა იოლად მომთვინიერებელი ქუთაისური კლუბი პირველად მეთერთმეტე ეროვნულის მიმდინარეობაში სერიოზული და უძნელესი გამოცდის წინაშე დგება.

„ბათუმი" სიბნელეში გამომწყვდეული ნაშიმშილარი ხარივით დაეძგერება „ტორპედოს". თავისუფლებას მოწყურებული, ჩრდილში ყოფნას მიუჩვეველი ზღვისპირელთა თერთმეტეული 6 თვის მანძილზე სამზეოზე გაფეტიშებული მოწინააღმდეგის ბეჭებზე დაცემას შეეცდება.

ესპანური კორიდის მაყურებელნი და დღევანდელი ტურის ცენტრალურ მატჩზე მისული ბათუმელი გულშემატკივრები როლებს გაცვლიან. „დინამოზე" მოკალათებულნი მუშტს მაღლა აღმართავენ და ქვემოთ მიმართული ცერა თითით გამაღიზიანებელი უცხო ტორეროს განგმირვას მოითხოვენ.

საპატიო სტუმრები დაესწრებიან დღევანდელ საფეხბურთო კორიდას — აჭარის წინამძღოლი ასლან აბაშიძე და სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია. ხალხი მათ თვალწინ მოითხოვს წითელი მანტია აართვან ამჟამინდელ საფეხბურთო ლიდერს, გააშიშვლონ მეფე.

წინა ეროვნულში „ბათუმმა" გააჩერა ჩემპიონობაზე დაგეშილი ჯემალ ჯერხაძის „ტორპედო". მეორე წრის მეოთხე ტურში აგემა მარცხი თბილისის „დინამოს" უახლოეს მდევარს და ქუთაისელთა სანუკვარი ოცნება შავ ზღვაში ჩაძირა...

თითქმის იგივე შემადგენლობით, ოღონდ დავით ყიფიანის თავკაცობით ესტუმრება „ტორპედო" ბათუმს. აჭარელები კი საგრძნობლად გაძლიერებულნი, იტალიელი მწვრთნელის, ჯანი კარნევალეს მიერ დაფრთიანებულნი დაუხვდებიან მრისხანე მეტოქეს.

შარშან დავით ყიფიანის „ტორპედო" ორჯერ ამხანაგურად გაეჯიბრა ჯანი კარნევალეს „ბათუმს". ორჯერვე ქუთაისელებმა იმარჯვეს.

ნოემბერში იტალიელმა თავისი აზრი გაუზიარა „სარბიელს" — „ტორპედო" „დინამოზე" ოდნავ უკეთესი გუნდია და ჩემპიონობის რეალური შანსი აქვსო. ჩემი გუნდის შემდეგო, არ დაუყოლებია სინიორ ჯანის, თუმც, როგორც მოვლენების განვითარება ცხადყოფს, კარნევალეს ქართული სკუდეტოს მოპოვება ამოუჭრია გულში. ისიც გენერლობაზე მეოცნებე ჯარისკაცია და მიზნის მიღწევისთვის საძირკველის ჩაყრის უკეთეს შანსს ვერც ინატრებს.

ამ მატჩის პროგნოზზე ბოდიში. წაგების უფლება არც ერთს არა აქვს. იქნება ბრძოლა მოედნის ყოველ მონაკვეთზე, ბრძოლა ტრიბუნებზე („ტორპედოს" ქომაგნიც ეახლებიან ბათუმს), ბრძოლა საკუთარ თავთან, ბრძოლა ღირსებისთვის, ბრძოლა იმისთვის, რისთვისაც შეიძლება და ღირს თავგანწირვა.

...და მეორე უპრინციპულესი დაპირისპირებაა ზღვისპირეთში. მარადი ჩემპიონი თავის მარად მოწინააღმდეგეს, ფოთის „კოლხეთს" ეწვევა „ფაზისზე".

„ჩემპიონი მარტში გამოვლინდება" — ამაოდ როდი უთხრა ეს სიტყვები „ბათუმის" ერთ-ერთმა მესვეურმა თამაზ ცინარიძემ „სარბიელს".

დღეს ბათუმსა და ფოთში გამოიკვეთება მეთერთმეტე ჩემპიონატის საფინიშო კონტურები. მარტის დარჩენილ დღეებში „ვიტ ჯორჯია" და „სიონიც" იტყვიან თავიანთ სათქმელს და ბევრი რამ ნათელი გახდება.

„კოლხეთი" დაჩაგრულად გრძნობს თავს. თავდამსხმელ ელდარ გვასალიას სკანდალური დისკვალიფიცირება ერთგვაროვნად აღიქვეს ფოთში — ფედერაცია ლოზუნგებით მუშაობს! კოლხები სიმართლის დამტკიცებას სტკ-ზე შეეცდებიან, სიძლიერისას კი დღეს „დინამოს" წინააღმდეგ.

ფოთში თამაში მუდამ უჭირდა მარად ჩემპიონს. კარგა ხნის შესვენების შემდეგ „დინამომ" შარშან გაზაფხულზე მოახერხა „ფაზისზე" 1:0 გამარჯვება რატი ალექსიძის გოლით. ალბათ გახსოვთ, არეულობა მოხდა იმ შეხვედრაში. იმედია, ამჯერად მსგავსი არაფერი დაფიქსირდება და მაყურებელი ღირსეულ დაპირისპირებას იხილავს.

გაუჭირდებათ მასპინძლებს შალამბერიძის, დავითნიძის, კედელაშვილისა და გვასალიას გარეშე ბურთაობა. ახლა „დინამო" ძალიან გაბრაზებულია. „ტორპედოსთან" სამი ქულით ჩამორჩენამ მოსვენება დაუკარგა ოთარ კორღალიძეს. მწვრთნელმა ლანჩხუთში სათასო მატჩი ერთი დღით გადაატანინა ფედერაციას, გუნდი ყვავილნარში დააბანაკა და ფოთს დასვენებული ესტუმრება. თუმცა ერთი დიდი პრობლემის წინაშე დგას „დინამოს" თავკაცი. გუნდის სული და გული გიორგი ანჩაბაძე შესაძლოა „ფაზისზე" არ გამოჩნდეს. „ალანიაში" გადაბარგების მოსურნე ნახევარმცველი გუშინდლამდე თბილისში იმყოფებოდა და ლანჩხუთში არ გაჰყოლია თანაგუნდელებს. ანჩაბაძის შემცვლელად დავით დათუაძე მოგვევლინება, მაგრამ ტანმორჩილ ექსსიონელს მისი მაგიერობის გაწევა, ალბათ, გაუჭირდება.

ზღვისპირელებს ტრადიციულად ევროსაგზურის დაუფლება განუზრახავთ და ზედიზედ მეორე მარცხის შემთხვევაში ოცნებას გვარიანად დაშორდებიან. ყველაფერს სათასო წილისყრაც დაემატა. გია ტყებუჩავას გაწვრთნილებს „ბათუმი" შეხვდებათ მეოთხედფინალში და თასის გათამაშებაზე გამავალ საუეფო გზაზე ციცაბო აღმართი გამოუჩნდათ. ასე რომ, „კოლხეთს" არჩევანის საშუალება ფაქტობრივად არ აქვს.

ყოველივეს გათვალისწინებით, „ფაზისზე" უპრინციპულესი დაპირისპირება იქნება. სასწორი კი სტუმართა მხარისკენ იხრება.

„ა" ზონის სატურნირო ცხრილის მეზობლები და კოლორიტული გუნდები — „სიონი" და „ვიტ ჯორჯია" მცხეთაში იპაექრებენ. ფავორიტებად მასპინძელი ვიტელები ითვლებიან და ისიანის გარეშე დარჩენილ ბოლნისელთა პროგრამა-მაქსიმუმი უთუოდ ქულის აღება იქნება. „ვიტ ჯორჯია" აღმავლობას განიცდის და შინაური კედლების გუნდად მონათლულ „სიონს" მცხეთაში მინიმალური შანსი აქვს.

მოგებათა გრაფაში „იბერიას" კარგა ხანს ეწერება ნულიანი, თუ დღეს ვერ შეძლო უდარდელი „დილას" დამარცხება. არაა გამორიცხული, გორელებმა აქცენტი სათასო გათამაშებაზე გადაიტანონ და შარშანწინდელივით „დინამოსთან" დაპირისპირებაში სცადონ შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის ბრძოლა. ქართლელების ხასიათიდან გამომდინარე, ამგვარი მსჯელობა ლოგიკას მოკლებული არაა. „დილას" ორი მატჩის ჯამში უფრო მეტის მიღწევა ურჩევნია და ძალუძს, ვიდრე სამთვიანი სამეორეტაპო მარათონისას.

აქედან გამომდინარე, სამტრედიაში მასპინძელთა წარმატებას, უფრო კი არწაგებას უნდა ველოდოთ, რადგან არ გვავიწყდება, რომ „იბერიამ" ფაქტობრივად მოუმზადებელმა განაახლა სეზონი.

„ბ" ზონაში მასპინძელთაგან ყველაზე დიდი შანსი ალბათ მაინც „გორდას" აქვს. რუსთაველებმა „ბათუმის" წინააღმდეგ საკმაოდ ნორმალური ფეხბურთი აჩვენეს და ძმები კილასონიებით გაძლიერებულნი ჯერჯერობით შეუთამაშებელ „თბილისთან" აშკარა ფავორიტებად ითვლებიან.

„სამგურალი" — „მერანი" და „ხობი" — „არსენალის" წყვილებში სტუმარ-მასპინძელს წარმატების თანაბარი შანსი აქვთ.

წყალტუბოელები არასტაბილურობით გამოირჩევიან. იასონ ბზიკაძეს ახალწვეულები ბლომად ჰყავს და გუნდის ბირთვის ჩამოყალიბებისთვის დრო სჭირდება. ავჭალელებმა კი პირველ ტურში საგარეო სამი ქულა აიღეს და ახალ პრეზიდენტს დავით ფურცელაძეს კარგი დებიუტი დაუბედეს. სერგო გაბელაია იმერეთშიც შეეცდება დაამტკიცოს, რომ „ეროვნულზე" „თბილისის" ძლევა მხოლოდ შემთხვევის და კინკილა პენალტის წყალობით არ მოახერხა.

სტადიონდისკვალიფიცირებული ხობელები სენაკში დაუხვდებიან „არსენალს". ამ მატჩში შედგება ჯონი ჯანელიძის, როგორც არმიელთა სარდლის, დებიუტი. ქართულ ფეხბურთში ჭიპმოჭრილ მწვრთნელს ნეიტრალურ მოედანზე ელის გამოცდა. ჯანელიძეს დიდი სურვილი აქვს, ყველას დაანახოს, რომ მისი სამოყვარულო დონეზე ჩამოქვეითება უმართებულო იყო და უმაღლესი ლიგის გუნდების გაწვრთნას დაჩვეული თავკაცი კლუბების მეპატრონეებმა ნაადრევად ჩამოწერეს. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

თსუ—„ლოკომოტივის" შეხვედრას დაზვერვა არ ასცდება. სტუმართა თამაშს მასპინძელთა ამხანაგი „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელობა დაესწრება. რკინიგზელები და ვიტელები სათასო მეოთხედფინალში დაწყვილდნენ და სერგო კოტრიკაძე „ლოკომოტივის" შესასწავლად უკეთეს დროს ვერც ინატრებდა. თავის მხრივ რევაზ ძოძუაშვილიც იგივეს გააკეთებს ერთი დღით ადრე — „ვიტ ჯორჯია"—„სიონის" მცხეთურ მატჩზე. ასე რომ, „არმაზს" ამ უქმეებზე მზვერავები მოუმრავლდება.

სათასო ბატალიები თსუ-ს ნაკლებად აინტერესებს და „ლოკომოტივის" წინააღმდეგ ძალებს არ დაზოგავს. აი, ძოძუაშვილი კი შეიძლება რაღაცის დამალვას შეეცადოს და ამიტომაც ამ მატჩის პროგნოზირება საძნელოა.

ისე, პროგნოზები მეტად საჩოთირო საქმეა. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ უეფას თასის გათამაშებას ხუთშაბათ ღამეს სამივე (მეოთხე ორი დღით ადრე გავარდა) იტალიური გუნდი ჩამოსცილდებოდა...

მაშ ასე, დღეს ზღვისპირეთში ორი პრინციპული მატჩია. მეწყვილეთაგან სამს „ტორპედოს", „დინამოს" და „ბათუმს" ჩემპიონობის მისაღწევად დაახლოებით თანაბარი შანსები აქვთ. ნეტა იმათ, ვინც ამ შეხვედრებს ტრიბუნებიდან ადევნებს თვალს და ნეტა იმას, ვისაც შავი ზღვის კალთები იმ ქულებს დააბერტყავს, რომელიც შეიძლება ჩემპიონობის საწინდარი გახდეს.

**ხვიჩა სანიკიძე**



დავით ყიფიანისა და ჯანი კარნევალეს გუნდები ოფიციალურ მატჩში პირველად შეხვდებიან

| «ა» ზონა | | | | | | | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 21 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 18 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 | ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 16 | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 | სიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 14 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 13 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 6 | კოლხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 13 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 7 | დილა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 8 | იბერია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | -6 | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | -6 | 0 |

| «ბ» ზონა | | | | | | | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 12 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 | თსუ | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 11 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 11 | მერანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 11 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 12 | გორდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 13 | თბილისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 7 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 | სამგურალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 15 | არსენალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 16 | ხობი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 14 | იონანიძე | ტორპედო |
| 12 | აშვეთია | დინამო |
| | ალექსიძე | დინამო |
| 9 | ქებაძე | ლოკომოტივი |
| 8 | გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| 7 | მეგრელაძე | ტორპედო |
| 6 | ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| | ვ. კილასონია | გორდა |
| | რუსია | ლოკომოტივი |
| | ა. მუჯირი | ბათუმი |
| | ხორგუაშვილი | დილა |

საქართველოს ჩემპიონატი 11 მეორე ეტაპი — **2 ტური** ჯგუფსი

# «ა» ზონა

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე“. 11 მარტი. 15 საათი

## იბერია — დილა

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ლ. ყიფიანი
დისკვალიფიცირებულნი: ხურციძე (იბერია)

ბათუმი. „დინამო“. 11 მარტი. 15 საათი

## ბათუმი — ტორპედო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

ფოთი. „ფაზისი“. 11 მარტი. 15 საათი

## კოლხეთი — დინამო

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: შალამბერიძე, გვასალია, დავითნიძე, კედელაშვილი (კოლხეთი)

მცხეთა. „არმაზი“. 11 მარტი. 15 საათი

## ვიტ ჯორჯია — სიონი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ა. შილაკაძე (თბილისი), ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ს. კახიანი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებულნი: ისიანი (სიონი)

# «ბ» ზონა

მცხეთა. „არმაზი“. 12 მარტი. 15 საათი

## თსუ — ლოკომოტივი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

რუსთავი. „ფოლადი“. 12 მარტი. 15 საათი

## გორდა — თბილისი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

წყალტუბო. „26 მაისი“. 12 მარტი. 15 საათი

## სამგურალი — მერანი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ჭიათურა); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

სენაკი. „ეგრისი“. 12 მარტი. 15 საათი

## ხობი — არსენალი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი(ორივე ქუთაისი), ნ. რუსიშვილი (ჭიათურა); კ. გაბრიაძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე
დისკვალიფიცირებულნი: ბულუხია (ხობი), ხმალაძე (არსენალი)




*ქართული ფეხბურთის გულშემატკივარნი ისევე არიან საფეხბურთო ლიტერატურას მოწყურებულნი, როგორც ჩვენი გუნდების გამარჯვებებს. თუმცა ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისიც მოიძებნება-ხოლმე. ერთი მათგანი ზურაბ თედორაძის ცნობარია, რომელიც თბილისის „დინამოს“ საბჭოურ ხანას დეტალურად ასახავს. ყველა ფეხბურთელი, ვისაც კი „დინამოს“ ძირითადი გუნდის მაისურა მოურგია, აქ შეგიძლიათ იპოვოთ.*

ორი შენიშვნაც: კახი ასათიანმა 1969 წლის ჩემპიონატის 31 თამაშში ოთხჯერ გაიტანა, გარეკანის მესამე გვერდზე დაბეჭდილი ფოტოს წარწერაში კი მარცხნიდან მარჯვნივის ნაცვლად პირიქით უნდა ეწეროს.

# დასავლეთ-აღმოსავლეთი: პარიტეტულ საწყისებზე

ქვეყანა რომ დაინგრეს, ცა ფეხად ჩამოვიდეს და მიწა სამყაროს სახურავად ექცეს, შარშანდელი საქართველოს თასის ფინალი არ განმეორდება — ეს განაჩენი საბოლოოა და არავითარ კასაციას არ ექვემდებარება.

მიზეზი? საკმაოდ უბრალოა და ადვილადაც ასახსნელი — თასის ფინალის შარშანდელი მონაწილეები, ქუთაისის „ტორპედო“ და წყალტუბოს „სამგურალი“, მეოთხედფინალში დაეჯახნენ ერთმანეთს. ვერაფერს იტყვი, საინტერესო წყვილია და საფეხბურთო იმერეთს შეუძლია, ერთი რამითაც დაიარხეინოს თავი — ნახევარფინალში ერთი იმერული გუნდი უთუოდ ითამაშებს.

ამ შესავლის შემდეგ კი გუშინ სფფ-ში დატრიალებული ამბებისა და ლოტოტრონის შესახებ დაწვრილებით — სფფ-ს მესვეურებმა და თასის მეოთხეფინალის მონაწილე გუნდთა წარმომადგენლებმა ერთხელაც დაატრიალეს ზემოხსენებული მადლიანი ხელსაწყო და მავანის ხელმა შემდეგი გუნდები შეუწყვილა ერთმანეთს:

„სამგურალი“ — „ტორპედო“
„ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“
„ბათუმი“ — „კოლხეთი“
„დინამო“ — „დილა“

საინტერესოა, რომ წლევანდელმა თასის გათამაშებამ კიდევ ერთი ნაცნობი წყვილი „დინამო“ — „დილა“ შეახვედრა. გეხსომებათ, მერვე გათამაშებაში სწორედ ამ კლუბებმა ითამაშეს ნახევარფინალური მატჩები და ყველა პროგნოზის საპირისპიროდ, გორელებმა გვარიანად შეაჯანჯღარეს მარადი ჩემპიონი (თბილისური მატჩი „დილამ“ 2:1 მოიგო და „დინამომ“ მხოლოდ სტუმრად 3:1 გამარჯვების ხარჯზე მოიპოვა ფინალის საგზური).

ნახევარფინალში სულ მცირე ერთი გუნდით წარდგება საფეხბურთო თბილისიც. „ვიტ ჯორჯია“ „ლოკომოტივს“ შეუწყვილდა და უეჭველია, საინტერესო მატჩიც გველის.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სტატუს-ქვო „ბათუმი“ — „კოლხეთის“ დაპირისპირებამ დაიცვა. ისე, მართლაც საინტერესო შემთხვევაა — მეოთხედფინალში ოთხი ლიხსიქეთელი და ამდენივე ლიხსაქეთური გუნდი მიიღებს მონაწილეობას, შესაბამისად, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ორ-ორი მატჩის მასპინძლობა მოუწევს და ნახევარფინალშიც რიკოთის გადმა-გამოღმიდან ორ-ორი გუნდი ითამაშებს.


შარშანდელი თასის ფინალი — ტორპედოელი ვახტანგ თურმანიძე (№18) წყალტუბოელ გია კილასონიას გასცდა

რაც შეეხება მატჩების ჩატარების თარიღებს, შეხვედრები 15-22 მარტს გაიმართება. თავდაპირველად მეტოქეს სწორედ პირველად დასახელებული გუნდები უმასპინძლებენ.

ორიოდე სიტყვით შეხვედრების არბიტრთა შესახებ — მეოთხედფინალის მონაწილე გუნდების წარმომადგენელთა თხოვნით, მსაჯების ვინაობა მატჩებამდე ორი დღით ადრე მოეფინება სამზეოს, რაზეც სფფ-ს საშეჯიბრო და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტები დიდისულოვნად დათანხმდნენ.

მაშ ასე, 15 მარტის საფეხბურთო საქართველოს რუკაზე ოთხი ქალაქი ციმციმებს — ბათუმი, წყალტუბო, მცხეთა და თბილისი.

ლუკა თალაკვაძე

# მორბენალი მსაჯებისგან რეკორდს ელიან

მსაჯ-ინსპექტორთა კომიტეტის ნაყოფიერ მუშაობაზე ადრეც ვწერდით. ძნელია, ამ ეტაპზე მსაჯებს მონდომება არ დაუფასო კაცმა, წყნარად, მუხლჩაუხრელად შრომობენ შავოსნები. აგერ ორიოდე დღის წინ ანატოლი მილჩენკომ თბილისში რეგიონალურ ლიგაში მომსახურე უკლებლივ ყველა არბიტრი იახლა და გაძლიერებულ საწვრთნელ პროცესზეც გადაიყვანა. გეხსომებათ, ანალოგიურად პირველლიგელებიც მოემზადნენ. მაშინ შავოსნები იმავდროულად გამოცდასაც აბარებდნენ. ასეა ამჯერადაც გუშინ პირველადი ტესტირების ჯერი იყო, მილჩენკომ შეგირდები ძირითადად შორეულ დისტანციაზე სირბილში გამოსცადა. რეგიონალლიგელთაგან მხოლოდ ქართლელი თამაზ ჩაგელიშვილი და თბილისელი ნუგზარ კილაძე ჩაიჭრნენ, მაგრამ საგანგაშო არაფერია, ორივე მათგანს 17 მარტს, გენერალური ტესტირებისას გადაბარების საშუალება მიეცემა.

მათგან კი, ვინც გამოცდა წარმატებით ჩააბარა, ორი ახალგაზრდა მსაჯი გამოირჩა. ტყიბულელმა უკლებამ 12 წუთში 3180 მეტრი დაფარა, იგივე დროში 80 მეტრით ჩამორჩა მას ბორჯომელი ემირ გოგოლაძე. ამით ერთობ კარგ ხასიათზე დააყენეს ანატოლი მილჩენკო, თანაც ხელმძღვანელს დაპირდნენ, გენერალური ტესტირებისას 3300 მეტრსაც გავირბენთო. მსგავსი დისტანცია 12 წუთში მსაჯთაგან ჩვენში დღემდე არავის დაუძლევია. მოკლედ, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი რეკორდს ელის.

რაც შეეხება გენერალურ ტესტირებას, იგი 17 მარტს მოეწყობა (სავარაუდოდ ეროვნულ სტადიონზე) და მსაჯებს დიდი ყურადღება მართებთ, რადგან მათ მიე[illegible]ვენებ შედეგებს სფფ უეფას გადაუგზავნის.

გეხსომებათ, პირველი ლიგის მსაჯთაგან სამს — ოთარ გუნთაძეს, ალექსანდრე შილაკაძეს და მერაბ მალაღურაძეს გამოცდა ჯერაც არ ჩაებარებინათ. მალაღურაძემ გუშინ შეძლო ამ ბარიერის დაძლევა. შილაკაძე და გუნთაძე კი 17 მარტისთვის ცდიან ბედს.

რეგიონალლიგელი მსაჯების შეკრება 18 მარტს დასრულდება, ამ დღეს მათ შესაბამისი ლიცენზიებიც დაურიგდებათ.

პაატა ქვანტალიანი


მერაბ მალაღურაძე: ყველაფერი რიგზეა

# ფიფა ქართველებს ალოდინებს, საქართველო კი საბერძნეთს


ბადრი ქეთილაძის ფოტო
ნაკრებს მიღმა დარჩენილები: გოგა გახოკიძე (მარჯვნივ) და გელა შეყილაძე

უკვე გაცნობეთ იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი შემოდგომამდე, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე, უახლოეს ამხანაგურ მატჩს ისრაელის ნაკრებთან 29 მარტს სტუმრად ჩაატარებს. გარდა ამისა, ჩვენებურები ზაფხულში აზერბაიჯანსა და ესტონეთშიც ითამაშებენ. ეს რაც გადაწყვეტილია. ჯერჯერობით კი დაუდგენელია საქართველოს ნაკრების ბელარუსებთან სტუმრობისა და ბერძნების მასპინძლობის თარიღები. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ერთი თვის განმავლობაში საბერძნეთიდან უკვე მესამედ გამოაგზავნეს ფაქსი. ისინი ამხანაგურ თამაშზე თანახმანი არიან, იწერებიან, გადაწყვიტეთ და უახლოეს დღეებში გვაცნობეთ, როდის ჩამოვიდეთო. ჩვენებურები თავს იკავებენ, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების კალენდარი არ გვეცოდინება, იქამდე ზუსტად ვერ გიპასუხებთო. მსგავსი მიმოწერა მიმდინარეობს ბელარუსებთანაც. ამ გუნდებთან შეხვედრის დრო, სავარაუდოდ, აპრილის დამდეგს გაირკვა.

13 მარტს ფიფა, ალბათ, მერვე შესარჩევი ჯგუფის ესოდენ ნანატრ კალენდარსაც დაამტკიცებს და ნაკრების მწვრთნელებიც თამაშების ჩატარებისთვის სასურველ დღეს გამონახავენ.

იქამდე კი რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი ებრაელებთან მატჩზე ფიქრობენ. მათ ის ფეხბურთელებიც დაუგულებიათ, რომელთაგანაც თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე თვრამეტს შეარჩევენ. აქაურებს 28 მარტს სტამბოლის გავლით თელ-ავივს ასტუმრებენ, ლეგიონერები კი პირდაპირ ისრაელს ჩავლენ.

კვიპროსის ტურნირში ნათამაშევთაგან მწვრთნელებმა ამჯერად ზოგიერთი მოთამაშე არ გამოიძახეს.

ძოძუაშვილ-ყიფიანის არჩევანი ასეთია:

*მეკარეები: სოსო გრიშიკაშვილი, დავით გვარამაძე; მცველები: ოთარ ხიზანეიშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ჩიხრაძე, გივი დიდავა, რევაზ ქემოკლიძე, ვაჟა თარხნიშვილი, კახა კალაძე, ლევან სილაგაძე; ნახევარმცველები: გიორგი ნემსაძე, ლევან კობიაშვილი, თენგიზ სიჭინავა, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, ზურაბ მენთეშაშვილი, გოჩა ჯამარაული, რატი ალექსიძე; თავდამსხმელები: გიორგი დემეტრაძე, არჩილ არველაძე, ზაზა ჯანაშია, მიხეილ აშვეთია, მიხეილ ყაველაშვილი.*

გამორიცხული არ არის, ნაკრების მწვრთნელებმა საჭიროების შემთხვევაში თბილისის დინამოელი არჩილ სახვაძე, ბათუმელი ნიკა ტოგონიძე, „სკონტოს" თავდამსხმელი დავით ჩალაძე, ერთი ან ორი ქუთაისის ტორპედოელიც მიიწვიონ. თუ 29-მდე შოთა არველაძემ სათანადო სათამაშო ფორმა აღიდგინა, მას კი ნამდვილად დაუძახებენ.

ძოძუაშვილმა და ყიფიანმა არ უხმეს გელა შეყილაძესა და გოგა გახოკიძეს, მათ სხვა ფეხბურთელები ამჯობინეს. გივი კვარაცხელია და მერაბ ძოძუაშვილი, რომლებიც ნაკრებს კვიპროსზე ახლდნენ, ახლა ახალგაზრდულ გუნდში არიან გამოძახებულნი და საფრანგეთში დაგეგმილ ტურნირში ითამაშებენ.

მწვრთნელთათვის სასურველი რომელიმე ფეხბურთელი ისრაელთან მატჩამდე თუ არ დაშავდა, ჩვენებურები უძლიერეს შემადგენლობას მოუყრიან თავს. 29 მარტი უეფას მიერ ამხანაგური თამაშებისთვის დადგენილი დღეა და არც ერთ კლუბს არა აქვს უფლება, ფეხბურთელი ნაკრებში არ გაუშვას. ჩვენებურები ებრაელებთან მატჩისთვის მზადებას, ალბათ, 26 მარტს, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დაიწყებენ.

**კოკა ინასარიძე**

# ლოდინის ხანა სრულდება

ექსარსენალელი ირაკლი გემეზაშვილის რუსულ „ურალანში" გადაბარგება ფეხბურთელისთვის ძალიან უიღბლო ნაბიჯი გამოდგა. ელისტურ კლუბში მწვრთნელის გამოცვლას ჩვენებურის უსამართლოდ ათვალწუნება მოჰყვა. ყალმუხებმა კონტრაქტი დაარღვიეს და გემეზაშვილის ყოფილი ქართული გუნდის — თბილისის „არსენალის" მოთხოვნით სასამართლოს კარამდე მივიდნენ. მსაჯულმა „ურალანის" მხარე ხელშეკრულების პუნქტთა დაუცველობაში ამხილა და საკომპენსაციო თანხის, 30 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. ელისტელებმა ფული კი გადაიხადეს, მაგრამ გემეზაშვილის საქმეს არაფერი ეშველა. პირიქით, „ურალანის" დაჯარიმებამ ჩვენებურის კლუბთან გაფორმებული ორწლიანი კონტრაქტი აამოქმედა, რამაც გემეზაშვილის კარიერას ჯერჯერობით ზიანის მეტი არაფერი მოუტანა.

ზამთარში თითქოს ყინულმა გალღობა იწყო. ჩვენებურით რუსეთის პირველი დივიზიონის შარშანდელი გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი, სარატოვის „სოკოლი" დაინტერესდა. ირაკლიმაც დაუყოვნებლივ მიაშურა ქართველი პრეზიდენტის, რომან ფიფიას კლუბს, სადაც კიდევ ორი ჩვენებური — გიზო ჯელაძე და მიხეილ ჯიშკარიანი დაუხვდა.

გემეზაშვილმა „სოკოლთან" ერთად თითქმის ყველა საკონტროლო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მწვრთნელი ალექსანდრ კარისკოვიც კმაყოფილი იყო მისი თამაშით. ირაკლის მარცხენა ნახევარმცველად ამწესებდნენ. იგი ამპლუით მცველია, თუმც როგორც გუშინდელ სატელეფონო საუბარში გვითხრა, არ გასჭირვებია ახალ პოზიციაზე თამაში.

გემეზაშვილი ახლა თბილისშია. სამწუხაროდ, იგი კვლავ უთამაშებელია და მხოლოდ ინდივიდუალურად განაგრძობს ვარჯიშს. როგორც ჩანს, „ურალანმა" ჩვენებურის სანაცვლოდ საკმაოდ სოლიდური თანხა მოითხოვა და სარატოველებმა ვერ შეძლეს მისი გადახდა.

— მოლაპარაკებები კვლავაც მიმდინარეობს. „სოკოლიდანაც" თითქმის ყოველდღე მეხმიანებიან და ვნახოთ, რა იქნება. ისე, არ გამოვრიცხავ, რომ ამასობაში ჩემმა აგენტმა იგორ ზავგაროდნიმ სხვა ვარიანტიც მალე გამომიძებნოს. ლაპარაკია რუსეთის პირველი დივიზიონის ერთ-ერთ ბინადარზე — გვითხრა გემეზაშვილმა და დანანებით დაამატა — თითქმის წელიწადი გავიდა, არ მითამაშია და ერთი სული მაქვს, მოედანზე როდის გავალო.

„სოკოლის" ქართველ წევრებზე როცა დავეკითხეთ, გვიპასუხა, გიზო ჯელაძე გივი ნოდიასთან წავიდა სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივში", ჯიშკარიანი კი სარატოველთა კაპიტანია და მას ძნელად შეელევიანო.

ყველაფრის მიუხედავად, ირაკლი ოპტიმისტურადაა განწყობილი. მარტის ბოლომდე რუსეთში ჩემპიონატი არ იწყება და თუ რამ სასწაული არ მოხდა, იგი პირველი დივიზიონის რომელიმე გუნდში ჩაირიცხება.

**ხვიჩა სანიკიძე**


ბადრი ქეთილაძის ფოტო

# სკანდალი და ტრავმა

## ასლანაძე თავიდან იწყებს

შარშან, ნოემბერში, „ლოკომოტივ" — „დინამოს" გახმაურებულ, სკანდალურ მატჩში რკინიგზელთა კარის დაცვა დავით ასლანაძეს მხრის მძიმე ტრავმად დაუჯდა — დინამოელ გიორგი შენგელიას ისე შეასკდა, ქირურგების დახმარებაც კი დასჭირდა. ასლანაძემ მხრის ოპერაცია გაიკეთა და დღემდე უსაქმოდ დარჩა, თითქმის ოთხი თვე.

გუშინ კი თბილისის „ლოკომოტივის" მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა, დავით ასლანაძე ერთ-ორ დღეში განაახლებს გუნდთან ერთად ვარჯიშსო. თავად მეკარე კი ოპტიმისტურად უყურებს მომავალს — „მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად „ლოკომოტივს" ორი კარგი მეკარე ჰყავს, ჩემს ადგილს მაინც ვიპოვი, იმედი მაქვს, ისევ ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებ."

**კოკა ინასარიძე**



# დიალოგი აქტუალურ თემაზე

რაშია საქმე, ძმიშვილო, იცი? ყველა კაცს დაბადებიდანვე თავისი წერა დაჰყვება, თავისი შარმი და ხიბლი. ამასწინათ ერთმა გათანამედროვებულმა ნაცნობმა მითხრა, სხვანაირად აურა ჰქვიებია ამას. ჰოდა, ამ ხიბლია თუ რაღაცა, ერთიანად შეუძლია ადამიანის ცხოვრების შეცვლა — ასე ვფიქრობ მე.

მაგ ჩვენი ბიჭის ცხოვრებასაც ბედისწერა განსაზღვრავს ულაპარაკოდ. ფეხბურთი ჩვენში ბევრს უთამაშია, კაი, ლამაზი ფეხბურთიც, მაგრამ ისეთი რაღაცეები, რაც მაგის კარიერაში მოხდა, სხვებს არ გადახდენიათ — ეტყობა ბედისწერაა ეგაც.

არა, არა, ისე ნუ გაიგებ, თითქოს წინასწარ გათვლილია ყველაფერი და ადამიანი რობოტივით ასრულებს ცაში გადანაწყვეტს, ეს პირველი და ბოლო წერტილი გვაქვს მონიშნული, ალაგ-ალაგ გაჩერებებიც, თორემ ცხოვრების გზას ჩვენი კურსით მივყვებით და რომელ მხარეს ავირჩევთ — მარცხენას, მარჯვენას თუ შუას, ჩვენივე გონება წყვეტს ღმერთის და სხვა კაცის ჩაურევლად.

ამიტომ იყო, „სიტიდან" წამოსვლა რომ გააჭიანურა და იმ ჩაჩანაკ გუნდს ლამის სამარეში ჩაჰყვა, ბედისწერა და ყისმათი ერია მაგაშიც. მარტო პოპულარობაზე და ტაშის სიყვარულზე არ არის საქმე, ძმიშვილო. ფეხბურთელმა ფეხბურთით შეიძლება მთელი ცხოვრება იცხოვროს, მაგრამ სათამაშოდ ათიოდე წელი აქვს გამოყოფილი და ნიჭიერი კაცი რომ თავის შესაძლებლობებს უადგილო ადგილას გაფლანგავს, ამაზე ცუდი რა უნდა იყოს?

მაგ კითხვაზე პასუხის გაცემა მე კი არა, თვითონაც გაუჭირდეს ეგება — რა ვიცი, ვინ და რამ შეუბორკა ხელ-ფეხი, ღმერთის ხელი ერია შიგ თუ კაცის, მაგრამ ერთი-ორი წელი ნამდვილად დაეკარგა მაგ ბიჭს და ის დაკარგული ორი წელი რომ ცხოვრების მესამედს უდრის პროფესიონალი ფეხბურთელისთვის, ის მეც ვიცი, შენც და ტრიფონიამაც.

ასე იყო თუ ისე, გამოსწორდა საქმე რომ ვუყურებ და, მაგ „დერბის" გამჩენ-გამკეთებელს ენაცვალოს ჩემი თავი. ნიჭიერი კაცი დასაკარგავად სხვისი არ მემეტება და ჩემსას რა გამამეტებინებს — აგოროს ბურთი, იცეკვოს მისებურად მინდორზე, არიგოს პასები, აგერ ჰა, გოლიც შეაგდო და მეტი რა უნდათ ინგლისელებს, ფეხბურთის და ფეხბურთელის დაფასებაში ტყუილად ნურავინ შეეჯიბრება მაგათ.

ფეხბურთი, ბიძიკო, ქომაგსაც ისე აფუჭებს, როგორც ფეხბურთელს. ხო, ხო, ვარსკვლავურ ხუშტურებზე მაქვს ლაპარაკი. რაც მეტს აქებენ და აღიდებენ ფეხბურთელს, მით მალე აიყრის-ხოლმე ფეხბურთზე გულს და დღე-ღამეში ოცდაოთხი საათი იმას ფიქრობს, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. დაახლოებით ასეა გულშემატკივარიც — რაც მეტს უყურებს კარგ და ლამაზ ბურთაობას, მით მეტად უვარდება თავში და ოდნავ დაბალი დონის ფეხბურთის ცქერა რომ მოუწიოს მერე, თავს მოიკლავს და ცალი თვალითაც არ შეხედავს იმას. ალალად ვთქვათ შენც და მეც, ბურთის ყურების მეტი რა გვიკეთებია და ახლა, ამ ჩემპიონთა ლიგაზე მიჩვეულები, ჩვენებურ ფეხბურთს ძველებური ხალისით ვუყურებთ? არა, ხომ? ჰოდა, მეც მაქა ვარ. ჩვენ სხვანაირი წყობის ხალხი ვართ, ბაბა, არ შეგვიძლია საკუთარი გუნდი აგებდეს და სიმღერა შემოვძახოთ, მაგ მარტო ერთხელ შევძელით და ისიც „პირველ მერცხალში". გულშემატკივრობას აკადემიის დამთავრება არ უნდა და თუ კაცს ფეხბურთი მართლა უყვარს, მართლა ქომაგია, ის აკადემიკოსიცაა და პროფესიონალიც — არ უნდა ამას დიდი ლარი და ხაზი. შენი რომ გიყვარს, სხვისას რომ გირჩევნია და შენიანის წაგების დროს სიცილზე წინ ტირილს იწყებ, ისაა ქომაგობა — ასე ვფიქრობ მე. ამებურდა აზრები, ვატყობ, მაგრამ აგიხსნი ახლავე ყველაფერს — სხვების ათასს და ლამაზს, ჩემი ერთი მირჩევნია მე და რამდენი გოლიც არ უნდა გაიტანოს რივალდომ ან ვერონმა ტერფით, ჭვინტით, ქუსლით, ცხვირით თუ კუდუსუნის ძვლით, ჩემიანის ერთი გატანილი უფრო მახარებს მე.

ამიტომ იყო, ქუდი ჭერს ვკარი, როცა „უიმბლდონთან" ჩვენმა ბიჭმა გაიტანა. მერე რა, რომ გოლი არც მთლად გადასარევი იყო, მთავარი ტაბლოა და შედეგი, ძმიშვილო, და კაი შედეგის გაკეთებას შენიანს რომ დააბრალებენ, ჯობია ამას რამე ვითომ?

სხვა ბევრი სასიკეთოც მოჰყვება ამ ყველაფერს. ყველა კაცი ელჩია თავის ოჯახის და ქვეყნისაო, ხომ გაგიგია?! ჰოდა, როცა უცხო შენიანის სიკეთეს შეხედავს, იმის ხათრით შენც დაგაფასებს, იფიქრებს, ესენი კაი ვინმეები ყოფილანო და იმ ერთმა მერცხალმა შეიძლება გაზაფხულიც მოიყვანოს, რავა, არ მომხდარა ასე თუ?!

ერთ გატანილს კი მეორეც მოჰყვება, ერთ კაი პასს ათი, ავი და ბოროტიც წარსულს დარჩება და როცა ფეხბურთელი ტაშის გემოს გაიხსენებს, ქომაგისგან დაფასება გაუტკბება, შინაურ საქმეებსაც მიხედავს მერე და ეგება ამ ჩვენს ნაკრებსაც ეშველოს რამე, აბუჩად აგდებას რომ უპირებს ყველა.

მიხარია, ნამდვილად მიხარია, სასიკეთოდ და წალმა რომ მიუბრუნდა მაგ ბიჭს საქმე. მაგის შემხედვარე სხვებიც დაიკაპიწებენ ხელებს და ხელჩაქნეული ხალხიც გაგვიიშვიათდება უთუოდ, რამდენი ქართველი ფეხბურთელი გაიზარდოს მაგ ბიჭის მაგალითზე, იმდენი სიხარული შენც და მეც.

**კონსტანტინე გოგიშვილი**





ჯორჯ ბესტი

# რეკლამის მავნებლობის შესახებ

ბრიტანული ფეხბურთის ლეგენდა ჯორჯ ბესტი პარასკევს ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში მოათავსეს. ვინც ბესტის ცხოვრებას იცნობს, მიხვდება, რომ ჩრდილოირლანდიელი სამედიცინო დაწესებულებაში ალკოჰოლის სიყვარულმა მიიყვანა.

ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ ბესტისთვის ექიმებს უთქვამთ, ლოთობა ბოლოს მოგიღებს და გამოფხიზლდიო, მაგრამ, როგორც ქართული ანდაზა ამბობს, შეაყარე კედელს ცერცვი...

ინგლისელი ტაბლოიდები კლინიკას მიაწყდნენ, ეგებ, რამე სენსაციური მასალა ვიგდოთ ხელთო. ამაოდ დაშვრნენ. როგორც ბესტის თანაშემწე ფილიპ ჰუგსმა განაცხადა, ყოფილი ვარსკვლავი თავს უკვე კარგად გრძნობს და ტელევიზორის ცქერით ერთობა. იგივე თქვა ფეხბურთელის სიდედრმა შერილ პიუზიმ: „ჩემს სიძეს მუცელი წამოსტკივდა. ექიმებმა ანალიზები აუღეს და საგანგაშო არაფერია".

დაბოლოს, ერთი საინტერესო ფაქტიც. ერთხელ სატელევიზიო შოუში ბესტს ჰკითხეს, როგორ დაეჩვიე სპირტიან სასმელებსო. ჩვენმა გმირმა მიამიტად უპასუხა: „კანადაში პირველად რომ ჩავედი, უზარმაზარი სარეკლამო აბრა დავინახე, რომელიც იუწყებოდა: „დალიეთ კანადური ვისკი". ჰოდა, მეც დავლიე".

**გიორგი დარჯანია**

# მათ დაფარული აინტერესებთ

ფიფას ინსპექტორები სამხრეთ აფრიკას აფრთხილებენ, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის შესახებ შეტანილ განაცხადში აღწერილი პირობები არ აკმაყოფილებთ და უფრო ღრმად აპირებენ ჩხრეკას. ამასთან დაკავშირებით საინსპექციო ჯგუფის თავმჯდომარე, ამერიკელი ვექილი ალან როტენბერგი ამბობს:

„სამხრეთ აფრიკელთა მოხსენება ისე კარგადაა შედგენილი, რომ შემიძლია განვაცხადო: ახეთი სასიამოვნო რამ არასდროს წამიკითხავს, მაგრამ ჩვენ დოკუმენტს მიღმა ამბები გვაინტერესებს. გვინდა ვიცოდეთ ადგილობრივთა მონადინებისა და ინტერესის ამბები. საქმე ის გახლავთ, რომ თუ ხელისუფლებაში ყველა არ მოინდომებს, ასეთი დიდი შეჯიბრების ღირსეულად ჩატარება შეუძლებელი გახდება. საჭიროა, როგორც რეგიონალურ ასევე ცენტრალურ სტრუქტურათა სრულყოფილი ამოქმედება".

მოგეხსენებათ როტენბერგი ხელმძღვანელობს ექვსკაციან დელეგაციას, რომელიც 2006 წლის მასპინძლობის მაძიებელ ხუთივე ქვეყანას ამოწმებს.

სამხრეთ აფრიკის საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიშით მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება ქვეყანას 4,6 მილიარდ დოლარს მოუტანს და შექმნის 129 ათას სამუშაო ადგილს, რაც დიდი საქმეა ქვეყნისთვის, რომლის შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედს სამუშაო არ აქვს. სამხრეთ აფრიკელები აგრეთვე ამტკიცებენ, რომ მათი ქვეყანა აბსოლუტურად აკმაყოფილებს ფიფას მოთხოვნებს და ასეთი მაგალითი მოჰყავთ — სამხრეთ აფრიკის თითოეულ სტადიონზე 40 ათასზე მეტი მაყურებელი ეტევა.

როტენბერგის განცხადებით მისი ჯგუფი დაათვალიერებს ცხრავე სტადიონს, რომლებზეც მასპინძლები 2006 წლის პირველობის შეხვედრების ჩატარებას აპირებენ. ფიფას ინსპექტორები ამ სარბიელზე პირობებს, უსაფრთხოების და სხვა მონაცემებს შეამოწმებენ. განიხილავენ სტუმართა დაბინავებისა და ტრანსპორტირების საკითხებს.

დანარჩენი ოთხი სტადიონი ჯერ შენდება.

ფიფას ინსპექტორები ტურნეს კუნძულ რობენზე დაასრულებენ, სადაც ცნობილ ციხეში 27 წლის განმავლობაში იჯდა ქვეყნის აწ უკვე გადამდგარი პრეზიდენტი ნელსონ მანდელა.

„თუ ჩემპიონატის მასპინძლობის ნებას დაგვრთავენ, ეს ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი ბიძგი იქნება და არა მარტო სპორტში, არამედ ცხოვრების ყველა ასპექტში" — თქვა სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა მოლეფი ოლიფანტიმ.

სამხრეთაფრიკული გაზეთები ერთხმად უჭერენ მხარს საორგანიზაციო კომიტეტს.

„ჩვენი დროც დადგა. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას ვიმსახურებთ და ამავე აზრისაა ქვეყნის მოსახლეობაც" — წამყვან გაზეთ „სტარს" ეწერა პირველ გვერდზე.

ყველაზე დიდტირაჟიანი გაზეთი „სოუტანი": „ჩვენ ეს გვჭირდება... თუ თქვენ და თქვენი ფიფა სამხრეთ აფრიკაში ფეხს მოიკიდებთ, ნახავთ ჩვენს ჟინს, დიდ საფეხბურთო ზეიმს და კონტინენტის სულს".

როტენბერგის ჯგუფში შედიან: ჩინელი ჟანგ ილონგი, შვეიცარიელი ურს ნიუბუჰლერი, ავსტრალიელი რიჩარდ რიდი, საამიროებიდან იუსუფ ალ სერკალი და კანადელი უოლტერ სიბერი.

ფიფა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელს 6 ივლისს დაასახელებს.

ფეხბურთის რუკასთან



რუსეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი პაველ სადირინი უზბეკეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელობაზე დათანხმდა. „შეთანხმება ჯერჯერობით არ გაგვიფორმებია, თუმც შეიძლება ჩაითვალოს, რომ სადირინი ახალ თანამდებობაზე დაინიშნება — აცხადებს უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვიქტორ ტიხონოვი — მომავალ კვირას კონტრაქტი ოფიციალურად გაფორმდება და ცნობილი სპეციალისტი ნაკრების თავკაცის პოსტს ჩაიბარებს." ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მახმუდ რახიმოვი შარშან დეკემბერში ავტოკატასტროფაში დაიღუპა. 57 წლის სადირინი გუნდს აზიის თასის 2000 წლის გათამაშებისთვის მოამზადებს. შეგახსენებთ, რომ იგი რუსეთის ნაკრებს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თავკაცობდა, თუმც წარუმატებლობის გამო დაითხოვეს. ამის შემდეგ რამდენიმე წელი რუსულ კლუბებშიც იმუშავა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა.

ინგლისურმა ბუქმეიკერულმა კანტორა „უილიამ ჰილმა" უეფას თასის მერვედფინალის დასრულების შემდეგ ახალი კოეფიციენტები გამოაქვეყნა. კითხვა ასეთია: დარჩენილი რვა გუნდიდან ვინ მოიგებს უეფას თასს. ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერ „დეპორტივოს" დამარცხების შემდეგ ლონდონის „არსენალი" უპირველეს ფავორიტად ითვლება. მისი კოეფიციენტი 9/4-ს უტოლდება. შემდეგი კანდიდატი „ლიდს იუნაიტედია" — 7/2, დანარჩენ გუნდთა ჩამონათვალი კი ამგვარია: „სელტა" — 9/2; „გალათასარაი" — 7/1; „მალიორკა" — 8/1; „ვერდერი" — 9/1; „ლანსი" — 12/1; „სლავია" — 20/1.

ესპანური მადრიდის „რეალის" თავკაცმა ვისენტე დელ ბოსკემ ფრანგი ფორვარდი ნიკოლა ანელკა დასაჯა და შესაძლოა „სევილიას" წინააღმდეგ არც ათამაშოს: „ანელკას სხვა ფეხბურთელთა მსგავსად კლუბის წინაშე ვალდებულებები აქვს — ამბობს დელ ბოსკე — მან კი ვარჯიშზე უარი განაცხადა. ნიკოლა „რეალში" ყველას უყვარს, მათ შორის მეც, მაგრამ ვარჯიშის გაცდენის ნებას არავინ მისცემს. შაბათს „სევილიასთან" ალბათ არ ვათამაშებ, დანარჩენს კი კლუბის ხელმძღვანელობა გაარკვევს."

უკრაინის ნაკრებისა და კიევის „დინამოს" 25 წლის ფორვარდ სერგეი რებროვის მსურველთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. „მილანს", „ბარსელონას", „სელტიკს", „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „გლაზგო რეინჯერსს" კიდევ ერთი ბრიტანული კლუბი, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპური" შეუერთდა. „მამლების" მენეჯერი ჯორჯ გრემი ტრონჰეიმში ჩემპიონთა ლიგის მატჩს დაესწრო, „რუსენბორგის" კარში დუბლის გამტან რებროვსაც საკუთარი თვალით აკვირდებოდა და ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთს მის „ტოტენჰემში" შესაძლო გადასვლაზე განუცხადა: „გუნდს რებროვის ტიპის ფორვარდი სჭირდება, ამიტომაც ყველა ღონეს ვიხმართ, უკრაინელი „უაით ჰართ ლეინზე" ჩამოვიყვანოთ. გრემს კი სურს რებროვი, მაგრამ საამისოდ სუპერკლუბებთან ჭიდილში ფეხა უნდა გამოიჩინოს.

# უშედეგო სტუმრობა ბაქოში

აზერბაიჯანულ ფეხბურთში რომ ცუდი ამბები ხდება, კარგა ხანია, ვიცით. განხეთქილებაა ფეხბურთის ფედერაციასა და კლუბებს შორის. შემოდგომაზე, მე-7 ტურის შემდეგ შეწყვეტილ ჩემპიონატს განახლება ძლივს ეღირსა — უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე 12 გუნდიდან 11 თამაშზე უარს ამბობდა.

საქმე იმდენად გამწვავდა, რომ ფიფამ ბაქოში სპეციალური კომისიაც მიავლინა, რომელსაც ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი დევიდ უილი ხელმძღვანელობს. ორდღიანი ვიზიტის დროს კომისიის წევრები არამარტო ქვეყნის ფეხბურთის მესვეურთ, პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევსაც შეხვდნენ.

დევიდ უილმა დაპირისპირებულ მხარეებს მოუსმინა და... დაიბნა. „სიმართლის გარკვევა ვერ შევძელი" — ხელები ასწია ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა. და შემდეგ? შემდეგ კომისიამ ბაქოში სტუმრობის ანგარიში მოამზადა, რომელსაც ამ დღეებში ფიფას აღმასკომს წარუდგენს. ფიფა აქამდეც იმუქრებოდა, საერთო ენა გამონახეთ, თორემ მოგკვეთთო. ალბათ, ასეც მოხდება.

# მატება ლივერპულში

ბოლოდროინდელმა კარგმა თამაშმა ლივერპულელებს ამბიციურობა შეჰმატა და კიდევ ერთი თავდამსხმელის გადაბირება განიზრახეს. „უკვე შემიძლია ვთქვა, რომ „ლივერპული" თერთმეტი მილიონი გირვანქის გადახდას დაყაბულდა — განაცხადა ჯონ ჰოლმსმა, ემილ ჰესკის აგენტმა — როგორც მაცნობეს, კლუბის წარმომადგენლები პარასკევს (აგენტმა ინტერვიუ ხუთშაბათს მისცა) ჰესკის სამედიცინო შემოწმებას ჩაუტარებენ და შემდეგ პრესკონფერენციასაც გამართავენ".

ჟერარ ულიეს ლესტერელი ფორვარდით დაინტერესება მოულოდნელი არ არის. კევინ კიგანს ის ნაკრებში ხუთჯერ მიუწვევია, ხოლო 13 თებერვალს არგენტინის წინააღმდეგ სასტარტო შემადგენლობაშიც გამოჩნდა და მინდორზე კარგადაც ირჯებოდა. „ლივერპულის" ფრანგ მენეჯერს კი ჰესკის თავისთან წაყვანაზე საუბარი ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში დაუწყია. მაშინ ასე მოილაპარაკეს — ემილ ჰესკი, რომელსაც სეზონის ბოლოს „ლესტერთან" კონტრაქტი უმთავრდება, „ლივერპულის" გარდა სხვა კლუბით არ უნდა დაინტერესებულიყო. ამ შეთანხმების მიღწევას ლესტერელთა თავკაცი მარტინ ონილი აღუდგა წინ, ჩინებული ფორვარდი არ ეთმობოდა, მაგრამ ნათქვამია, ფული ჯოჯოხეთს ანათებსო და „ლესტერის" ხელმძღვანელობამ მაცდუნებელ წინადადებას ვერ გაუძლო — თერთმეტი მილიონი გირვანქა მართლაც დიდი ფულია. და რა? სანამ მხარეები ერთმანეთს ანგარიშს უსწორებენ, მარტინ ონილი საგონებელშია ჩავარდნილი. მას „ასტონ ვილადან" ახლახან გადაყვანილი სტენ კოლიმორის და ემილ ჰესკის შეწყვილებით თავდამსხმელთა სუპერდუეტის შექმნა სურდა.

ბუნებაში არაფერი იკარგება. სუპერწყვილის შექმნას რაკი „ლესტერი" ვერ შესწვდა, „ლივერპულმა" უნდა მოახერხოს. ამას თავად ჰესკიც მოუთმენლად ელის. გეხსომებათ, მაიკლ ოუენს და რობი ფაულერს არაფერი გამოუვიდათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ორივე ტრავმებმა გააწამა და მიმდინარე სეზონში მხარდამხარ მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარეს. ოუენი ერთი კვირის წინ ჩადგა მწყობრში, ფაულერი კი ჯერაც ვერ მომჯობინებულა. ასე რომ, ოუენი და ჰესკი ერთმანეთს როგორ შეეწყობიან, შესაძლოა, უკვე დღეს, „ენფილდზე" „სანდერლენდის" წინააღმდეგ მატჩში ვნახოთ.

ემილ ჰესკი ლესტერში დაიბადა და ფეხბურთის თამაშიც იქ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ჰესკის სახელს ხშირად გაიგონებთ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, კრიტიკოსებიც ბლომად ჰყავს. კერძოდ, ამბობენ, რომ ამბიციურ ინგლისელ თავდამსხმელს უფრო მეტი გოლები უნდა გაჰქონდეს, მას კი წინა ოთხ სეზონში ჩატარებულ 130 შეხვედრაში მხოლოდ 33 ბურთი შეუგდია. მიმდინარე სეზონში ჰესკი მინდორზე 26-ჯერ გავიდა და მეტოქის კარი შვიდჯერ დალაშქრა, მათ შორის ერთი „ტრანმერის" კარში, ლიგის თასის ფინალში შეაგდო. გოლების ეს რაოდენობა ბევრია თუ ცოტა, თავად განსაჯეთ.

**გიორგი დარჯანია**




ემილ ჰესკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკლები ლაპარაკი, მეტი საქმე

**უეფას თასი. მერვედფინალი**
მეორე წრე. 9 მარტი

UEFA CUP

**ლიდსი (ინგლისი) 1:0 რომა (იტალია) (0:0)**
1:0 კიუელი (67)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ჰაალანდი, რადებე, ჰარტი, მაკფეილი (ჰაკრბი 89), ბოიერი, უილკოქსი, ბაკე (ჯონსი 83), კიუელი, ბრიჯისი (სმიტი 81)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
რომა: ანტონიოლი, მანგონე, ალდაირი, ძაგო, რინალდი, ტომაზი, ნაკატა (დი ფრანჩესკო 69), კანდელა, ტოტი, დელვეკიო, მონტელა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ტოტი, კანდელა, ბრიჯისი, დელვეკიო, ჰაალანდი, ძაგო, სმიტი
გაძევება: კანდელა (90), ძაგო (90)
მსაჯი: ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი)
39 149 მაყურებელი

**გალათასარაი (თურქეთი) 0:0 დორტმუნდი (გერმანია) (2:0)**
გალათასარაი: ტაფარელი, კაპონე, დავალა უმითი, ბიულენთი, პოპესკუ, ჰაჯი (დოს სანტოსი 88), ბელოზოღლუ, სუათი (აჰმეთი 86), ერგუნი, ჰაქან შუქური, არიფი (ჰასან სასი 81)
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, ა. ნიეგუსი, სტევიჩი (ბუგრი 62), კოლერი, ფაიერზინგერი, ჯ. რეინა (ტანკო 72), კაპეტანოვიჩი (დედე 45), რიკენი, ბობიჩი, ჰერლიხი
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
გაფრთხილება: კაპეტანოვიჩი, ერგუნი, ჰერლიხი, ვიორნსი
მსაჯი: ჩეზარე გრაციანო (იტალია)
25 000 მაყურებელი

**ლანსი (საფრანგეთი) 4:2 ატლეტიკო (ესპანეთი) (2:2)**
1:0 ნუმა (28), 2:0 სახო (38), 2:1 ჰასელბაინკი (45), 3:1 ნუმა (53), 3:2 კიკო ნარვაესი (64), 4:2 ბრუნელი (71)
ლანსი: ვარმუზი, კუენდრუ, პიერ-ფანფანი, ისმაელი, სიკორა, კორიდონი (ლაშორი 83), ბლანშარი, დაკურტი, ბრუნელი, ნუმა (როდრიგესი 85), სახო (მორეირა 72)
მწვრთნელები: ფრანსუა ბრისონი, დიდიე სენაკი
ატლეტიკო: მოლინა, ს. აიალა, გამარა, ზ. ნიეგუსი, კაპდევილა, ბეიბლი, სოლარი (კიკო ნარვაესი 46), აგილერა, ვალერონი (უგო რიბეირო 81), ჰასელბაინკი, რობერტო (კორეა 69)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაძევება: კიკო ნარვაესი (90)
მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)
40 000 მაყურებელი

**სელტა (ესპანეთი) 4:0 იუვენტუსი (იტალია) (0:1)**
1:0 მაკელელე (1), 2:0 ბირინდელი (33ს.კ.), 3:0, 4:0 ბენი მაკკარტი (46, 70)
სელტა: პინტო, სელადესი, კასერესი, სერხიო, ხუანფრანი, მაკელელე (რევივო 56), კარპინი, ჯოვანელა, მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი (ტომასი 76), ბენი მაკკარტი (მაზინიო 81)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა (ტუდორი 79), მირკოვიჩი, მონტერო, ბირინდელი (იულიანო 63), კონტე, ძამბროტა (ზიდანი 62), ტაკინარდი, დავიდსი, დელ პიერო, კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კონტე
გაძევება: კონტე (27), მონტერო (45)
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
30 000 მაყურებელი

**დეპორტივო (ესპანეთი) 2:1 არსენალი (ინგლისი) (1:5)**
0:1 ანრი (63), 1:1 ვიქტორ სანჩესი (68), 2:1 ივან პერესი (90)
დეპორტივო: კოუბა, მანელი, მაურო სილვა, ნაიბეტი, რამისი, ფერნანდო (ივან პერესი 79), ხაიმე (ფრანი 64), სკალონი, მაკაი (ვიქტორ სანჩესი 56), პაულეტა, ტურუ ფლორესი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინტერბერნი (ვერნაძა 83), ლუენი, სილვინიო, ლიუნგბერგი, პეტი, ვიეირა, პარლორუ, კანუ (მალცი 81), ანრი (შუკერი 78)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ანრი, დიქსონი
მსაჯი: ოგიუზ სარვანი (თურქეთი)
20 000 მაყურებელი

**მონაკო (საფრანგეთი) 1:0 მალიორკა (ესპანეთი) (1:4)**
1:0 სიმონე (33)
მონაკო: ბარტეზი, კონტრერასი (რიისე 63), კრისტენვალი, ჯეტუ, ლეონარი (პრსო 84), და კოსტა, ლამუში, გალიარდო, ჟიული (ნდიაე 68), სიმონე, ტრეზეგე
მწვრთნელი: კლოდ პიუელი
მალიორკა: ლეო ფრანკო, არმანდო, მიგელ სოლერი, სივიერო, ნადალი, ოლაიზოლა, ლორენი, ენგონგა (ფერნანდო ნინიო 72), ჩიჩი სოლერი, დიეგო ტრისტანი (კარერასი 89), კარლოსი (იბაგასა 71)
მწვრთნელი: მარიო გომესი
გაფრთხილება: ენგონგა, გალიარდო, კარლოსი, ტრეზეგე
გაძევება: გალიარდო (53)
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
10 000 მაყურებელი

**ვერდერი (გერმანია) 3:1 პარმა (იტალია) (0:1)**
1:0 დაბროვსკი (29), 1:1 სტანიჩი (32), 2:1 ბოდე (45), 3:1 კანავარო (66ს.კ.)
ვერდერი: ფ. როსტი, დაბროვსკი, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ვიდნერი, ფრინგსი, აილტსი, ა. ჰერცოგი (ბოგდანოვიჩი 82), ბოდე (მაქსიმოვი 71), აილტონი (შირენბეკი 90), პიზარო
მწვრთნელი: თომას შააფი
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი (ბენარივო 73), პაულო სოუზა (დი ვაიო 69), დ. ბაჯო, ვანოლი, ორტეგა (დაბო 46), კრესპო, სტანიჩი
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
გაფრთხილება: ფუზერი, სარტორი, როსტი, ვიდნერი
მსაჯი: რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)
30 500 მაყურებელი

**უდინეზე (იტალია) 2:1 სლავია (ჩეხეთი) (0:1)**
1:0 ფიორე (22), 1:1 კოლერი (41), 2:1 სოსა (51)
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სოტილი (ძანკი 25), გარგო, ფიორე, ჯანიკედა, ვან დერ ვენგტი (ალბერტო 58), იორგენსენი, ლოკატელი, მარჯიოტა (სოსა 50), მუცი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
სლავია: ჩერნი, ვლჩეკი (ჰისკი 34), პეტროუსი, რადა, ლ. დოშეკი, ულიხი, დოშტალეკი, პ. ჰორვატი, კოლერი, ტ. დოშეკი (კუჩარი 90), ზელენკა (რ. ვაგნერი 76)
მწვრთნელი: ფრანტიშეკ კიპრო
მსაჯი: ტ. ჰუგი (ნორვეგია)
30 000 მაყურებელი

**უეფას თასი. მეოთხედფინალი**
პირველი წრე — 16 მარტი; მეორე წრე — 23 მარტი

UEFA CUP

არსენალი (ინგლისი) — ვერდერი (გერმანია)
მალიორკა (ესპანეთი) — გალათასარაი (თურქეთი)
სელტა (ესპანეთი) — ლანსი (საფრანგეთი)
ლიდსი (ინგლისი) — სლავია (ჩეხეთი)



REUTERS

ლიდსი — რომა 1:0. ლი ბოიერი, დევიდ ოლირი და მეტიუ ჯონსი

მეტისმეტად გადატვირთულმა კალენდარმა უეფას თასის მერვედფინალურ ეტაპს თავისი კვალი დაატყო. წამყვან ევროპულ კლუბთა უმეტესობა, რომლებიც თასის მოგების რეალურ კანდიდატებად ითვლებოდნენ, არცთუ მრისხანე მეტოქეებთან ორთაბრძოლაში დამარცხდა, და ასპარეზობას გამოეთიშა.

სრული ფიასკო განიცადა იტალიურმა ფეხბურთმა. ქვეყნის ოთხივე წარმომადგენელი მეოთხედფინალს მიღმა დარჩა. მსგავსი სირცხვილი მათ 16 წელია, არ უჭამიათ. ბოლოს 1984 წელს იყო, რომ ვერც ერთმა აპენინურმა გუნდმა მეოთხედფინალის საგზური ვერ მოიპოვა. იქაური პრესა ამ ფაქტს, ალბათ, ხანგრძლივი მსჯელობის თემად აქცევს და იტალიელთა საყვარელ გუნდებს — „იუვენტუსს“, „რომას“, „პარმასა“ და „უდინეზეს“ კრიტიკას არ დააკლებს, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს ახლა რაღა ეშველება.

„იუვენტუსის“ თავს კი მართლაც ცოდვის ბორბალი დატრიალდა. სკუდეტოს მოგების ყველაზე რეალური კანდიდატი ვიგოში „სელტასთან“ 0:4 განადგურდა. მარცხი მარცხად, მაგრამ საინტერესო ის გახლავთ, რატომ დაიმცირა „იუვენტუსმა“ თავი, როცა უეფას თასზე მოსახვედრად საკმაოდ არაპრესტიჟულ ინტერტოტოს გათამაშებაში ჩაება, იწვალა, იჯახირა, ლამის სოფლის გუნდებთან თამაში არ ითაკილა, როგორც იქნა, მერვედფინალამდე მიაღწია და ვიგოს „სელტასთან“ შერცხვა. თუ ანჩელოტიმ წინასწარ იცოდა, რომ სერია A-სა და უეფას თასს ერთბაშად ვერ მოიგებდა და მერვედფინალურ მატჩში ზიდანისა და ინძაგის დასვენება მოუწევდა, გუნდს კი მინდორზე ყურებჩამოყრილს გაიყვანდა, რაღაში დასჭირდა ინტერტოტოს თასზე თავის შეწუხება?

„ამ საღამოს მეტოქემ ბევრი საჩუქარი მიიღო — განაცხადა მატჩის შემდეგ „იუვენტუსის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ — აბა, სხვა რა ითქმის ორი ფეხბურთელის გაძევებაზე? მსაჯმა ნამდვილად გადაამეტა, ყველაფრის გამო გვსჯიდა. ისე ჩანდა, რომ წინასწარ განწირულნი ვიყავით. არბიტრმა, რომელსაც უმაღლესი დონის მატჩების მსაჯობას ანდობენ, ამდენი შეცდომა ნამდვილად არ უნდა დაუშვას. ჩვენც პროვოკაციას წამოვეგეთ, ნერვებს ავყევით და ჩვეული თამაში ველარ ვუჩვენეთ!“

27-ე წუთზე, როდესაც „სელტა“ 1:0 იგებდა, რამდენიმეწუთიან მონაკვეთში მიღებული ორი ყვითელი ბარათის გამო შოტლანდიელმა მსაჯმა ჰიუ დალასმა მოედნიდან ანტონიო კონტე გააძევა, რამაც „იუვენტუსის“ ისედაც უსახური თამაში კიდევ უფრო გააუფერულა. ტაიმის მიწურულს კონტეს კვალს პაოლო მონტეროც მიჰყვა და „ბებერი ქალბატონი“ 9 კაცით დარჩა მინდორზე. „იუვენტუსი“ უკვე განწირული იყო, საბოლოოდ გუნდმა 0:4 წააგო და „ბალაიდოსის“ სტადიონი შერცხვენილმა დატოვა.

ვიგოელთა თავკაცი ვიქტორ ფერნანდესი წარმატებამ ერთობ გაახარა: „ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო მომენტია — ამბობს იგი — იუვენტუსთან“ მსგავს შედეგზე, ალბათ, ვერც ვიოცნებებდი. თუმცა მეტოქის ავტორიტეტსა და მიღწევებს არ შევუშინდით, ბრწყინვალე ფეხბურთი ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ“.

მეორე იტალიურმა კლუბმა „რომამ“, რომელსაც თასის მოგების არანაკლებ რეალურ კანდიდატად მიიჩნევდნენ, მეოთხედფინალის საგზური „ლიდსთან“ ორთაბრძოლაში დაკარგა. რომში ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ „ელანდ როუდზე“ შეკრებილი გულშემატკივარი დიდი ინტერესით ელოდა საპასუხო მატჩს. 67-ე წუთზე ლიდსელი ჰარი კიუელის მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა რომაელთა თავკაცი ფაბიო კაპელო დაამწუხრა, მისი კოლეგა დევიდ ოლირი კი ერთობ გაახარა.

„ბევრს არ ეგონა, რომ გათამაშების შორეულ ეტაპამდე გავაღწევდით, მაგრამ, მათდა გასაოცრად, ეს მოვახერხეთ — ამბობს ოლირი — „რომა“ ნამდვილად ძლიერი გუნდია, მოხარული ვარ, რომ მისი დამარცხება შევძელით. ვფიქრობ, ეს დავიმსახურეთ კიდეც. მატჩის დაწყებამდე ჩემი ბიჭები დავმოძღვრე, მოდით, ნაკლები ვილაპარაკოთ და მეტი საქმე ვაკეთოთ-მეთქი“.

აღსანიშნავია, რომ „რომამ“ მატჩი „იუვენტუსის“ მსგავსად ცხრა კაცით დაასრულა. 90-ე წუთზე ლიდსელ ფეხბურთელებთან ორთაბრძოლაში ვინსენ კანდელამ და ძაგომ მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურეს და მთავარმა არბიტრმა ხოსე მარია გარსია არანდამ ორივე მათგანი გასახდელისკენ მიაბრძანა.

„ლიდსმა“ კი ევროთასების მერვედფინალის ბარიერი 25-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად დასძლია. 1975 წელს ინგლისური გუნდი ჩემპიონთა თასის ფინალში მიუნხენის „ბაიერნთან“ დამარცხდა 0:2.

კიდევ ერთი იტალიური გუნდის კრახი — უეფას თასის ამჟამინდელი მფლობელი „პარმა“ მეოთხედფინალში ვერ გავიდა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ იტალიაში მიღწეული გამარჯვება 1:0 პარმელებს ბრემენში იოლ გასეირნებას არ უქადდა. ასეც მოხდა. „ვერდერმა“, რომელიც წლეულს აშკარა პროგრესს განიცდის, „პარმასთან“ ძლიერი, გერმანული ხასიათი გამოავლინა და 3:1 მოიგო.

ანგარიში 29-ე წუთზე ბრემენელმა კრისტოფ დაბროვსკიმ გახსნა და ორი მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრა, თუმც სულ რაღაც 3 წუთში პარმელმა მარიო სტანიჩმა ზუსტი თავური დარტყმით მეტოქის კარი დალაშქრა და „ვერდერს“ საქმე ერთობ გაურთულა — მომდევნო ეტაპზე მოსახვედრად გერმანელებს მინიმუმ ორი გოლის გატანა სჭირდებოდათ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს შეძლეს კიდეც. პირველი ტაიმის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე მარკო ბოდემ ბურთი შეაგდო და „ვერდერმაც“ ამაღლებული განწყობით დატოვა მოედანი. მეორე ნახევარში რაც ბრემენელებმა ვერ გააკეთეს, პარმელმა ფაბიო კანავარომ მოახერხა — 66-ე წუთზე ავტოგოლი მიითვალა და როგორც შემდგომ გაირკვა, „პარმა“ მეოთხედფინალის მიღმა დატოვა.

სიხარული ვერ დაფარა „ვერდერის“ თავკაცმა თომას შააფმა. „ჩვენ ეს დავიმსახურეთ — ამბობს იგი — პარმაში ჩატარებული პირველი მატჩის შემდეგ მჯეროდა, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გვქონდა. დღევანდელი შეხვედრა ნამდვილად ფანტასტიკური იყო“.

მეოთხედფინალში „ვერდერი“ „დეპორტივოს“ მძლეველ „არსენალს“ დაუპირისპირდება. ამის თაობაზე გერმანელები საკმაოდ მოკრძალებულ პროგნოზებს აკეთებენ. „არსენალთან“ მატჩი ურთულესი იქნება“ — ამბობს მარკო ბოდე.

„ყოველ კვირას მსგავს თამაშს, ალბათ, ვერ ნახავ — განაცხადა პირველი გოლის ავტორმა დაბროვსკიმ — ყველაფერი დაგეგმილივით მიდის, ნამდვილი სიზმარივით. ახლა ერთ-ერთ ინგლისურ გრანდს შევხვდებით. დიდებულია, თუმცა ბრძოლა ნამდვილად მოგვიწევს“.

რახან „არსენალი“ ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ ლონდონურმა კლუბმა „დეპორტივო“ ერთი კვირის წინ 5:1 გაანადგურა, ახლა კი ლა კორუნიას ესტუმრა. მატჩი ბევრს არაფერს წყვეტდა, რადგან ალბათ „დეპორტივოს“ უერთგულეს ქომაგსაც აღარ სწამდა თავისი გუნდის წარმატების. „რიასორის“ 35-ათასიანი სტადიონიც ამიტომ შეივსო სანახევროდ.

„დეპორტივომ“ ამჯერად დაამარცხა „არსენალი“. 63-ე წუთზე ტიერი ანრის გატანილ გოლს ვიქტორ სანჩესმა და ივან პერესმა ორით უპასუხეს. საბოლოოდ — 2:1. თუმცა ლაკორუნიელებს ამან არ უშველა და გუნდი ასპარეზობას გამოეთიშა.

დარჩენილ წყვილებში სენსაციური არაფერი მომხდარა. „გალათასარაიმ“ „დორტმუნდის“ ბარიერი დასძლია, ესეც თითქმის გარკვეული იყო, „მალიორკამ“ — „მონაკოსი“, ერთი კვირის წინანდელი შედეგის გათვალისწინებით, გასაკვირი არც ეს გახლდათ. მადრიდში ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ „ლანსმა“ შინ „ატლეტიკო“ დაამარცხა 4:2 და რადომირ ანტიჩის ახალი გუნდი გათამაშებას გამოთიშა, თვითონ კი რვა საუკეთესოს შორის დაიბევა ადგილი.

**ნიკა ზუგლაძე**

გიო ახვლედიანის

## სვეტი

### ორი ეპოქის კაცი

დაახლოებით ოცი წლის წინათ გაზეთებში წერდნენ, რომ მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ გამოჩნდა ცხრამეტი წლის ნახევარმცველი მათხაუზიო. დიახ, სწორედ რომ მათხაუზიო. აბა, მაშინ ვინ შეიტყობდა წესიერად, რა ბიჭი იყო ეს მათხაუზი. საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ფეხბურთს არ გადმოსცემდა, თუ საბჭოთა გუნდი არ თამაშობდა, მსოფლიო ჩემპიონატი არ იყო და ეს მათხაუზი, მერე რომ ლოთარ მათეუსად შევიცანით, ერთ უცნობ ვარსკვლავად გვიჩანდა.

პროფესიონალ ფეხბურთელად ყოფნის ოც წელიწადს მათეუსი იყო ნამდვილი ვარსკვლავი თავისი დროისა და საუცხოო მოთამაშე, ვისაც მარადონათი დაწყებული ყველასთან უბრძოლია, მშვენივრადაც უთამაშია და იოლი კაციც არ ყოფილა. დღეს არსებულ უდიდეს ჯილდოთაგან არ მოუგია მხოლოდ ჩემპიონთა თასი, რომლის ფინალშიც ორჯერ ღვარა ოფლი და ცრემლი.

შარშან, ვარჯიშზე თანაგუნდელს ფრანგმა ბიქსენტ ლიზარაზუმ ხელი შემოკრა და თქვა, დიდი საქმე თუ ეგ მსოფლიო ჩემპიონია, მეც ვარ მსოფლიო ჩემპიონიო. დიახაც, მათეუსი არ არის იოლი კაცი და გაფხორვაც ეხერხება, მაგრამ ლიზარაზუს როგორ უნდა შეედაროს. ხუთ მსოფლიო ჩემპიონატზე უთამაშია და აქ აუცილებლად უნდა ვთქვათ:

ოთხმოციან წლებში ის იყო ოთხმოციანი წლების ვარსკვლავი, ხოლო ოთხმოცდაათიან წლებში ოთხმოცდაათიანი წლების ვარსკვლავი. ანუ ის ვარსკვლავად რჩებოდა ორ სხვადასხვა ფეხბურთში, ორ სხვადასხვა ეპოქაში.

სამ-ოთხი წლის წინათ გაიგონებდით, მიუნხენის „ბაიერნის“ ყველაზე ცუდი ფეხბურთელი მათეუსიაო. სიბერეში ლიბეროდ ქცეული მათეუსი მართლაც გატლანქებულიყო და დიდ აღარაფერ ძალას წარმოადგენდა, თუმცა კი დიდ ფეხბურთელთა ადათიც ეს არის, რომ აღსდგნენ და იპოვნონ ძალები სიდიადეში დასაბრუნებლად.

გასულ ოთხშაბათს, მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე რომ ფოიერვერკები დააბათქუნეს და ორმოცს მიტანებულ ვარსკვლავს გამოეთხოვნენ, ვერავინ იტყოდა, მათეუსი დაბერდა, აღარ შეუძლია და იმიტომ მიდისო. ბოლო ორ წელიწადს ის „ბაიერნის“ ნაღდი ჯიგარი და ბურჯი იყო.

მათეუსი ისეთი მოთამაშე იყო, რომ არასოდეს იფიქრებდი — ახლა დაანებებს თავს თამაშს, არა, ახლა დაანებებსო. კრიზისი სჭირდა, ამბობდნენ, მოედანს გამოეკერა ოცდათხუთმეტი წლის დანჯღრეული მანქანაო და გამოიღვიძა, რაღაც წარმოუდგენელი ენერგია მოძებნა და კვლავ ლიდერად იქცა. ვეღარც კი წარმოიდგენდი, რომ წავიდოდა.

და მაინც... გახსოვთ მისი არაქათგამოცლილი სახე, შარშანდელი ჩემპიონთა თასის ფინალში რომ გადიოდა მოედნიდან? მაშინ შეცვალეს და „ბაიერნმა“ წააგო.

ლოთარ მათეუსი ამერიკაში წავიდა გასართობი ფეხბურთის სათამაშოდ — არ ეკუთვნის? ის ყოველთვის ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა ამ არცთუ გასართობ თამაშს.




1999 წლის 26 მაისი. ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი ფინალი ჩემპიონთა გარეშე

# ეს ქვეყანა ანოსია...

## ლისაბონიდან ბარსელონამდე

...არც ერთი იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი და არც მეორე, თუმცა 1999 წლის 26 მაისს „კამპ ნოუზე“ ეს ფაქტი, ალბათ, არავის გახსენებია. არც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა — მიუნხენის „ბაიერნმა“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ევროპის ჩემპიონთა თასის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ფინალი გვაჩუქეს.

იმ დღეს ევროპის ყველაზე პოპულარული ტურნირის გეზი ძირფესვიანად შეიცვალა, რადგან ჩემპიონთა თასს, დასკვნით შეხვედრაში, პირველად ეცილებოდნენ ერთმანეთს არაჩემპიონები და მართალია, ამ ნაბიჯის სამართლიანობაზე დღესაც დიდი კამათია — თუ ჩემპიონთა ლიგაა, ჩემპიონთა იყოსო — ერთი რამ არ დაგვავიწყდეს: ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

1997-98 სეზონში უეფა, ცნობილ გარემოებათა გამო, იძულებული შეიქნა დაესწრო მოვლენებისთვის და ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ზოგიერთი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონიც დაეშვა, თუმცა, ინერციით იყო თუ სხვა რამის გამო, ფინალში მაინც ჩემპიონები — „რეალი“ და „იუვენტუსი“ გავიდნენ. იმ გათამაშების მეოთხედფინალისტებს თუ გავიხსენებთ, იქაც ჩემპიონები სჭარბობდნენ: ექვსი ორის წინააღმდეგ.

გავიდა ერთი წელი და „ალალ“ ჩემპიონთა წარმომადგენლობა ამავე ეტაპზე საგრძნობლად შემცირდა. ოთხ ჩემპიონზე ოთხიც არაჩემპიონი მოდიოდა. ჰოდა, რაღაა გასაკვირი, ფინალი მთლად არაჩემპიონური რომ გამოვიდა.




გასულ ოთხშაბათს: „ჩელსი“ — „მარსელი“. არც ეს გახლდათ ჩემპიონთა ჭიდილი

რა იქნება წლეულს, აბა, ვინ იცის. ერთი, რაც შეგვიძლია მოვიმოქმედოთ, პირველი კლასის მათემატიკა გავიხსენოთ. და ჯერაც ჯგუფებში მყოფ 16 გუნდს ჩამოვუაროთ. გამოვა, რომ 9 გუნდი წინა სეზონში თავისი ქვეყნის ჩემპიონი გამხდარა, 7 კი სწორედ ლიგის ახლებური მოწყობის წყალობითაა აქ მოხვედრილი.

თუნდაც ლონდონის „ჩელსი“ ავიღოთ. აბა, როდის ელირსებოდა ამ გუნდს ჩემპიონთა ლიგაში თამაში? „ჩელსი“ ხომ ერთადერთხელ, 1955 წელს გამხდარა ინგლისის ჩემპიონი. ისიც ლამის უნიკალურ ჩემპიონატში: პირველ ადგილზე გასულ ლონდონელებს 52 ქულა ჰქონდათ, 17-ით მეტი, ვიდრე 21-ეზე გასულ და გავარდნილ „ლესტერს“. შემდეგ სეზონში „ჩელსი“ სამეულშიც ვეღარ მოხვდა. არც ჩემპიონთა თასის პირველ გათამაშებაში გამოსულა, თუმცა ამის უფლება ნაღდად ჰქონდა.

აი, აქ მივადექით ჩვენი წერილის მთავარ თემას — როგორ შეიქმნა ჩემპიონთა თასი და რატომაა ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველი.

1954 წლის 14 დეკემბერს ინგლისურმა გაზეთმა „დეილი მეილმა“ ადგილობრივი „ვულვერჰემპტონი“ მსოფლიოს კლუბთა ჩემპიონად შერაცხა — ცოტა ხნით ადრე „მგლებმა“ მოსკოვის „სპარტაკი“ (4:0) და უნგრეთის „ჰონვედი“ (3:2) დაამარცხეს და ამიტომ. ბედად, ამ მატჩებს ფრანგი ჟურნალისტი გაბრიელ ანო ესწრებოდა. ჰოდა, დაბრუნდა ანო პარიზში და უკვე 16 დეკემბერს საკუთარ „ეკიპში“ ასეთი რამ დაწერა: „ნუ ვიჩქარებთ და ნუ ვილაპარაკებთ „ვულვერჰემპტონის“ უძლეველობაზე მანამ, სანამ ეს გუნდი საპასუხო ვიზიტით არ ჩავა მოსკოვსა და ბუდაპეშტში. გარდა ამისა, ხომ არსებობენ სხვა ძლიერი კლუბებიც, თუნდაც „რეალი“ ან „მილანი“. ჩვენ ვემხრობით იდეას, რომ გაიმართოს მსოფლიოს ან უკიდურეს შემთხვევაში *ევროპის კლუბთა ჩემპიონატი*“.

რამდენიმე თვეში „ეკიპმა“ იმ დროს თავად შექმნის პროცესში მყოფ უეფას მიმართა — დაგვეხმარეთ ამ პროექტის განხორციელებაში ანდა, რაც უფრო უკეთესი იქნება, თავად ჩაატარეთ ეს ტურნირიო. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, საქმე დაიძრა და 1955 წლის შემოდგომიდან ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშებაც დაიწყო.

მაგრამ, დააკვირდით ანოს მოსაზრების ბოლო სიტყვებს — *ევროპის კლუბთა ჩემპიონატი*. დიახ, ფრანგი ჟურნალისტების იდეა არ იყო მხოლოდ ჩემპიონთა ტურნირის ჩატარება. პირიქით, სასურველი იყო „სახელიანი და ხალხში პოპულარული კლუბების მონაწილეობა“. სწორედ ამიტომაც, პირველ გათამაშებაში, რომელიც „ეკიპის“ წყალობით და გარჯით უფრო ჩატარდა, ვიდრე უეფასი, 16 მონაწილიდან მხოლოდ 8 იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი. გეცნოთ სიტუაცია? მერე კი, მეორე გათამაშებიდან, უეფამ ხელთ იგდო სადავეები, ჩემპიონთა თასზე მხოლოდ ჩემპიონებს ათამაშებდა (გამონაკლისი მხოლოდ წინა ტურნირის გამარჯვებული იყო) და მედგრად ილაშქრებდა ევროლიგის შექმნის წინააღმდეგ. არადა, ჯერ კიდევ 1968 წელს, მერე 77-ში, ევროპული, განსაკუთრებით ინგლისური, პრესის დაწოლა ამ მხრივ მართლაც ძნელი მოსაგერიებელი გახლდათ. თუმცა, ამ ქვეყანაზე ყველაფერს დასასრული აქვს და 1997-98 სეზონში ჩემპიონთა თასზე კვლავ გამოჩნდნენ მეორე თუ მესამე ადგილოსნები. ორიოდ წელიწადში ამათ მეოთხეადგილოსნებიც კი შეუერთდნენ.

წააგო ამით ევროპულმა ფეხბურთმა? ალბათ, არა. აბა, „ბაიერნი“ — „მანჩესტერი“ გაიხსენეთ!

...1955 წლის 4 სექტემბერი, კვირა. ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშების პირველი მატჩი. ლისაბონის „სპორტინგი“ ბელგრადის „პარტიზანის“ წინააღმდეგ. არც ერთი იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი, არც მეორე. ორივე, უბრალოდ, სახელიანი კლუბები იყვნენ.

**გიგა ძოწენიძე**

## კითხვა — პასუხი

— ***აბა, ჩამოთვალე.***

— სალასი, ინძაგი, პანკარო...

— ***მოიცა, მოიცა, ვისი ჩამოთვლა დაიწყე?***

— სექტემბრის არწივებისა, მარტში რომ ქათმებად გადაიქცნენ.

— ***ეგ არ არის მნიშვნელოვანი.***

— აბა, ვისი ჩამოთვლა გინდა?

— ***გასულების.***

— გალმა გასულების, თუ...

— ***მეოთხედფინალში გასულების.***

— არ მგონია ეგ საინტერესო იყოს.

— ***ფეხს ნუ ითრევ, ჩამოთვალე.***

— რას გადამეკიდე?

— ***ვინ გავიდა პირველი?***

— ნუ... „ბარსა“.

— ***მერე?***

— მერე, სპრინტი კი არ არის, მნიშვნელობა რომ ქონდეს პირველი ვინ გავიდა?

— ***ამით რისი თქმა გინდა?***

— „რეალმა“ ხო მოუგო „ბარსას“?

— ***ეგ სხვა საკითხია.***

— „ბაიერნმა“ ხო დაშალა „რეალი“?

— ***დიახ.***

— მერე „ბარსა“ როგორღა გავიდა პირველი?

— ***„ბავარია“ საერთოდ არ გასულა ოფიციალურად.***

— ოფიციალურად რუსეთ-იაპონიის ომიც არ დამთავრებულა.

— ***რას ამტკიცებ? რომ „რეალი“ „ბარსას“ ჯობია?***

— არა, მე ვამტკიცებ, რომ ესპანეთის თასის ფინალში გამსვლელი ორი გუნდი ჩემპიონთა თასის ფინალში ვერ გავა.

— ***აბა, ვინ გავა „ჩელსი“?***

— „ჩელსი“ რა შუაშია?

— ***ჭრი და კერავ, „ბაიერნიო“, „მანჩესტერიო“.***

— „ლაციო“ არ მითქვამს.

— ***ჯობდა „ლაციო“ გეთქვა.***

— მე რაც არ უნდა მეთქვა, „ბაიერნი“ მაინც ფინალში გავა.

— ***და შერინგემი გამოხტება, არა?***

— ეგებ გამოხტეს კიდეც, შენ რა იცი?

— ***და შენ რაღა იცი?***

— მე ვაკვირდები.

— ***და გაზა?***

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ.

— ***გაზასაც აკვირდები?***

— საქმე გაზაში კი არა, „ბარსაშია“. ნახავ, რაც მოხდება.

— ***რა უნდა მოხდეს?***

— რივალდო ჯარიმას ვეღარ გაიტანს.

— ***ბექემს ხო გააქვს და გააქვს.***

— უბრალოდ, შეხვდება ვილაცა, ვინც კედლის დაყენება იცის.

— ***მეტი არაფერია რივალდო?***

— მათეუსი წავიდა და რივალდოზე მელაპარაკები?

— ***რივალდოს რა ეჩქარება წასვლა?***

— რომ არ ეჩქარება, მეც მაგას ვამბობ.

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

# მარადიული მონარქია

## ფორმულა 1 მუდამ სამეფო იქნება




| მრბოლი | ქვეყანა | გუნდი | ასაკი | სიმაღლე | წონა | რბოლა | მოგება | პოდიუმი | პოული | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი | 31 | 179 | 70 | 128 | 14 | 37 | 21 | 294 |
| 2 დევიდ კულჰარდი | დ.ბრიტანეთი | მაკლარენი | 29 | 182 | 75 | 90 | 6 | 30 | 8 | 221 |
| 3 მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 31 | 174 | 74 | 128 | 35 | 71 | 23 | 570 |
| 4 რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | ფერარი | 27 | 172 | 79 | 113 | - | 6 | 2 | 77 |
| 5 ჰაინ-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | ჯორდანი | 32 | 178 | 64,5 | 97 | 3 | 15 | 2 | 142 |
| 6 იარნო ტრული | იტალია | ჯორდანი | 25 | 173 | 67 | 46 | - | 1 | - | 11 |
| 7 ედი ირვინი | დ.ბრიტანეთი | იაგუარი | 34 | 178 | 75 | 97 | 4 | 24 | - | 173 |
| 8 ჯონი ჰერბერტი | დ.ბრიტანეთი | იაგუარი | 35 | 167 | 65 | 145 | 3 | 7 | - | 98 |
| 9 რალფ შუმახერი | გერმანია | უილიამსი | 24 | 178 | 73 | 49 | - | 6 | - | 62 |
| 10 ჯენსონ ბატონი | დ.ბრიტანეთი | უილიამსი | 20 | - | - | - | - | - | - | - |
| 11 ჯანკარლო ფიზიკელა | იტალია | ბენეტონი | 27 | 172 | 70 | 57 | - | 5 | 1 | 49 |
| 12 ალექსანდრ ვურცი | ავსტრია | ბენეტონი | 26 | 186 | 74 | 35 | - | 1 | - | 24 |
| 14 ჟან ალეზი | საფრანგეთი | პროსტი | 35 | 170 | 74 | 167 | 1 | 32 | 2 | 236 |
| 15 ნიკ ჰაიდფელდი | გერმანია | პროსტი | 22 | - | - | - | - | - | - | - |
| 16 პედრო დინიცი | ბრაზილია | ზაუბერი | 29 | 174 | 69 | 82 | - | - | - | 10 |
| 17 მიკა სალო | ფინეთი | ზაუბერი | 33 | 175 | 73 | 77 | - | 2 | - | 25 |
| 18 პედრო დელა როსა | ესპანეთი | ეროუზი | 29 | 177 | 76 | 16 | - | - | - | 1 |
| 19 იოს ვერსტაპენი | ჰოლანდია | ეროუზი | 28 | 175 | 70 | 57 | - | - | - | 11 |
| 20 მარკ ჟენე | ესპანეთი | მინარდი | 26 | 173 | 69 | 16 | - | - | - | 1 |
| 21 გასტონ მაცაკანე | არგენტინა | მინარდი | 24 | - | - | - | - | - | - | |
| 22 ჟაკ ვილნევი | კანადა | **BAR** | 28 | 171 | 66,5 | 65 | 11 | 21 | 13 | 180 |
| 23 რიკარდო ზონტა | ბრაზილია | **BAR** | 24 | 172 | 64 | 12 | - | - | - | - |

*ფორმულა 1 ათი ათასი წლის შემდეგაც იგივე იქნება, რაც დღესაა — სამეფო რბოლები — უთქვამს ნიკი ლაუდას.*

*ხვალ მელბურნში ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყება, ლაუდას თუ ვერწმუნებით, მარადიული ფორმულის 51-ე ჩემპიონატი.*

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ველით, რომ სეზონი დაძაბულად და საინტერესოდ ჩაივლის და ცალ კარში თამაშს არ დაემსგავსება. იმაზე უკეთესი რაღა იქნება, თუკი ჩემპიონის ვინაობა წლეულსაც ბოლო რბოლაში გახდება ცნობილი.

„მოხეტიალე ცირკის" 22 მონაწილეთაგან უმთავრესი მოქმედი პირები, ცხადია, ორგზის ჩემპიონები — მიკა ჰაკინენი და მიხაელ შუმახერი არიან — სეზონი ალბათ კვლავ მათი სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილით წარიმართება და ღმერთმა უწყის, რა შედეგით დასრულდება. მართალია, ბოლო ორი ჩემპიონატი ფინელის ტრიუმფით აღინიშნა, მაგრამ სადღეისოდ ეს უკვე ისტორიაა და არაფერს ნიშნავს. ორივე სუპერპილოტი თანაბარ პირობებშია, მანქანებიც საუკეთესოები აქვთ და რაც მთავარია, საკუთარ უპირატესობაში ორთავეს ოდნავაც არ ეპარება ეჭვი. ცხადია, უფრო შუმი იაქტიურებს — „ფერარიში" ყოფნის მეხუთე წელს მაინც ხომ უნდა გაამართლოს თითქმის ორმოცმილიონდოლარიანი ზღაპრული ჯამაგირი და ბოლოს და ბოლოს მიკას გვირგვინი წაართვას. სხვათა შორის, ამბობენ, ჰაკინენი შუმახერზე ორჯერ ნაკლებ გასამრჯელოს იღებსო.

„ფერარის" საჩემპიონო თასები უკვე კარგა ხანია, მტვრით დაიფარა. სისხლისფერმა ბედაურებმა 18 პირად-გუნდური ტიტულიდან 17 საწყის სამ ათეულ წელში მოიხვეჭეს, „მაკლარენმა" თავისი 19 ტიტული — ბოლო 25 სეზონში. „მერსედესის" ძრავიანი „ვერცხლისფერი ისრები" ტრადიციულად, ამჯერადაც მხოლოდ პირველობაზეა დამიზნებული, თუმცა აღარც იტალიელთა ეროვნული სიამაყეა ნაკლები, რაც შარშან კონსტრუქტორთა თასის მოპოვებამ ცხადყო. ამასთან, „ფერარის" ახალ მოდელზე ამბობენ, შარშანდელზე უკეთესიაო. ვნახოთ...

ჩემპიონობის უცილობელ ფავორიტებს პირველ რიგში ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი და დევიდ კულჰარდი გაუშრობს სისხლს. თუმც არც უმცროსი შუმახერი და ჯონი ჰერბერტია ხელწამოსაკრავი მეტოქე. იქნებ 1997 წლის ჩემპიონ ჟაკ ვილნევსაც ეშველოს როგორმე (შარშან ერთი ქულის მოპოვებაც ვერ შეძლო), ანდა რუბენს ბარიკელომ მოახერხოს პირველი დიდი პრიზის მოგება. რა თქმა უნდა, „ფერარიდან" გამოგდებული ედი ირვინი და მიკა სალოც ილესავენ კბილებს. ერთი სიტყვით, ლამის მონაწილეთა ნახევარი იბრძოლებს ყოველ ეტაპზე ჩასათვლელი ქულების საშოვნელად. მაგრამ ცხადია, მარტო მონდომება ვერაფერს იზამს, თუ ბოლიდმაც არ უშველა.

### ვინ იწუწავებს შამპანურით?

სასტარტო რბოლის მოგებას საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. თქმა არ უნდა, ძალიანაც სასიამოვნოა თავიდანვე ლიდერობის ხელში ჩაგდება, რაც რვათვიან, მარათონულ ბრძოლაში მშვენიერი დოპინგია. ისე კი, მაინცდამაინც თავის მოკვლაც არ ღირს — როგორც სტატისტიკა გვამცნობს, 15 ავსტრალიურ ეტაპზე გამარჯვებულთაგან მხოლოდ ოთხმა მოიპოვა იმ წელს ჩემპიონობა.

„ალბერტ პარკის" ავტოდრომი ხვალ მეხუთედ უმასპინძლებს „სამეფო რბოლებს", წინა ათი ადელაიდაში ჩატარდა. ყველაზე მეტი — 7 გამარჯვება აქვს „მაკლარენს", პილოტთა შორის რეკორდსმენი კი ერთბაშად ოთხია — ალენ პროსტმა, აირტონ სენამ, გერჰარდ ბერგერმა და დეიმონ ჰილმა ორ-ორჯერ იზეიმეს გამარჯვება. სიჩქარის რეკორდი ფრენცენს ეკუთვნის — მისმა „უილიამსმა" 5,3 კმ სიგრძის წრე სამი წლის წინათ 210,6 კმ/სთ სიჩქარით გაიქროლა. ავსტრალიური ეტაპი ერთადერთია, რომელიც თავის ცხრაწლიან კარიერაში აქამდე ერთხელაც ვერ მოუგია შუმახერს. მის „აქტივში" მხოლოდ ერთადერთი პოდიუმია (მეორე ადგილი, 1992).

შარშან მელბურნში რამდენიმე რეკორდი დამყარდა. უკვე პარასკევს არაოფიციალურ ვარჯიშს 48000 მაყურებელი დაესწრო, შაბათის კვალიფიკაციაზე მათი რაოდენობა გაორმაგდა, თავად რბოლამ კი თითქმის ორასიათასიან აუდიტორიას მოუყარა თავი. სამ დღეში ტურისტებმა მელბურნის ხაზინა ასიათასი დოლარით გაამდიდრეს.

როგორც ხედავთ, „სამეფო რბოლების" მასპინძლობა მეტად სარფიანი საქმეა და სწორედ რომ მეფური მოგება მოაქვს.

ირაკლი ნიკოლაძე

REUTERS მელბურნიდან




„მაკლარენის" ბოლიდები წლეულსაც პირველობისთვის იბრძოლებენ

### გუნდები, შანსები

***„მაკლარენ-მერსედესი"***: ჩემპიონატის უპირველესი ფავორიტი. ნუის მიერ მომზადებული ტრადიციულად უმაღლესი დონის შასი და „მერსედესის" ძრავი გუნდს ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს მაძიებლად აქცევს. ორ ტოპპილოტს კი ამ მიზნის მიღწევა ნამდვილად ხელეწიფება.

***„ფერარი"***: იტალიელები წლეულს კვლავ პირველობისთვის იბრძოლებენ. ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად მაინც შუმი რჩება, თუმცა წლევანდელი სეზონი მისთვის უფრო ძნელი უნდა იყოს, რადგან გუნდი არც ერთ პილოტს არ მიანიჭებს უპირატესობას. ასე რომ, გერმანელს თანაგუნდელ ბარიკელოსთანაც მოუწევს პაექრობა, უკანასკნელი კი, ალბათ, შეძლებს პირველი გამარჯვების მოპოვებას.

***„ჯორდან-მუგენ-ჰონდა"***: გუნდის მიზანი სამეულში მოხვედრაა და ამის საუკეთესო შანსიც აქვს, თუმცა რადგან წლეულს კონკურენცია უფრო გაიზრდება, ირლანდიელებმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშურონ ხუთეულში ადგილის შესანარჩუნებლად.

***„უილიამს"-BMW***: ბავარიელი მანქანათმშენებლები თავიანთ ამბიციებს არ მალავენ და უმაღლესი მიზნებით ბრუნდებიან ავტოსპორტში. ეს სეზონი გუნდისთვის დაძაბული იქნება, რახან ახალ ძრავთან შეგუება მოუწევს, თანაც ძირითადად ერთი პილოტის იმედადაა. ახალბედა ბატონს, არა გვგონია, შეეძლოს სერიოზული შედეგების მიღწევა სადებიუტო სეზონში. ასე რომ, „რკინის ფრენკი" კვლავ ხუთეულში მოხვედრას შეეცდება.

***„იაგუარ-ფორდი"***: ფორდის ტექნიკურმა შესაძლებლობებმა და ფინანსურმა სტაბილურობამ გუნდზე კარგად უნდა იმოქმედოს. ორი გამოცდილი პილოტი ქულების სტაბილური მოგროვების გარანტი უნდა იყოს და ყოველივე ამის საფუძველზე, ალბათ, ხუთეულში ადგილის შენარჩუნებას შეძლებს.

***„ბენეტონ-სუპერტეკი"***: იტალიელები კვლავ საკმაოდ სუსტი „სუპერტეკის" ძრავით ასპარეზობენ, თანაც ახალი მოდელი სადებიუტოა შეფ-კონსტრუქტორისთვის, ამან კი შესაძლოა გუნდის ახალგაზრდა და პერსპექტიულ პილოტებს ტექნიკური პრობლემები შეუქმნას. მძაფრი კონკურენციის პირობებში, არაა გამორიცხული, ბენეტონელებმა ვერ აისრულონ მიზანი და ხუთეულს მიღმა დარჩნენ.

***BAR-„ჰონდა"***: „ჰონდას" ძრავი საუკეთესო შენაძენია, გაითვალისწინეთ ისიც, რაოდენ გამოცდილნი არიან იაპონელები შასის გამართვაში, ეს კი გუნდს დიდ პერსპექტივებს უქმნის. თუ ახალი შასის და ძრავის ადაპტაციისა და ბოლიდის გამძლეობის საკითხები დროულად მოგვარდა, ვილნევი და ზონტა შეძლებენ, კონკურენცია გაუწიონ მეტოქეებს. ისინი ეცდებიან, ხუთეულში ან მასთან ძალიან ახლოს დაასრულონ ჩემპიონატი.

***„პროსტ-პეჟო"***: ალენ პროსტის გუნდს მეტად მნიშვნელოვანი სეზონის ელის — გაისად ხომ ახალი ძრავი უნდა ეძიოს და ამისთვის კარგი შედეგები სჭირდება. გუნდი, ალბათ, „ბენეტონს", „ზაუბერსა" და BAR-ს გაეჯიბრება.

***„ზაუბერ-პეტრონასი"***: შვეიცარიელებმა საკმაოდ კარგი ძრავი მიიღეს „ფერარისგან", მაგრამ მაინც საეჭვოა, მოწინავეთა რიგებში გადაინაცვლონ.

***„ეროუზ-სუპერტეკი"***: უოკინშოუს ბიჭებმა საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენეს ტესტებზე. მიუხედავად ამისა, გუნდის უმთავრესი მიზანი რამდენიმე ქულის მოპოვებაა.

***„მინარდი-ფონდმეტალი"***: ბოლო წლების აუტსაიდერი კვლავ მძიმე მდგომარეობაშია, ჩემპიონატში მონაწილეთაგან ყველაზე სუსტი ძრავით ასპარეზობს, ვერც პილოტებით მოიწონებს თავს. ასე რომ, ამ გუნდის მთავარი საზრუნავიც რამდენიმე ქულის მოგროვება და „ეროუზის" დაჯაბნაა.

ალეკო ჩაგუკიანი

# ორმაგი დარტყმა



პიტ სამპრასი

**სკოტსდეილი. აშშ. „ფრანკლინ ტემპლტონ ტენის კლასიკი“. ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $**

სკოტსდეილის ტურნირის ორგანიზატორებს წლეულს ორი აგურის საძებნელად აქვთ საქმე გამხდარი — გასულ კვირაში დიაცთა პირველობის საოცნებო ფინალი ლინდსი დევენპორტსა და მარტინა ჰინგისს შორის წვიმის გამო არ შედგა, გუშინ კი „კლასიკმა“ თავისი ორი უდიდესი ვარსკვლავი — ანდრე აგასი და პიტ სამპრასი დაკარგა.

დავიწყოთ იმით, რომ მსოფლიოს პირველ ჩოგან აგასის მერვედფინალში უეჭველად უნდა ემარჯვა. ჯერ ერთი, სეზონში აქამდე გამართული ათივე მატჩი მოგებული ჰქონდა; მეტოქე, ფრანსისკო კლავეტი ტიპიური თიხნარის ოსტატია და ჰარდზე თამაში დიდად არ ეხერხება; ამასთან, ანდრეს ესპანელი სამივე პირად შეხვედრაში დაემარცხებინა.

და რა მოხდა? როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი სწრაფად, 49 წუთში დასრულდა, ოღონდ გამარჯვების ნიშნად აგასის ხელები არ აუწევია და ქომაგებისთვის საჰაერო კოცნა არ გაუგზავნია. ამის ნაცვლად კლავეტის გაკვირვებული სახე ვიხილეთ, რომელმაც მეტოქე 6:1, 6:2 გაანადგურა.

„შოკირებული ვარ. დიდი ხანია, ასე არ წამიგია და ეს სასიამოვნო სულაც არ ყოფილა. ზოგჯერ გავიწყდება, რომ შეიძლება ასეთი რამ დაგემართოს, თუმცა მსგავსი ნებისმიერ დროს ნებისმიერს შეიძლება შეემთხვეს“ — განაცხადა მატჩის შემდეგ აგასიმ. საყვარელ ჰარდზე უფრო მწარე წაგება მას კარიერაში ერთადერთხელ, შორეულ 1987-ში, ანდრეს გომესისგან ახსოვს (2:6, 0:6).

თუმცა ძნელი სათქმელია, მომხდარმა ხოტორა ლასვეგასელი უფრო გააოგნა თუ მოულოდნელი ტრიუმფატორი: „ამას აშკარად არ ველოდი. ის მსოფლიოს პირველი ჩოგანია და წლეულსაც ყველა მატჩი მოგებული ჰქონდა. რა თქმა უნდა, გამარჯვებაზე ვფიქრობდი, მაგრამ ასეთ იოლზე არც კი მიოცნებია. ასე რომ, რეტდასხმულივით ვარ“.

მატჩის პირველმა სეტმა თვალის დახამხამებაში, 17(!) წუთში ჩაირბინა. ამერიკელმა მასში იმდენი უნებლიე შეცდომა დაუშვა, მთელ ტურნირს რომ ეყოფოდა.

მეორე ხელიდან აგასიმ აგრესიული ტაქტიკა შეცვალა და სცადა, გადაგდებაზე თამაშით გასულიყო ფონს, მაგრამ კლავეტი არც ამჯერად დაბნეულა. ცაცია ესპანელი სწრაფად გადაერთო დაცვიდან შეტევაზე და ზუსტი, კიდეებისკენ მიმართული დარტყმებით მეტოქეს იოლად მოუღო ბოლო.

„მე მასავით მძლავრად არ ვურტყამ. ჩემი მიზანი იყო, ანდრეს კორტზე არაკომფორტულად ეგრძნო თავი და შეცდომები დაეშვა. ამ ტაქტიკამ დღეს გაამართლა. მსოფლიოს პირველი ჩოგნისთვის ადრე არასოდეს მომიგია“ — აღნიშნა ესპანელმა, რომელმაც 1998 წლის უიმბლდონის პირველ წრეში კლასიფიკაციით მეორე მარსელო რიოსი იმსხვერპლა.

ამერიკელმა კი კატასტროფული მარცხი ვერაფრით ახსნა: „არაფერი ვიცი. თავს თავიდანვე უსიამოვნოდ ვგრძნობდი, ბურთის შეგრძნებაც დაკარგული მქონდა. მისი თოფსპინი (მოთიხნარეებისთვის დამახასიათებელი დარტყმა, რომლის დროსაც მობზრიალე ბურთი შედარებით ნელა მოძრაობს, მაგრამ მაღლა ხტება) კორტიდან და ჩემი ჩოგნიდან შორს მიფრინავდა. ამის გამო ცოტა გავფრთხილდი და რიტმიდან საბოლოოდ ამოვვარდი“.

მეოთხედფინალში 30 წლის კლავეტს თავისზე 10 წლით უმცროსი თანამემამულე ხუან კარლოს ფერერო ელის. ამომავალმა ვარსკვლავმა პირველ წრეში დამარცხებულ პატრიკ რაფტერს კიდევ ერთი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, კარლოს მოიაც მიაყოლა 6:1, 7:6 (7:5).

აგასის შერცხვენიდან ერთი საათიც არ გასულიყო, რომ ტურნირ პიტ სამპრასიც გამოეთხოვა. უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონს პროჟექტორების შუქზე საინტერესო შეხვედრა ელოდა ესპანელ ალექს კორეტხასთან, მაგრამ მან ორგანიზატორებს წინასწარ აცნობა, ზურგი ვიტკინე და თამაშს ვერ შევძლებო.

„ისეთი სერიოზული არაფერია, რომ სამი-ოთხი კვირით დასვენება მომიხდეს, მაგრამ არ მინდა, ტრავმა გავიუარესო, წინ მნიშვნელოვანი ტურნირებია. ზურგის ქვედა მარცხენა ნაწილში მყესი დამეჭიმა და ცოტა მაწუხებს.“

პისტოლ პოტმა ყველაფერი გრეგ რუზეცკისთან პირველი წრის მატჩს და სიცივეს დააბრალა: „წლეულს ბევრი არ მითამაშია, ამიტომ გამუდმებით ბადესთან გასვლებმა თავისი გააკეთა. ზურგი მგრძნობიარე ადგილია. მატჩის შემდეგ არაფერი მტკიოდა, მაგრამ მეორე დილით მყესი დაიჭიმა და ვარჯიში ვერ შევძელი“.

მაშინ ამერიკელმა ტურნირის ექიმ ალექს სტობერს მიმართა. ამ უკანასკნელის მცდელობამ, ჩოგბურთელისთვის მობილურობა დაებრუნებინა, შედეგი არ გამოიღო — სამპრასს ისევ უჭირდა მოძრაობა და კიდევ ერთ კოლეგასთან მოთათბირების შემდეგ სტობერმა პიტს დასვენება გამოუწერა.

„მომდევნო ორი დღის განმავლობაში დღეში ორჯერ უნდა ვიმკურნალო. ვიმედოვნებ, კვირას უკვე ვარჯიშსაც შევძლებ. ჩემი მიზანია, ინდიან უელსში, [illegible]ზონის პირველ მასტერსის ტურნირზე ვითამაშო, ამ წუ[illegible]ვის ყველაზე მნიშვნელოვანი ესაა“.

ბუნებრივია, მორიგმა ტრავმამ ბოლო ათწლეულის საუკეთესო ჩოგბურთელი კარგ ხასიათზე ვერ დააყენა. პიტმა დისკოზი გამო შარშან სამი თვე და აშშ-ის ღია პირველობა გამოტოვა, წლეულს კი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში ბარძაყი დაიზიანა და სკოტსდეილშიღა დაუბრუნდა ასპარეზობას.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რადგან ძველი ტრავმების გამო ისეც მკაცრ რეჟიმს ვიცავდი მთელი წლის მანძილზე. თამაშის სურვილი მკლავს, მაგრამ, ალბათ, უმჯობესია, ჭკუა ვიხმარო, კონსერვატიულად მოვიქცე და ისევ დავისვენო, რათა კიდევ რაიმე უბედურება არ შემემთხვეს და რამდენიმე თვე არ გავაცდინო“.

მერვედფინალი: **მარსელო რიოსი** (3, ჩილე) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 7:6 (9:7), 7:6 (7:3); **ნიკოლას ლაპენტი** (4, ეკვადორი) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:4), 2:6, 7:5; **ტიმ ჰენმანი** (5, ინგლისი) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 6:1, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — კრის ვუდრაფი (აშშ) 3:6, 6:2, 6:3; **ალბერტ კოსტა** (7, ესპანეთი) — ანდრეა პაველი (რუმინეთი) 6:2, 6:4.

**ბოგოტა. კოლუმბიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $**

მერვედფინალი: **გუსტავო კუერტენი** (1, ბრაზილია) — სებასტიან პრიეტო (არგენტინა) 6:3, 7:5; **იუნეს ელ აინაუი** (2, მაროკო) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 6:4, 4:6, 7:6 (7:4); **ფელიძს მანტია** (3, ესპანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:4, 7:5; **მარკუს ჰენჩკი** (გერმანია) — ერნან გუმი (7, არგენტინა) 6:3, 2:6, 7:6 (7:3); **მარიანო პუერტა** (არგენტინა) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:4, 6:3; **ალბერტ პორტასი** (ესპანეთი) — ორლინ სტანოიჩევი (ბულგარეთი) 6:3, 4:6, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**



ანდრე აგასი



# შიში შეიქმს პირველობას



ნიცაში პირველი, ეტყობა, ლორან ბროშარი ჩავა

**„პარიზი — ნიცის“** მონაწილეები ლაჟვარდოვან სანაპიროზე გავიდნენ. 197,2-კილომეტრიანი მეხუთე ეტაპის ფინიში მრბოლთა ჯგუფმა გადაკვეთა, ოღონდ ფინალურ ხაზთან შეყრილმა მოსეირეებმა სხვებზე წინ იტალიელი მატეო ტოსატო იხილეს, ხოლო მოწინავე გუნდში მეექვსე იყო საერთო ჩათვლის ლიდერი, ფრანგი ლორან ბროშარი. ახლა სწორედ მის შესახებ მოგითხრობთ.

ბროშარი გასულ სეზონში ნაადრევად მოკვეთეს რბოლებიდან. მკითხველი მიზეზს ალბათ, არ იკითხავს, ისედაც მიხვდება — რა თქმა უნდა, საქმე ერთ რიგით დოპინგის ისტორიასთან გვაქვს. ეს ამბავი შარშან იტალიაში მოხდა და იმის შემდეგ ბროშარს არ უასპარეზია, ახლა კი დაბრუნდა და, როგორც ხედავთ, ეფექტურად — ხუთი ეტაპის შემდეგ იგი საერთო ჩათვლას ისევ ლიდერობს და რაც დრო გადის, საბოლოო გამარჯვებასაც უახლოვდება. წინათ ფრანგი არაფერს ამბობდა, მხოლოდ მარსელში ამეტყველდა და ოპტიმისტურადაც — „დრო ჩემთვის გადის. ტურის დასრულებას სამი ეტაპი აკლია და ვიცი, რომ ჯერაც მრავალი შეტევის მოგერიება მომიწევს, მაგრამ ახლა უფრო იმედიანად ვარ, ვიდრე უწინ“. სადღეისოდ ბროშარის ყველაზე საშიშ მეტოქედ საერთო ჩათვლის მეორეადგილოსანი, გერმანელი ანდრეას კლოედენი მიაჩნიათ, თუმცა თავად ბროშარი სხვაგვარად ფიქრობს. მას თურმე ამერიკელი ბობი ჯულიჩის ეშინია, რომელიც ახლა მეშვიდეა და ლიდერს 17 წამით ჩამორჩება. და ვისი არ (თუ აღარ) ეშინია ბროშარს? ვისი და იტალიელი ფრანჩესკო კასაგრანდესი. ეს კაცი მეხუთე ეტაპამდე მშვენივრად დაჰქროდა, მერე კი ზღვის დანახვამ აწყინა თუ ფეხებზე დამბლა დაეცა, ძლივს მიჩანჩალდა ფინიშამდე, ლიდერზე მეოთხედი საათით გვიან.

**დავით გულუა**

**მე-5 ეტაპის შედეგები**

ბურე ლეტანგი — სისტერონი, 197,2 კმ

1. მატეო ტოსატო (იტალია, „ფასა ბორტოლო“) 4.59.35 სთ
2. ტრისტან ჰოფმანი (ჰოლანდია, „მემორი ქარდი“)
3. სალვატორე კომესო (იტალია, „საეკო“) იგივე დრო



# ირლანდიელებმა დამღუპეს!

## ცხარობს დასჯილი ოლივიე მანი

**საფრანგეთის** მორაგბეთა ნაკრების მორკინალი ოლივიე მანი სამი კვირით მოკვეთეს. ასე დასაჯა იგი ექვსი ერის პირველობის სადისციპლინო კომისიამ. მანს იმაში ედებოდა ბრალი, რომ შოტლანდია-საფრანგეთის მატჩში სკოტ სტიუარტ რიდს თავი ჩაარტყა.

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მორკინალი თავს პატარა შეთქმულების მსხვერპლად მიიჩნევს. „ეს სასჯელი წინდაწინ გამომიტანეს. საქმის გარჩევა უბრალო ფორმალობაღა იყო. დუბლინში კომისიის სხდომაზე ჩასულს უცნაური გარემო დამხვდა. კომისიას ირლანდიელი თავკაცობდა, მაშინ, როცა ერთ კვირაში სწორედ ირლანდიის წინააღმდეგ თამაში გველის“ — განუცხადა შერისხულმა სააგენტო „ფრანს პრესს“.



ოლივიე მანი

განაჩენმა თვით დაზარალებული სტიუარტ რიდიც კი გააკვირვა: „მანს ჩემს წინააღმდეგ უხეშად არ უთამაშია. მისი დისკვალიფიკაცია უსამართლოდ მეჩვენება. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ეს ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო. სამწუხაროდ, მატჩის დამკვირვებელმა სხვაგვარად განსაჯა“— თქვა იმავე სააგენტოსთან საუბრისას შოტლანდიელმა მორაგბემ.

„მამლების“ მთავარი მწვრთნელი ბერნარ ლაპორტი კი თავისი შეგირდის დასჯას სამართლიანად მიიჩნევს, ოღონდ ამბობს, რომ ინციდენტი რიდის პროვოცირებული იყო და პასუხი მისთვისაც უნდა მოეთხოვათ.

„მანი ტურნირის დებულების 26-ე მუხლის დარღვევაში დავადანაშაულეთ და რაგბის თამაში 25 მარტამდე ავუკრძალეთ“ — ნათქვამია სადისციპლინო კომისიის ოფიციალურ კომუნიკეში.

ამ დისკვალიფიკაციის შედეგად შოტლანდიასთან ორი ლელოს გამტან მანს, 19 მარტს ირლანდიასთან მატჩის გამოტოვება მოუწევს. იგი ნაკრებს ექვსი ერის პირველობის ბოლო ტურში დაუბრუნდება 1 აპრილს, როცა საფრანგეთი იტალიას უმასპინძლებს. 26 წლის მორაგბე, ვისაც 33 კეპი მოუხვეჭია, 25 მარტამდე თავის კლუბ „მონფერანსაც“ ვერ დაეხმარება და მას საფრანგეთის ჩემპიონატის რამდენიმე მატჩში გამოაკლდება. აი, ევროპის თასის მეოთხედფინალში „ტულუზის“ წინააღმდეგ კი ოლივიე მანი ითამაშებს.

**გაგი გურული**

# სარბიელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. 24-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 003 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 004 | დუისბურგი-ჰერტა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 005 | ჰამბურგი-ულმი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 006 | ჰამბურგი-ულმი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 007 | ბაიერნი-შალკე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 008 | ბაიერნი-შალკე | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 009 | არმინია-მიუნხენ 1860 | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 12 მარტი | | | |
| 010 | ჰანზა-დორტმუნდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 011 | ვერდერი-ფრაიბურგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 22-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 015 | ოფენბახი-კარლსრუე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 12 მარტი | | | |
| 016 | ვალდჰოფი-ალემანია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 017 | ფორტუნა-ჰანოვერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 018 | კიკერსი-ფიურტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 019 | ბოხუმი-ობერჰაუზენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 13 მარტი | | | |
| 020 | ბერლინი-კიოლნი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 28-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 021 | ასტონ ვილა-ქოვენთრი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 022 | ჩელსი-ევერტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 023 | ლივერპული-სანდერლენდი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 024 | მანჩესტერი-დერბი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 025 | მანჩესტერი-დერბი | | | |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 026 | ნიუკასლი-უოტფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 027 | ნიუკასლი-უოტფორდი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 028 | უენსდი-ვესტ ჰემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 029 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 030 | უიმბლდონი-ლესტერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 12 მარტი | | | |
| 031 | ბრედფორდი-ლიდსი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 032 | მიდლსბრო-არსენალი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 36-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 033 | ბარნსლი-მანჩესტერ სიტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 034 | ბოლტონი-ფულემი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 035 | ჩარლტონი-სუინდონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 036 | ჩარლტონი-სუინდონი | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 037 | ჰადერსფილდი-უოლსოლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 038 | ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 039 | პორტ ვეილი-შეფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 040 | პორტსმუთი-ნოტინგემი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 041 | ქუინზ პარკი-გრიმსბი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 042 | სტოკპორტი-ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 043 | ტრანმერი-ბირმინგემი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 044 | ვულვერჰემპტონი-იფსვიჩი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 12 მარტი | | | |
| 045 | ბლექბერნი-ქრიუ | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 36-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 046 | ბლეკპული-კარდიფი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 047 | ბორნმუთი-პრესტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 048 | ბრისტოლი-ჯილინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 049 | ბერი-როვერსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 050 | ჩესტერფილდი-უიგანი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 051 | კოლჩესტერი-ოქსფორდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 052 | ლუტონი-მილუოლი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 053 | ნოტსი-სტოკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 054 | რედინგი-ბრენტფორდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 055 | სკანთორპი-კემბრიჯი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 056 | რექსემი-ბარნლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 057 | უიკომბი-ოლდემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 36-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 059 | ექსეტერი-პლიმუთი ($16^{00}$) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 060 | ბარნეტი-ჰარტლპული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 061 | ბრაიტონი-საუთენდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 062 | ჩელტენემი-ჰალიფაქსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 063 | ჩესტერი-შრიუსბერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 064 | ჰალი-როჩდეილი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 065 | ლეიტონი-დარლინგტონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 066 | მენსფილდი-მაკლსფილდი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 067 | პიტერბრო-ლინკოლნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 068 | ტორკი-როტერჰემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 069 | იორკი-კარლაისლი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 28-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 070 | ლე ავრი-მეცი | 2,2, | 2,9 | 3,0 |
| 071 | სედანი-პსჟ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 072 | მარსელი-ბორდო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 073 | ნანტი-სტრასბური | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 074 | ბასტია-მონპელიე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 075 | სენტ ეტიენი-რენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 12 მარტი | | | |
| 076 | ლანსი-ტრუა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 077 | ნანსი-ლიონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 078 | ოსერი-მონაკო | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 29-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 080 | გენგამი-ნიორი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 081 | ამიენი-ლე მანი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 082 | სოშო-კანი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 083 | გენიონი-ვალანსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 084 | აიაჩო-შატორუ | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 085 | ნიცა-ლუანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 086 | ნიმი-ტულუზი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 087 | ლავალი-ვასკეალი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 088 | ლორიანი-კრეტეი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### იტალია. სერია "ა". 25-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 089 | ბოლონია-ვენეცია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 090 | ლაციო-ინტერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 12 მარტი | | | |
| 091 | კალიარი-რომა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 092 | მილანი-ვერონა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 093 | მილანი-ვერონა | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 094 | პერუჯა-ლეჩე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 095 | პიაჩენცა-იუვენტუსი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| 096 | რეჯინა-უდინეზე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 097 | ტორინო-ფიორენტინა | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 098 | ბარი-პარმა | 2,6 | 2,7 | 2,6 |

### იტალია. სერია "ბ". 26-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 12 მარტი | | | |
| 100 | ბრეშა-მონცა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 101 | ჩეზენა-ტერნანა | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 102 | კიევო-ნაპოლი | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 103 | ემპოლი-პისტოიეზე | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 104 | ჯენოა-კოზენცა | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 105 | სალერნიტანა-ალძანო | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 106 | სავოია-ფერმანა | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 107 | ვიჩენცა-რავენა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| | 13 მარტი | | | |
| 108 | ატალანტა-სამპდორია | 2,2 | 2,4 | 3,8 |

### იტალია. სერია "ც1/ა". 26-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 12 მარტი | | | |
| 109 | კრემონეზე-ბრეშელო ($17^{30}$) | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| 110 | ლეკო-მონტევარკი ($17^{30}$) | 1,9 | 2,4 | 5,0 |
| 111 | ლუკეზე-ალბინოლეფე ($17^{30}$) | 1,7 | 2,5 | 6,5 |
| 112 | პიზა-კომო ($17^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 113 | რეჯანა-ჩიტადელა ($17^{30}$) | 2,0 | 2,4 | 4,2 |
| 114 | სანდონა-ლივორნო ($17^{30}$) | 2,2 | 2,3 | 4,0 |
| 115 | სიენა-კარარეზე ($17^{30}$) | 1,6 | 2,6 | 7,5 |
| 116 | სპალ-მოდენა ($17^{30}$) | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 117 | ვარეზე-ლუმეცანე ($17^{30}$) | 1,6 | 2,7 | 7,0 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". 26-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 12 მარტი | | | |
| 118 | არეცო-ნოჩერინა ($17^{30}$) | 1,7 | 2,5 | 6,5 |
| 119 | ატლეტიკო-კატანია ($17^{30}$) | 2,9 | 2,3 | 2,9 |
| 120 | აველინო-პალერმო ($17^{30}$) | 2,4 | 2,3 | 3,4 |
| 121 | კროტონე-ასკოლი ($17^{30}$) | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 122 | დი სანგრო-ფ.ანდრია ($17^{30}$) | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 123 | გუალდო-ვიტერბეზე ($17^{30}$) | 2,5 | 2,4 | 3,0 |
| 124 | ლოდიჯანი-ჯულიანოვა ($17^{30}$) | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 125 | მარსალა-ბენევენტო ($17^{30}$) | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 126 | სტაბია-ანკონა ($17^{30}$) | 2,7 | 2,3 | 3,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 28-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 127 | ბილბაო-ბარსელონა | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 128 | რეალი-სევილია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 129 | რეალი-სევილია | | | |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 130 | დეპორტივო-ვალენსია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 12 მარტი | | | |
| 131 | რასინგი-სარაგოსა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 132 | ესპანიოლი-სელტა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 133 | ალავესი-სოსიედადი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 134 | ბეტისი-რაიო ვალეკანო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 135 | ნუმანსია-ოვიედო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 136 | მალაგა-მალიორკა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 137 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 30-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 138 | ტენერიფე-ელჩე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 139 | უელვა-ხეტაფე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 140 | მერიდა-ალბასეტე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 141 | ატლეტიკო "ბ"-სალამანკა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 142 | ოსასუნა-ლოგრონიესი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 143 | კომპოსტელა-ლას პალმასი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 144 | კორდობა-ესტრემადურა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 12 მარტი | | | |
| 145 | სპორტინგი-ეიბარი ($15^{00}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 146 | ლეგანესი-ლეიდა ($15^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 147 | ლევანტე-ვილიარეალი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 148 | ტოლედო-ბადახოსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### პორტუგალია. 25-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 150 | პორტუ-გიმარაეში | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 151 | პორტუ-გიმარაეში | | | |
| | 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| | 12 მარტი | | | |
| 152 | ალვერკა-მარიტიმუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 153 | კამპომაიორენსე-ლეირია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 154 | ჟილ ვისენტე-სალგეირუში | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 155 | ფარენსე-სეტუბალი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 156 | რიუ ავე-ბელენენსეში | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 157 | ბოავიშტა-ბენფიკა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 13 მარტი | | | |
| 158 | ამადორა-სანტა კლარა | 1,5 | 3,1 | 7,0 |

### ჰოლანდია. 25-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 161 | მაასტრიხტი-გრააფსხაპი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 162 | ტილბურგი-ჰერენვენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 163 | როდა-სპარტა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 164 | ტვენტე-კამბური | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 165 | ტვენტე-კამბური | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 166 | ფეიენოორდი-დენ ბოსხი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 167 | ფეიენოორდი-დენ ბოსხი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 12 მარტი | | | |
| 168 | პსვ-უტრეხტი ($17^{30}$) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 169 | პსვ-უტრეხტი | | | |
| | 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,6 |

ბელგია. 26-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 171 | ვესტერლო-სენტ ტრუიდენი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 172 | ანდერლეხტი-აალსტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 173 | ანდერლეხტი-აალსტი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 174 | სტანდარდი-ლიერსი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 175 | გენკი-ლომელი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 176 | გენკი-ლომელი 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,6 |
| 177 | მუსკრონი-გეელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 178 | მუსკრონი-გეელი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 12 მარტი | | | |
| 179 | მეხელენი-ლოკერენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 180 | ჰარელბეკე-ბეერსხოტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 181 | შარლერუა-ბევერენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

საბერძნეთი. 23-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 186 | პანილიაკოსი-პაოკ | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 12 მარტი | | | |
| 183 | პროდეფტიკი-პანაჰაიკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 184 | ირაკლისი-პანათინაიკოსი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 185 | პანიონიოსი-ქსანთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 188 | ოლიმპიაკოსი-აეკ | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 189 | კავალა-არისი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 190 | იონიკოსი-ტრიკალა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 13 მარტი | | | |
| 182 | კალამატა-ეთნიკოსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 187 | აპოლონი-ოფი $17^{00}$ | 4,4 | 3,1 | 1,7 |

ჩეხეთი. მე-20 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 192 | დუკლა-სპარტა ($17^{30}$) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 12 მარტი | | | |
| 193 | ვიკტორია-ბანიკი ($13^{15}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 194 | იაბლონეცი-ბრნო ($17^{30}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 195 | ოპავა-ბოჰემიანსი ($17^{30}$) | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 196 | სლავია-ბლშანი ($17^{30}$) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 197 | სლავია-ბლშანი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 198 | დრნოვიცე-ჰ.კრალოვე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 199 | დრნოვიცე-ჰ.კრალოვე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 200 | სიგმა-ლიბერეცი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

პოლონეთი. მე-17 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 201 | რაძიონკოვი-პოლონია ($17^{00}$) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 202 | გროცლინი-სტომილი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 203 | პოგონი-ლეხი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 204 | ლეგია-გურნიკი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 12 მარტი | | | |
| 205 | ოდრა-ლკს ($17^{00}$) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 206 | პლოცკი-ვისლა ($17^{00}$) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 207 | ვიძევი-რუხი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 208 | ამიცა-ზაგლებე | 1,7 | 3,0 | 4,7 |

თურქეთი. 24-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 11 მარტი | | | |
| 211 | ალთაი-დენიზლი ($15^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 212 | გაზიანთეფი-გენჩლერბირლ. | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 213 | ქოჯაელი-ვანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 214 | ქოჯაელი-ვანი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 215 | ანკარაგიუჯიუ-ფენერბაჰჩე | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | 12 მარტი | | | |
| 216 | ადანა-გიოზთეფე ($15^{30}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 217 | ანთალია-სამსუნი ($15^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 218 | ისთანბული-ბეშიქთაში ($15^{30}$) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 219 | გალათასარაი-ბურსა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 220 | გალათასარაი-ბურსა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

შოტლანდია. 26-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 221 | სელტიკი-სენტ ჯონსტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 222 | სელტიკი-სენტ ჯონსტონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

ავსტრია. 24-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 224 | აუსტრია-ლუსტენაუ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 225 | აუსტრია-ლუსტენაუ 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 226 | რიდი-ტიროლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 227 | ზალცბურგი-ლინცერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 12 მარტი | | | |
| 228 | ბრეგენცი-რაპიდი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

შვეიცარია. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 230 | სერვეტი-ივერდონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 12 მარტი | | | |
| 231 | ლუცერნი-ქსამაქსი ($17^{30}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 232 | ლოზანა-ბაზელი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

დანია. მე-19 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 12 მარტი | | | |
| 233 | ვაილე-აკადემისკი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 234 | ვიბორგი-სილკებორგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 235 | ორჰუსი-ოდენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 236 | ბრიონდბიუ-ესბიერგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 237 | ბრიონდბიუ-ესბიერგი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 238 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 13 მარტი | | | |
| 239 | ლიუნგბიუ-ჰერფიოლგე | 2,4 | 2,9 | 2,6 |

შოტლანდია. თასის 1/4 ფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 240 | ჰიბერნიანი-ფალკირკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 12 მარტი | | | |
| 241 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 242 | რეინჯერსი-ჰართსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

კალათბურთი. NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 812 | ორლანდო-დენვერი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 813 | ატლანტა-ვანკუვერი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 814 | დეტროიტი-პორტლენდი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 815 | დალასი-ფინიქსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 816 | ჰიუსტონი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | 12 მარტი | | | |
| 817 | ბოსტონი-ფილადელფია | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 818 | ნიუ იორკი-სან ანტონიო | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 819 | ნიუ ჯერსი-ორლანდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 820 | ვაშინგტონი-პორტლენდი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 821 | ინდიანა-მაიამი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 822 | მილუოკი-კლივლენდი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 823 | ლეიკერსი-საკრამენტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 824 | გოლდენ სტეიტი-კლიპერსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 825 | სიეტლი-ტორონტო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | 13 მარტი | | | |
| 826 | დეტროიტი-ბოსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 827 | ჩიკაგო-იუტა | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 828 | დენვერი-ლეიკერსი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 829 | ვანკუვერი-სიეტლი | 2,5 | 12,0 | 1,35 |

ჰოკეი. NHL

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 837 | სენტ ლუისი-ანაჰაიმი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 838 | მონრეალი-ბოსტონი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 839 | ოტავა-ტორონტო | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 840 | ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 841 | პიტსბურგი-რეინჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 842 | ფლორიდა-ჩიკაგო | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 843 | ფინიქსი-ვანკუვერი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 844 | ლოს ანჯელესი-კალგარი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| | 12 მარტი | | | |
| 845 | კაროლინა-ატლანტა | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 846 | ბუფალო-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 847 | ნეშვილი-ედმონტონი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 848 | დალასი-სენტ ლუისი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 849 | ტამპა ბეი-ჩიკაგო | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 850 | კოლორადო-ფილადელფია | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| | 13 მარტი | | | |
| 851 | რეინჯერსი-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 852 | პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 853 | ატლანტა-ედმონტონი | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 854 | ფინიქსი-ფილადელფია | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 855 | ლოს ანჯელესი-ვანკუვერი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 856 | სან ხოსე-კალგარი | 1,7 | 4,0 | 2,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

საქართველოს ჩემპიონატი

# 21 ტური ანონსი

| | |
|---|---|
| 11 მარტი. ვერის ბაღი. 13.00<br>შევარდენი — სსუ | 12 მარტი. ვერის ბაღი. 14.45<br>ვითა — სტუ |
| 11 მარტი. ვერის ბაღი. 14.45<br>ასკ — მაკაბი | 12 მარტი. რუსთავი. 14.00<br>აზოტი — თსუ |
| 12 მარტი. ვერის ბაღი. 13.00<br>გორი — დინამო | 13 მარტი. ბათუმი. 14.00<br>ბასკო — სდასუ |

რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა, ოცდამეერთე ტურის ექვსი შეხვედრა სამ დღეზე გადანაწილდება. ბათუმში შაბათს გასამართი „ბასკო" — სდასუ-ს მატჩი ორშაბათს გაიმართება, რადგან თურქულ ტურნეზე მყოფ ზღვისპირელთა ჩამოსვლა მანამდე არ ესწრება. ვიცე-ჩემპიონი რუსთავის „აზოტი" თავისსავე ქალაქში უმასპინძლებს ექვსეულში ადგილის მაძიებელ თსუ-ს, დანარჩენი ოთხი შეხვედრა კი ამ უქმეებზე დედაქალაქური ვერის ბაღის კედლებს ააყრიამულებს.

უმრავლესობის ყურადღებას ამ ტურში ჩემპიონ „ვითასა" და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის დაპირისპირება იპყრობს. მართალია, ორივე მათგანმა ვადამდე დაიბევა ელიტარულ ექვსეულში თამაში, მაგრამ ეს კლუბებს მოდუნების უფლებას სულაც არ აძლევს. „ვითაცა" და სტუ-ც წინ იყურებიან, მათ სულ ცოტა, ოთხეულში თამაში ამოუჭრიათ გულში და საამისოდ აქედანვე თადარიგი უნდა დაიჭირონ. ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მატჩში ფეხის დაცდენაც კი შესაძლოა მათ ძალიან ძვირად დაუჯდეთ, ოთხეულში შესაღწევად ბრძოლაში ამ წყვილს უკვე სტუდენტური სდასუ-ც ჩაუზიარად და ესეც ერთი ნიშანია საიმისოდ, რათა ამ გუნდებმა თითოეული ქულის ფასი და მნიშვნელობა გაიაზრონ.

საქმე ისაა, „ვითასა" და სტუ-ს მეოთხეობაც ხელს არ აძლევს. მათ სამეულში ადგილის დამკვიდრება სურთ, რითაც პლეი ოფში „ბასკოს" მეტოქეობას აიცილებენ. ამ მატჩში გამარჯვებულს, აკი კარგი შანსიც ეძლევა სასურველ ადგილზე მყოფმა შეაღწიოს ექვსეულში, რადგან უშუალო კონკურენტი, სდასუ, ორშაბათს აჭარას სტუმრობს და დიდად საეჭვოა, იქაურობას ორ ქულას გამორჩეს. რაკი ამ ვარიანტს თითქმის გამოვრიცხავთ, გამოდის, რომ ამ ტურის შემდეგ, სამეულში დამკვიდრების პატივი „ვითასა" და სტუ-ს შორის ერთ-ერთს ერგება. პირველი წრისა არ იყოს, თუ ახლაც ჩემპიონმა იძალა, მეტოქესთან ურთიერთშეხვედრებში ორამდე გაზრდის თავის უპირატესობას (წინა წრეში „ვითამ" სტუ-ს 78:75 მოუგო), რაც დასახული მიზნის მიღწევას — რადაც არ უნდა დაუჯდეს, ნახევარფინალში „ბასკო" აიცილოს — ერთიორად გაუადვილებს „ვითას". ტექნიკოსთა გამარჯვების შემთხვევაში ეს კლუბი კიდევ უფრო მომაგრდება მესამე პოზიციაზე. ჯერ ერთი ქულით გაუსწრებს მეტოქეს და მეორეც, მას ურთიერთბალანსშიც გაუტოლდება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელ ტურში სტუ ულაპარაკოდ ორ ქულას წაჰგვრის ერთ-ერთ აუტსაიდერ სსუ-ს, ხოლო „ვითას" უმძიმესი ბრძოლის გადახდა მოუწევს „ბასკოსთან", აღმოვაჩენთ, რომ კიდევ უფრო კარგი პერსპექტივა ეშლება ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს.

ყოველივე ეს მაინც ვარაუდია და სჯობს, მოვლენათა შემდგომ განვითარებას დაველოდოთ. ახლა, უბრალოდ, ჩვენეულ აზრს მოგახსენებთ, თუ რომელ მათგანს უფრო ძალუძს წარმატების მიღწევა. ვფიქრობთ, ნუგზარ ჭეიშვილის სტუ-ს გამარჯვების უფრო მეტი შანსი აქვს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტექნიკოსთა უპირეტესობა ფარზე, სადაც ამ გუნდს ერთბაშად ოთხი გამოცდილი მოთამაშე ჰყავს — ოთიურიძე, კორძაძე, მინაშვილი და ორმოცაძე. ვითელ ახალკაცსა და ქევხიშვილსაც ვერ უწოდებ გამოუცდელს, მაგრამ ჩემპიონთა უკანასკნელმა თამაშმაც დაგვარწმუნა, რომ ცენტრის ამპლუაში ეს კლუბი გაძლიერებას საჭიროებს. „ვითას" უკანახაზელთა დუეტი — უსტიაშვილ-ტურაშვილის სახით საკმაოდ აგრესიულია და ნებისმიერ მეტოქეს დიდ საფიქრალს უჩენს, მაგრამ ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ მთლიანობაში „ვითა" უვარჯიშებელია, რაც, ბუნებრივია, ამ ტანდემის გარჯასაც დაღს ასვამს. სტუ კი დიახაც რომ ნავარჯიშევია და მოწინააღმდეგესთან შედარებით უფრო შეკრული გუნდის შთაბეჭდილებასაც ტოვებს. ნუგზარ ჭეიშვილს ზურგს ისიც უმაგრებს, რომ საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს და რომელიმე კალათბურთელის ღირსეული შემცვლელის მოძიება არ ეძნელება. მართალია, პირველ წრეში დამარცხდა ეს გუნდი „ვითასთან", მაგრამ ეს, ალბათ, უფრო იმას უნდა მივაწეროთ, რომ წლეულს სტუ-მ ძირეულად იცვალა იერი და ჩემპიონთან შეტოქებაც მალევე, მეორე ტურში მოუწია. ის დრო კი, ვფიქრობთ, არ ეყო ჭეიშვილს ახალწვეულების შესათამაშებლად. ასეა თუ ისე, „ვითას" მაშინდელ მოგებას შემთხვევითი მაინც არ ეთქმის, გელა წულაძის გუნდმა პირველ წრეში შეკრულ-შეთამაშებული რუსთავის „აზოტიც" დაამარცხა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ წლეულს საგრძნობლად შესუსტებული შვიდგზის ჩემპიონის ჩამოწერა ჯერ მაინც არ ეგების. „ვითა" „ვითაა" და კონკრეტული თამაშისთვის ნებისმიერ დროს შეძლებს მობილიზებას, ეს არც სტუ-მ უნდა დაივიწყოს, რომელიც გულში იქნებ წინდაწინვე ზეიმობს გამარჯვებას. „ვითას" წინააღმდეგ თამაშისას ამგვარი ფიქრი კი დამღუპველია და სხვა არაფერი.

ამ დაპირისპირებაზე თხრობამ თითქოს ჩრდილში მოაქცია სადღეისოდ მეცხრე ეროვნულის ყველაზე დიდი ინტრიგა. ექვსეულში შესაღწევად თსუ-სა და „მაკაბის" მეტოქეობა კვლავაც გრძელდება და ნელ-ნელა გადამწყვეტ სტადიაში შედის. და თუ თქვენი ყურადღება ოდნავ შეგვიანებით გავამახვილეთ ამაზე, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ტური არსებითად ვერაფერს შეცვლის ამ გუნდების დავაში და ყველაფერიც ბოლო ტურში გაირკვევა. აკი გითხარით, თსუ ამ უქმეებზე რუსთავში თამაშობს და სასწაულიც რომ მოახდინოს, ბედის სასწორს თავისკენ ველარ გადმოხრის. თუ მოიგებს ორ ქულას კი შეიმატებს, მაგრამ არც ის დაივიწყოთ, რომ მისი მდევარი „მაკაბი" თავის მხრივ სუსტ ასკ-ს ეთამაშება, რომელიც ერთიორად მსუბუქი წონისაა, ვიდრე „მაკაბი". ყოველივეს იქითკენ მივყავართ, რომ მეტი მოთმინება გამოვიჩინოთ და 19 მარტს დაველოდოთ, როცა „მაკაბი" და თსუ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმებიან ერთმანეთს და ექვსეულის იმ ერთ წევრსაც გამოააშკარავებენ, რომლის ვინაობაც დღემდე ბუნდოვანია.

„შევარდენი" — სსუ-ს შეხვედრაში საავიაციო ქარხნის გუნდი აშკარა ფავორიტია. მით უფრო, რომ სოხუმელთა ლიდერ ბუბა ბერიშვილს ხელის ტრავმა აწუხებს და ამ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს. შევარდენელთა ახალ თავკაც სერგო იმხნელსაც წინ ვერაფერი დაუდგება, რათა თავისი გუნდის წაუგებელი სერია სამ მატჩამდე გაზარდოს.

„გორი" — „დინამო" ისეთ შეხვედრათა კატეგორიას მიეკუთვნება, როცა წინასწარ ვერაფერს განსაზღვრავ. გადაჭრით ვერ იტყვი, გინდა თუ არა, ეს მოიგებსო, რადგან მეტ-ნაკლებად ორივე თანაბარი კლასის გუნდია. ერთსაც და მეორესაც თავისი ლიდერი ჰყავს. ქართლელებს წინ იოსებ ნინოშვილი მიუძღვება, დინამოელებს კი გიორგი ნიკოლაძის ეიმედებათ. ერთი სიტყვით, ამ ორ კალათბურთელზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული და ის გუნდი იხეირებს, რომელიც მეტად გამოიყენებს თავისი ბომბარდირის შესაძლებლობებს.

ამ ტურს, როგორც უკვე გითხარით, „ბასკო" — სდასუ-ს ბათუმური შეხვედრა დაასრულებს. თურქეთმოვლილი ზღვისპირელები იქნებ დაღლილობამ ოდნავ შეაფერხოს, მაგრამ ისეთი რა უნდა მოხდეს, რომ სტუდენტურ სდასუ-ს სათანადოდ ვერ გაუსწორდეს. სდასუ ურიგო გუნდი სულაც არ გახლავთ, თუმც არც ისეთი სიძლიერისაა, რომ „ბასკო" თავისსავე ქალაქში ბეჭზე გააკრას...

**გიორგი ბიძაშვილი**



პირველი წრის სტუ — ვითა 75:78. სტუდენტი ლაშა ლოსაბერიძე (ბურთით) ჩემპიონთა ბარიერს წააწყდა

# ბასკომ თურქეთი თამაშ-თამაშ მოიარა

ანკარაში „მულქიესთან" მატჩის დამთავრებიდან 18 საათის შემდეგ ბათუმის „ბასკო" ბურსაში „ოიაქ რენოს" წინააღმდეგ წარდგა. ამ 18 საათში შედის ის 7 საათიც, რომელიც გუნდმა ანკარიდან ბურსაში ავტობუსით მგზავრობას მოანდომა. მჭიდრო გრაფიკია, ვერაფერს იტყვი, მაგრამ ბათუმის გუნდის თურქული ტურნეს ვადები ასე ითხოვს.

ბურსას „ოიაქ რენო", ანუ უბრალოდ „ოიაქი", როგორც თურქეთის ჩემპიონატის სარბიელისეულ მიმოხილვაში მოვიხსენიებთ, გათამაშების აუტსაიდერია. ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ოიაქმა" ერთ-ერთი მოწინავე ანკარის „ტელეკომი" დაამარცხა 96:80 სტუმრად, თუმცა სატურნირო მდგომარეობა ვერ გამოისწორა. იმ მატჩში კარგად ითამაშა ამერიკელმა ვილიამსმა, ხოლო მაკედონიელი დეიან იოვანოვსკი ტურის სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა. ამ კალათბურთელმა ხუთიდან ხუთი სამქულიანი ჩაუგდო „ტელეკომს". იოვანოვსკი მაკედონიის ნაკრების წევრია, უკანა ხაზში თვით პეტარ ნაუმოსკის მეწყვილე.

„ოიაქის" მწვრთნელის თანაშემწე აზერბაიჯანელი სპეციალისტი ელჰან ალიევია, რომელიც წლების განმავლობაში თავკაცობდა ჩვენი მეზობელი რესპუბლიკის ახალგაზრდულ ნაკრებს. ალიევმა იცნო „ბასკოს" მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე — ეს მოგონება ახალგაზრდულ საკავშირო ტურნირებს უკავშირდებოდა. საქართველოს მაშინდელი ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელი პაატა გურასპაულიც მოიგონა ალიევმა. მერე კი მან „ბასკოს" მეორე მწვრთნელი ვალერი ალთაბაევიც ინახულა და თავის კლუბის ხელმძღვანელებს ძველი კოლეგა-მეგობრები დიდი პატივით წარუდგინა.

„ბასკოს" წინააღმდეგ არ უთამაშია ვილიამსს: „ტელეკომთან" თამაშისას მას ცხვირი გაუტყდა. იოვანოვსკის მეურვეობა ალეკო დავითულიანმა იკისრა და თავიდანვე ძალიან მჭიდროდ ეთამაშა მაკედონიელს. დავითულიანის თავგამოდების წყალობით იოვანოვსკიმ ცუდად ითამაშა და მეორე ტაიმის დასაწყისში მოედნიდან გავარდა.

თავიდან „ბასკო" დაწინაურდა, ოღონდ მის შეტევებს სპონტანური ხასიათი ჰქონდა. უფრო ინდივიდუალური, ვიდრე გუნდური თამაშის წყალობით, ბათუმელები 15:8 დაწინაურდნენ. დავითულიანის და იოვანოვსკის ამბავი უკვე მოგახსენეთ, სამაგიეროდ ხშირად სასროლ პოზიციაზე უპატრონოდ რჩებოდა ბარიშ ოზჯანი, რომლის ორმა სამქულიანმა ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა — 17:15. „ბასკო" დაცვაში ამუშავდა, ჩაჭრებზე ყურადღება გაამახვილა და რვა ქულით დაწინაურდა (23:15). მერე დაცვა ისევ მოიშალა და ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ანგარიში გათანაბრდა — 27:27.

„ოიაქმა" თამაში ფარქვეშ გადაიტანა. ამის გასანეიტრალებლად მოედანზე ირაკლი ბაქრაძე გამოჩნდა, რომელმაც სულ ცოტა ხანში მიიღო ოთხი პერსონალური. სანამ „ოიაქი" ანგარიშს გაათანაბრებდა, „ბასკომ" დაახლოებით ხუთი წუთი ბურთი ვერ ჩააგდო. ნავსი ირაკლი მაისურაძემ გატეხა და პირველი ტაიმი დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში დამთავრდა. მასპინძელთა ხუთქულიანი უპირატესობა ძირითადად ფარზე გაბატონებით შეიძლება აიხსნას.

მეორე ტაიმში თავი იჩინა „ბასკოში" ნომინალური ცენტრის არყოფნის პრობლემამ. „ოიაქის" ცენტრი ჰიზრი გიუნერი ფარქვეშ თავისუფლად მიდიმოდიოდა. ბათუმელებმა ამ ნაკლის აღმოფხვრა დასწრებაზე თამაშით და დაცვაში პოზიციის სწორად შერჩევით სცადეს. ამან დროებით გაჭრა და „ოიაქის" ცხრაქულიანი უპირატესობა სამ ქულამდე შემცირდა (50:47). სწორედ აქ გავარდა იოვანოვსკი, ხოლო „ოიაქმა" გიუნერის ფარქვეშ მეორე ცენტრი, ფოლათ ქოჯაოღლუ მიაშველა. გიუნერი მოხსნებზე მუშაობდა, ხოლო ოდნავ გვერდზე გაწეულმა ქოჯაოღლუმ საშუალო მანძილებიდან შეუტია. სამწუხაროდ, „ბასკოს" წინა ხაზმა ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქის კოლეგებს და დამთავრებამდე 7,40 წუთით ადრე ანგარიში 74:58 გახდა.

„ოიაქი" მეტად ხისტად თამაშობდა, ჯარიმებს საჭირო მემენტებში იღებდა და ამის გამო ოხჯანს, გიუნერის და რუსლან ბენგერს (თურქეთის მოქალაქეობამიღებული ბაქოელი რუსია) ოთხ-ოთხი პერსონალური დაუგროვდათ. „ბასკომაც" თამაში ცენტრად გამწესებულ ვალერი კილაძეზე ააწყო. ვალერი ფარქვეშ დატრიალდა და გიუნერი თამაშიდან გააგდო. ცოტა ხანში მის გზას ოხჯანი გაუდგა — ამ შემთხვევაში დავითულიანმა ივაჟკაცა.

ლიდერების გავარდნამ „ოიაქზე" უარყოფითად იმოქმედა: გუნდმა ექვსი წუთი და ოცდაათი წამი ქულა ვერ აიღო. „ბასკოს" კი ფრთები შეესხა და ორწუთიანი მონაკვეთი 8:0 მოიგო. 74:66-ზე „ოიაქის" სასარგებლოდ, „ბასკოს" სრული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მანაც მეტოქეს მიბაძა და დაახლოებით სამი წუთი უქულოდ გაატარა. რას არ ნახავდით ამ სამ წუთში: ბათუმელები მეტოქეს შეტევებს უჭრიდნენ, ფარზე ბურთებს ართმევდნენ, მაგრამ რად გინდა; იმდენი შეცდომა დაუშვეს, რამდენიმე თამაშს ეყოფოდა. მრავლად იყო აცდენილი საჯარიმოები, გარბენები, ბურთის უწყინარ სიტუაციაში დაკარგვები, უმისამართო პასები... როცა ეს კოშმარი დასრულდა, სირენამდე წუთნახევარი იყო დარჩენილი. „ბასკო" შეგნებულ დაჯარიმებაზე გადავიდა, მაგრამ საჯარიმოს ხაზზე ძირითადად გიოქჰან გიუნერი იდგა, რომელსაც მიზანმა არცერთხელ არ უმტყუნა და შედეგად, „ბასკო" პირველად დამარცხდა (70:87) თურქულ ტურნეზე და საერთოდ ამ სეზონში.

„ბასკოს" მთავარი მწვრთნელის ზურაბ ტომარაძის მატჩისშემდგომი კომენტარი ამგვარია: „ ტურნემ და, განსაკუთრებულად ამ მატჩმა დაგვანახა, რომ „ბასკო" ფიზიკურად სათანადოდ მზად არ არის. ამ მხრივ დიდი მუშაობა გველის. ახლა, საქართველოს ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის წინ ფიზმომზადების ფორსირება გაუმართლებელია, ამიტომ ნაკლის გამოსწორება ეტაპობრივად მოგვიწევს. მთავარია, რომ ამ მხრივ რეზერვი არსებობს.

დამარცხების მიუხედავად, „ბასკოს" თამაშს დამაკმაყოფილებლად შევაფასებდი. აქ ვითვალისწინებ იმას, რომ გუნდი ყოველდღიური თამაშების რიტმს მიუჩვეველია, დაღლილობამაც თავისი გაიტანა, „ოიაქიც" რიგიანი გუნდია — არა აქვს იმას მნიშვნელობა, რომ თურქეთის ჩემპიონატის აუტსაიდერია. ბურსელებს ყოველ კვირა ევროპის წამყვან კლუბებთან უწევთ პაექრობა და ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვთ. თუმცა, ამით თავის გამართლებას არ ვცდილობ: შეცდომები მეც და მოთამაშეებმაც დავინახეთ და ობიექტური შეფასებით მათ გამოსწორებაზე ვიფიქრებთ. კონკრეტულად ვიტყვი: გვაკლია სათამაშო დისციპლინა, რომელიც გუნდს კალაპოტში მოაქცევს და დღევანდელ შეცდომებს აგვაცილებს. ექსტრემალურ სიტუაციებში, როცა მოედანზე ძალისმიერი თამაში მიდის, კომბინაციური მოქმედება არ გამოგვივიდა, ეტყობა, ამის გათავისებასაც დრო უნდა — ნუ დავივიწყებთ იმას, რომ „ბასკო" რამდენიმე თვის გუნდია. უეცრად პროგრესზე ლაპარაკი ნაადრევია. თუკი დასკვნებს სწორედ გამოვიტანთ, ჩვენს გუნდს თურქულ ტურნეზე მიღებული გამოცდილება საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფშივე წაადგება".

გუშინ, საქართველოში გამოგზავრებამდე „ბასკო" ბურსაში „თოფაშის" სათადარიგო გუნდს, მეორე ლიგის „ტაჩსფორს" ეთამაშა და ამჯერადაც დამარცხდა — 90:100. „ოიაქთან" კი ბათუმელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: მაისურაძე (10), აბრამიძე (5), დავითულიანი (11), ბეჟანიშვილი (17), ვ. კილაძე (27), ბაქრაძე, კეშელავა

**მერაბ რატიშვილი ბურსადან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეგულარული ჩემპიონატი

# განზე გამდგარ კაცს გაუმარჯოს!

9 მარტი

**ინდიანა 127:119 პორტლენდი**
(ძირითადი დრო 106:106)
ინდიანა: ჯეკსონი (23), სმიტსი (22), მილერი (17), მულინი (17)
პორტლენდი: ველსი (29), ვოლესი (24 ქულა, 11 მოხსნა), საბონისი (21 ქულა, 11 მოხსნა)

**ატლანტა 79:105 სან ანტონიო**
ატლანტა: მაკლეოდი (15)
სან ანტონიო: ჯონსონი (18), დანიელსი (18)

**დალასი 79:100 მინესოტა**
დალასი: ბრედლი (26)
მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 13 მოხსნა)

**იუტა 101:82 ჰიუსტონი**
იუტა: სტოქტონი (17), ეისლი (17), მელოუნი (16)
ჰიუსტონი: ანდერსონი (16), ნორისი (16)

**გოლდენ სტეიტი 92:109 ლეიკერსი**
გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (41), მარშალი (16 ქულა, 12 მოხსნა)
ლეიკერსი: ბრაიანტი (30), ონილი (29 ქულა, 13 მოხსნა)

9 მარტს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გამართული ხუთი შეხვედრიდან ყველაზე მეტი ყურადღება „ინდიანა" — „პორტლენდისკენ" რომ იყო მიპყრობილი, ეს ცხადზე ცხადია. დანარჩენი ოთხი ულიმღამო თამაშის ფონზე ეს მატჩი მართლაც ერთობ დაძაბული გამოდგა. ამისთვის ბევრი წინაპირობა არსებობდა. „ინდიანა" აღმოსავლეთში ლიდერობს და, ბუნებრივია, თავს არავის დააჩაგვრინებს. „პორტლენდი" თავის კონფერენციაში პირველი არაა, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტოქეზე მეტი მოუგია და ნაკლები წაუგია, თან იგი ხომ თავმოყვარე გუნდია. ამ თამაშამდე ორი შეხვედრა სამარცხვინოდ წააგო და ახლა ყველანაირად შეეცდებოდა დაემტკიცებინა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობა იყო. თავის მხრივ „ინდიანასაც" არ სურდა, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ შერცხვენილიყო, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძლიერ მეტოქეს ეთამაშებოდა. გარდა ამისა, მასპინძლებს ისიც უმაგრებდათ ზურგს, რომ ზედიზედ 24 შინაური თამაში მოეგოთ, რაღა ახლა აგვიკანკალდება ხელიო, ფიქრობდნენ ისინი.

„ინდიანას" ერთი კარგი ბიჭი, ჯალენ როუზი აკლდა. წამყვან ინდიანელთა შორის ყველაზე ახალგაზრდა და მოედანზე ცეცხლის დამნთებ როუზს გრიპი ჰქონია. მწვრთნელ ლარი ბერდს ბევრი არ უფიქრია იმაზე, თუ ვინ შეეყვანა მის ნაცვლად სასტარტო ხუთეულში. ყმაწვილი როუზის ადგილი გადაბერებულმა კრის მულინმა დაიკავა. ეს სახელი კარგადაა ცნობილი. ათი წლის წინ მულინი ლიგის მეორე მსუბუქ ფორვარდად (ჩვენებურად ფრთა) ითვლებოდა თვით თავისი ახლანდელი დამრიგებლის, ლარი ბერდის შემდეგ და ბარსელონის ოლიმპიადაზე დიდ გუნდ „დრიმ თიმის" რიგებში ოლიმპიური ოქრო მოუპოვებია. ამ ერთი წლის წინ მულინი „ინდიანას" ხუთეულში თამაშობდა, მაგრამ ამ სეზონის დაწყებამდე თავად უთხოვია მწვრთნელ-მეგობარ ბერდისთვის, მოვხუცდი, დროა, ჯალენს მეტი გასაქანი მივცეთ, ამიტომაც ხუთეულში ეგ დააყენეო. როუზმა ივარგა, რეჯი მილერის შემდეგ გუნდის მეორე მექულე გახდა. ახლა კი კვლავ მულინის ჯერი დადგა. მანაც დაამტკიცა, რომ ჯერ ისე არ დაცემულა, ანგარიში არ გაუწიონ.

თამაში თავიდანვე უკიდურესად დაძაბულად დაიწყო, თუმც მასპინძელთა მცირე უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა. პირველი მეოთხედის ბოლოს ამ უპირატესობამ მილერისა და მულინის წყალობით რვა ქულას უწია. მეოთხედიც ასე დამთავრდა — 33:25. „პორტლენდი" დიდხანს წვალობდა ამ დეფიციტის აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებით ბონზი ველსი აქტიურობდა. იგი „პორტლენდში" ერთ-ერთი უსახური ქვედა ლიგიდან მოვიდა და საკმაოდ კარგ სათადარიგოთაც იქცა, მაგრამ ამდენი თუ შეეძლო, არავინ იფიქრებდა. ველსმა „ინდიანასთან" 29 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა. მისი ლაღი თამაშის გარდა სხვაც იყო მატჩში თვალსაჩინო. ორი ევროპელი ცენტრის — ლიტველი არვიდას საბონისისა და ჰოლანდიელი რიკ სმიტსის ჭიდილზე მოგახსენებთ. ამ თეთრმა გიგანტებმა (საბონისი 221 სანტიმეტრია, სმიტსი — 224) ერთმანეთი საფუძვლიანად გააწვალეს. მესამე მეოთხედში ლიტველმა იძალა, მეოთხე პერსონალური მიაღებინა ინდიანელს და ბერდმაც სმიტსი დაასვენა, მერე კი ცოტა დააგვიანა მისი მოედანზე შეყვანა. იგი ბოლო მეოთხედის დამთავრებამდე 12 წამით ადრე გამოჩნდა და რადგან 15 წუთის უთამაშებელი იყო, ბურთი ააცილა. ამ დროს ანგარიში 106:106 გახლდათ და რაკი ვერც სტუმრებმა ივარგეს, თამაში ოვერტაიმში გადავიდა. დამატებით დროში სმიტსმა შეძლო თავისი შეცდომის გამოსწორება, საწყის ორ წუთში ექვსი ქულა მიითვალა და თავისიანები 115:108 დააწინაურა, ხოლო როცა სტუმრებმა, საბონისმა, ვოლესმა და შრემპფმა უკანასკნელად გაიბრძოლეს, „ინდიანას" გამოცდილმა გამთამაშებელმა მარკ ჯეკსონმა ერთბაშად სამი სამქულიანი დაატეხა თავს „პორტლენდს".




ინდიანა — პორტლენდი. ეს შეხვედრა ორი ევროპელი ცენტრის, ლიტველ არვიდას საბონისისა (№11) და ჰოლანდიელ რიკ სმიტსის (თეთრ ფორმაში) დაპირისპირებად იქცა

ასე დამთავრდა ეს ლამაზი თამაში. „ინდიანამ" თავისი შინ მოგებების სერია 25 მატჩამდე გაზარდა, „პორტლენდმა" კი ამ სეზონში ზედიზედ სამჯერ პირველად წააგო. წინა ორში მარცხი თავისი უნიათობის გამო იწვნია, მესამეში მეტოქემ ითამაშა ფხიანად.

„პორტლენდს" უილბლობის ჭია შეუჩნდა, ამასობაში კი „ლეიკერსმა" ზედიზედ მე-17 თამაში მოიგო და გააუმჯობესა სეზონის რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. „ლეიკერსმა" სან ფრანცისკოში იოლად გაისეირნა. წინა თამაშში 61 ქულის ჩამგდები შაკილ ონილის სანახავად „არენა ინ ოკლენდში" ოცი ათას კაცზე მეტი მოგროვდა. „გოლდენ სტეიტის" შინაურ სარბიელს მიმდინარე სეზონში ასეთი ხალხმრავლობა არ ახსოვს, თუ არ ჩავთვლით წლეულს აქ გამართულ „ოლ სტარის" მატჩს. ისე, იმ თამაშის მნახველთაგან ბევრი ინანებდა, რომ ბილეთში ფული გადაყარა. მატჩში ხეირიანი არაფერი მომხდარა. შეხვედრას მხოლოდ თანაგუნდელთა — კობი ბრაიანტისა და შაკილ ონილის დუეტი ახალისებდა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ მეტ ქულას მოაგროვებდა და რაკი ონილი ამჯერად მოკრძალებულ 29-ს დასჯერდა, ერთი ქულით ჩამორჩა ბრაიანტს. თუმც ამ ორივეს აჯობა გოლდენსტეიტელმა ლარი ჰიუზმა, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ ხელს არავინ უშლიდა და საბოლოოდ 41 ქულით პირად რეკორდსაც გამოჰკრა ხელი.

ასევე უინტერესოდ წარიმართა დანარჩენი სამი თამაში და სამივე წინასწარ ფავორიტებად მიჩნეულმა გუნდებმა მოიგეს. „იუტა" — „ჰიუსტონის" შეხვედრაში „იუტას" ლიდერებმა — მელოუნმა, სტოქტონმა და ჰორნაჩეკმა ლამის მატჩის ნახევარი სათადარიგოთა სკამზე გაატარეს. ეს სამეული ბოლო მეოთხედში საერთოდ არ გამოსულა მოედანზე. „ჰიუსტონს" მასპინძელთა სათადარიგოებიც იოლად გაუსწორდნენ — ბოლო თორმეტწუთეულში „იუტას" 32 ქულიდან 29 სწორედ შემცვლელებზე მოდის.

ასევე იოლად იმარჯვეს სხვა შუადასავლელმა გუნდებმა — „სან ანტონიომ" და „მინესოტამ". „მინესოტას" საქმე იმანაც გაუადვილა, რომ მეტოქე „დალასი" მინეაპოლისს დენის როდმანის გარეშე ეწვია.

**ირაკლი ფირაშვილი**

# მომხსნელი მოხსნეს

## რა გავაფუჭე? უკვირს დალასიდან გაგდებულ როდმანს

ვინ არ იცნობს დენის როდმანს? მსოფლიოს ყველაზე ექსცენტრულ სპორტსმენს და ძალიან „ცუდ ბიჭს", რომელსაც საკუთარი ტანი ნაირ-ნაირი სვირინგების გამოფენად უქცევია და თავი მრავალფრად შეუღებავს (ალბათ, ჭაღარა თმებს მალავს). რაღა დასამალია და ისეთივე მრავალფეროვანია მისი ცხოვრებაც, რომლის კიდევ ერთი „ლამაზი" ფურცელი ახლახან ჩათავდა. ორი დღის წინ დენის როდმანი თავის ახალ გუნდ „დალას მავერიკსიდან" გააგდეს. „დენისი გუნდში იმისთვის მოვიწვიეთ, რომ პლეი ოფში მოხვედრაში დაგვხმარებოდა. ახლა ჩვენ პლეი ოფში ვერ ვხვდებით და მინდა, მის ადგილზე ახალგაზრდა ვათამაშო" — თქვა სანაგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე „მავერიკსის" მწვრთნელმა დონ ნელსონმა და თავის ყოფილ შეგირდს ოთხივ მხრივ გზა დაულოცა. აქვე მან იმედი გამოთქვა, რომ 38 წლის თავდამსხმელი კიდევ მონახავს სხვა კლუბს და თავის კარიერას „დალასიდან" წასვლით არ შეწყვეტს.

ცხადია, თვითონ კალათბურთელი უკმაყოფილოა, მეტიც, იგი განცვიფრებულია, რადგან ისეთი არაფერი გაუკეთებია, რისი გულისთვისაც მისი გუნდიდან გაშვება შეიძლებოდა. როცა დენისი ამ ერთი წლის წინ „ლეიკერსში" იყო, აგვიანებდა ვარჯიშებზე და სულაც თამაშებზე არ მიდიოდა. „დალასში" მსგავსი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ორჯერ გააგდეს თამაშიდან მისთვის ჩვეული გამოხდომების გამო. მაგრამ საქმე ხომ როდმანს ეხება და მას თამაშიდან ყოველთვის აგდებდნენ, გასაკვირი არაფერია. „მე ცუდი არაფერი გამიკეთებია, ჩემს სამუშაოს პირნათლად ვასრულებდი, ვთამაშობდი როგორც შემეძლო. ერთი მითხარით, რამე გავაფუჭე?" — ამბობდა გაოგნებული როდმანი და თან თავის აწ უკვე ყოფილი გუნდის ხელმძღვანელებს აკრიტიკებდა. მე მაგათ, უბრალოდ, გულზე არ ვეხატები და ამიტომ მომიცილესო.

როდმანი, როგორც მოთამაშე, ურიგო არაა, მაგრამ „დალასს" იგი ვერ გამოადგა და ამიტომაც გაუშვა. როცა იგი




დენის როდმანი

გუნდში მიდიოდა, მის კონტრაქტში ეწერა, რომ როდმანი გუნდს პლეი ოფში მოხვედრაში უნდა დახმარებოდა. ახლა ეს უტოპიაა. „დალასმა" ვერ შეძლო პლეი ოფისთვის ბრძოლა და მიაჩნია, რომ დიდი მომხსნელი აღარ სჭირდება. არადა, ერთი თვეც არ გასულა, რაც როდმანი თავის მეხუთე გუნდში ჩაირიცხა. სულ რაღაც 12 თამაშის შემდეგ მოთამაშისა და კლუბის გზები გაიყარა. „მავერიქსში" აღარ ახსოვთ, რომ დენისი თამაშში საშუალოდ 2,8 ქულასთან ერთად 14,3 მოხსნითაც ეხმარებოდა თავისიანებს. ეს სეზონი სულ მოთოთხმეტეა კალათბურთელის კარიერაში. ამ ხნის განმავლობაში მას მატჩში საშუალოდ 7,3 ქულა და 13,1 მოხსნა მოუგროვებია.

როდმანის უქმად ყოფნა აბა, როგორ იქნება. მისი სახელი და შარი ხომ განუყოფელია. „დალასის" მესვეურთა უკმაყოფილება იმანაც განაპირობა, რომ გიჟმაჟმა დენისმა მოასწრო, თავი კიდევ ერთ შარში გაეყო. 7 მარტს კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა ანას პოლიციამ დააკავა, როცა იგი ნასვამი მართავდა ავტომობილს. წესრიგის დამცველებმა სიჩქარის გადაჭარბებისათვის გააჩერეს. სწორედ ამ დროს შეამჩნიეს, რომ იგი გვარიანად იყო შეზარხოშებული და შემოწმების შემდეგ სისხლში აღმოაჩნდა კიდეც დაშვებულზე ორჯერ მეტი ალკოჰოლი. როდმანს პოლიციის მიმართ უკმაყოფილება არ გამოუთქვამს — მაგათი საქმე ეგაა, მთელი სიცოცხლე მთვრალებს დასდევენო.

**ივანე ძოწიაშვილი**

# თავს იკლავ, ელიოტ?!

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ნებისმიერი მოთამაშისთვის კალათბურთი სამუშაოა, რომელშიც მას ხელფასს უხდიან. ყოველ მეორე დღეს თამაში, გაუთავებელი გადაფრენები, უამრავი მატჩი რეგულარულ ჩემპიონატში, მერე პლეი ოფი, რომელშიც დაძაბულობა მწვერვალს აღწევს... ყოველივე ეს ერთ[illegible] მომაბეზრებელი და, ცხადია, დამღლელია. მოთამაშეებს ერთი სული აქვთ, როდის ჩამთავრდება სეზონი, რათა გემრიელად დაისვენონ, მაგრამ ბევრია ისეთი, რომელსაც კალათბურთი სიცოცხლეს ურჩევნია და არ დაგიდევთ, თუ რის ფასად უჯდება ეს.

შვიდი თვეც არ გავიდა მას შემდეგ, რაც „სან ანტონიო სფურზის" ფრთამ, შონ ელიოტმა თირკმელი გადაინერგა და კალათბურთელს გული ბურთისკენ და მოედნისკენ მიუწევს. დღეს თირკმლის გადანერგვა ჩვეულებრივი ამბავია. ამგვარი ოპერაცია იშვიათად მთავრდება წარუმატებლად და ადამიანებიც მის შემდეგ კარგა ხანს ცოცხლობენ, მაგრამ დედამიწის ზურგზე არ არსებობს სპორტსმენი, „სხვისი თირკმლით" კვლავ დაბრუნებულიყოს აქტიურ სპორტში და ძველი დონისთვის მიეღწიოს. თუმც ამას არად აგდებს ელიოტი. იგი (ექიმებიც) მიიჩნევს, რომ მის ჯანმრთელობას არავითარი საფრთხე აღარ ემუქრება და აპირებს, უახლოეს მომავალში კალათბურთს დაუბრუნდეს. თარიღიც ცნობილია — ელიოტი ითამაშებს „სან ანტონიო" — „ატლანტას" შეხვედრაში, რომელიც სამშაბათს, 14 მარტს გაიმართება.

ელიოტს თამაშის წყურვილი ჰკლავს და ყოველი დღე საუკუნედ ეჩვენება — „ბედნიერი ვარ. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასე მალე მოვახერხებდი თამაშს. მინდა, მადლობა გადავუხადო მწვრთნელს და მოთამაშეებს, რომლებიც ჩემი ცხოვრების ამ მძიმე პერიოდში გვერდში დამიდგნენ და იოლად გადამატანინეს ყველაფერი".

ელიოტი რომ ნამდვილად ითამაშებს, ეს უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ აქ ერთი პრობლემა წამოიჭრა: მართალია, თამაშის სურვილით ანთებული კალათბურთელი უკვე რამდენიმე კვირაა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ საკითხავი ისაა, როგორ გაუძლებს უზარმაზარ დატვირთვებს. „არ[illegible] მგონია, რომ მას ფსიქოლოგიურად გაუჭირდეს, იგი პროფესიონალია" — ამბობს გუნდის მწვრთნელი და გენერალური მენეჯერი გრეგ პოპოვიჩი — პრობლემა ისაა, თუ როგორ გაუძლებს ამას მისი თირკმელი. მე ვიცნობ შონს, იგი თავს არ დაზოგავს, ვიცი, მას სურს, დაგვეხმაროს და თავის თავს არ უფრთხილდება. ამან შეიძლება ავნოს". ელიოტის გარეშე „სან ანტონიოს" ტიტულის დაცვა მართლაც გაუჭირდება. მოძრავი ელიოტი ხუთეულის შეუცვლელი წევრი იყო ჩემპიონებისთვის, ისევე როგორც, ვთქვათ, ტიმ დანკანი ან დევიდ რობინსონი. მის გარეშე „სან ანტონიო" ისე ველარაა თავის თავში დარწმუნებული, როგორც ერთი წლის წინ. ახლა ელიოტს, ცხადია, გაუჭირდება ფორმის აღდგენა. სხვა თუ არაფერი, აგერ რამდენი თვეა, არ უთამაშია. ელიოტის მისვლით გახარებული, ბევრი ფიქრობს, რომ მასთან ერთად „სან ანტონიო" უეჭველად დაიბრუნებს ჩვეულ იერს, მაგრამ ამ აზრს არ იზიარებს ჭკვიანი რობინსონი. „არ მესმის მათი, ვინც თვლის, რომ ელიოტმა საკუთარი ჯანმრთელობა უნდა შესწიროს გუნდს მსხვერპლად. ვურჩევდი შონს, ცოტა ხანს კიდევ მოეცადა, თუნდაც სეზონის ბოლომდე და ჩვენი გულისთვის არ გაერისკა. ჩემპიონობა კარგია, მაგრამ როცა ახლახან თირკმელი გადაინერგე, არ შეიძლება ამას ზერელედ შეხედო".

აქვე ვთქვათ, რომ 32 წლის ელიოტს ზურგსუკან ათი სრული სეზონი აქვს, ოპერაცია კი შარშან, 16 აგვისტოს გაიკეთა.

## ევროლიგა. მერვედფინალი (ორ მოგებამდე)
### გადამწყვეტი მატჩები. 9 მარტი

| | |
|---|---|
| *ბარსელონა* | 2 |
| ულქერი | 1 |

ბარსელონა 86:65 ულქერი

ბარსელონა: ალსტონი (17), დე ლა ფუენტე, დიგბო (6), ელსონი (7), გასოლი (6), გოლდვაიერი (11), გუროვიჩი (13), ნავარო (13), რენციასი (5), როდრიგესი (8)

ულქერი: ალენი (12), აიდინი, ერდენაი (15), გონლუმი, კოტუროვიჩი (2), ოზთურქი, პოუპი (11), სარიჯა (20), ტოშსავალი, ილდირიმი (5)

| | |
|---|---|
| ცსკა | 1 |
| *ციბონა* | 2 |

ცსკა 69:78 ციბონა

ცსკა: ალანოვიჩი (5), დაინეკო (4), ეინიკისი (6), კარასიოვი (10), კირილენკო (9), კუდელინი (10), პანოვი (16), სკილინი (9), ტიხონენკო, ვეტრა

ციბონა: ალიჰოჯიჩი, ბეიკერი, გირიჩეკი (4), კრსტიჩი (10), მარცელიჩი (2), ნიჩევიჩი (8), პრკაჩინი (27), სესარი (12), ი. ვრანკოვიჩი (10), ზურიჩი (5)

| | |
|---|---|
| *მაკაბი* | 2 |
| პაოკ | 1 |

მაკაბი 78:62 პაოკ

მაკაბი: ბრისკერი (1), კომეგისი, ჰენფელდი (10), ჰაფმანი (12), ჯამჩი (4), მაკდონალდი (18), პოპა (8), შარფი (1), შეფერი (21), შელეფი (3)

პაოკ: ალექსანდერი (9), ანგელიდისი, ბალოიანისი (5), ბაზარევიჩი (3), კოლდებელა (5), ვ. ედვარდსი (17), გიანოულისი (3), მასლარინოსი (8), ნიკოლაიდისი (6), პერალი (6)

| | |
|---|---|
| *ოლიმპია* | 2 |
| ოლიმპიაკოსი | 1 |

ოლიმპია 85:67 ოლიმპიაკოსი

ოლიმპია: ბეკიროვიჩი (3), ბრეჟეცი (3), დუშჩაკი, გოლემაცი (16), იასიკევიჩუსი (30), კოტნიკი (2), მილაჩიჩი, მილიჩი (17), პარავინია (2), ზდოვცი (12)

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (3), დე მიგელი (4), ტ. ედვარდსი (9), გრანტი (9), პაპანიკოლაუ (5), რობინსონი (25), სულისი, ტარლაჩი (9), ტომიჩი (3), დუშან ვუკჩევიჩი

| | |
|---|---|
| *პანათინაიკოსი* | 2 |
| ბუდუჩნოსტი | 1 |

პანათინაიკოსი 78:61 ბუდუჩნოსტი

პანათინაიკოსი: ბოდიროგა (12), ბუდურისი, ბერკი (4), ფოცისი, ჯენტილე (7), კალაიძისი, კატაში (24), კოხი, რებრაჩა (14), როჯერსი (17)

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი, ბულატოვიჩი, კუზმანოვიჩი (5), პაიოვიჩი (2), რადონიჩი, შჩეპანოვიჩი (14), შეკულიჩი, ტომაშევიჩი (16), ტოპიჩი (12), ვუკჩევიჩი (12)

| | |
|---|---|
| *ეფესი* | 2 |
| ალბა | 0 |

| | |
|---|---|
| *ფორტიტუდო* | 2 |
| ბენეტონი | 0 |

| | |
|---|---|
| *ვილერბანი* | 2 |
| რეალი | 0 |

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში*

### მეოთხედფინალი. ორ მოგებამდე. 21-23 მარტი

*თუ საჭირო გახდა, გადამწყვეტი მატჩი გაიმართება 30 მარტს*

ეფესი (თურქეთი) — ვილერბანი (საფრანგეთი)

ბარსელონა (ესპანეთი) — ოლიმპია (სლოვენია)

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ციბონა (ხორვატია)

მაკაბი (ისრაელი) — ფორტიტუდო (იტალია)

*პირველი და გადამწყვეტი მატჩები გაიმართება წყვილში პირველად დასახელებული გუნდის მოედანზე*




REUTERS ლიუბლიანიდან

ოლიმპია — ოლიმპიაკოსი 85:67. მეტოქეთაგან საუკეთესონი: ოლიმპიაკოსელი ჯეიმს რობინსონი (№8) და შარუნას იასიკევიჩუსი



# ხალიფმანი: გმირი და ანტიგმირი




სამშაბათს „სარბიელი“ ბოლო ინფორმაციას მოგაწვდით ლინარესის წლევანდელი სუპერტურნირის შესახებ და ამით დასრულდება ამ გრანდიოზული საჭადრაკო სანახაობის აღწერა, ორი კვირის მანძილზე რომ აფორიაქებდა საჭადრაკო მსოფლიოს. მე-8 და მე-9 ტურები ჩინებული გამოდგა. საყაიმო პაუზის შემდეგ მოჭადრაკეებმა კვლავ აიწყვიტეს და ბევრ პარტიაში ფიცხელი ბრძოლის მომსწრენი გავხდით. შედეგებიც მრავალფეროვანი იყო. მაგალითად, თუ მე-8 ტურის გმირი ალექსანდრ ხალიფმანი გახდა, მომდევნო ტურმა ფიდეს ჩემპიონი უკვე ანტიგმირად აქცია. პეტერბურგელმა დიდოსტატმა ჯერ ლეკოს მოუგო და ამით დაამხო მისი მისწრაფება, ლინარესის ათყაიმიანი რეკორდი დაემყარებინა. ხალიფმანის თეთრი ფიგურების გააფრთებული შეტევა ლაზიერის ფრთაზე ხარისხის სუფთად მოგებით დაგვირგვინდა. მატერიალური უპირატესობა ენდშპილში სულ იოლად გადავიდა ხარისხობრივში და ხალიფმანს ქულა და ცხრილში წინ გაჭრაც ერგო, თუმცა უკვე მომდევნო ტურში მუხრუჭები ამოქმედდა ვიშვანათან ანანდის გამოღვიძების გამო. ვიში მხოლოდ მე-9 ტურში დაემსგავსა საკუთარ თავს, როცა ფიდეს ჩემპიონს გულგრილი თამაშით მოუგო. არადა, ხალიფმანი ბრძოლის სურვილით იყო ანთებული, მისი შავი ფიგურები, ერთად თუ ცალ-ცალკე, პარტიზანულ რეიდებს აწყობდნენ თეთრების პოზიციაზე. იყო მომენტი, როცა ჩანდა, რომ რუსის ავანტურა შედეგს გამოიღებდა, მაგრამ პარტიის პოზიციური ფუნდამენტი მუდმივად ეპყრა ინდოელს, მწყობრად დარაზმული თეთრი პაიკები ჯიუტად მიიწევდნენ მერვე ჰორიზონტალისკენ და ბოლოს ხალიფმანი გატყდა. შედეგი კი ის გახლავთ, რომ ლინარესში აუტსაიდერი აღარ დარჩა. თუ სატურნირო ცხრილს გადავავლებთ თვალს, უფრო მნიშვნელოვან ფაქტს აღმოვაჩენთ: მოთამაშეები ორ უთანაბრო ჯგუფად დაიყვნენ. წინ გაჭრილან გარი კასპაროვი და ვლადიმერ კრამნიკი, ხოლო დანარჩენები მათი დამწევები უკვე აღარ არიან, რაც უპირველესად კრამნიკის აღზევების მაჩვენებელია. მიუხედავად იმისა, თუ როგორ დასრულდება ტურნირი, ჭადრაკის გურმანები უკვე მყარად იტყვიან, რომ მსოფლიოს ჭადრაკში მეორე მოჭადრაკის ადგილი კრამნიკმა ანანდს წაართვა. ამის მყარი საფუძველი არსებობს, თუნდაც განვლილი ტურნირებისა და ლინარესში კრამნიკის თამაშის სახით. მისი სტრატეგია — ყოველგვარ ზედმეტობას მოკლებული საიმედო თამაში, რომელიც უფრო მეტოქის უხეირობაზეა გათვლილი, ვიდრე საკუთარი რისკის უნარზე, ჯერჯერობით სავსებით ამართლებს. კრამნიკი თითქმის არ შეხვედრილა ისეთ სიტუაციაში, როცა თამაშის სადავეებს ხელიდან გაუშვებდა და წაგების პირას დადგებოდა. საერთოდ არ გაუკეთებია შეწირვები, ვთქვათ, ინიციატივისთვის საბრძოლველად. თამაშობდა ფრთხილად და ტურიდან ტურამდე სულ უფრო და უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა. მე-8 ტურში კრამნიკი თეთრებით კასპაროვს შეხვდა და გვარიანად მოუშალა ნერვები. ლამაზი ტაქტიკური ბრძოლის შემდეგ კრამნიკს ორი ეტლი და მხედარი შერჩა მეტოქის ლაზიერისა და პაიკის წინააღმდეგ, მაგრამ ექსბაქოელმა რაღაც სასწაულით მუდმივი ქიში გაახერხა და ნახევარი ქულაც. კრამნიკის მომდევნო მეტოქე ალექსეი შიროვი იყო და პრინციპული მტრის წინააღმდეგ შავებითაც ინიციატივა მოიპოვა. საკმარისი იყო, შიროვს ფეხი წაბორძიკებოდა და შავები მის მეფეს გადაყლაპავდნენ, მაგრამ ექსრიგელის ნახევარი ქულაც გადარჩა. ერთი სიტყვით, კრამნიკმა ლინარესში შთაბეჭდილება მოახდინა, უპირველეს ყოვლისა, როგორც სოლიდურმა მოთამაშემ, რასაც ვერ ვიტყვით კასპაროვზე, რომელიც რამდენიმე პარტიაში ძლივს გადაურჩა წაგებას. ერთი მაგალითი მოვიყვანეთ და აგერ პიტერ ლეკოსთან მისი პარტიაც: რაც უნგრელი ელიტას გაუშინაურდა, საბჭოს ჩემპონს მისთვის ერთხელაც არ მოუგია და ეს ვერც მე-9 ტურში შეძლო. ის კი არა, მე-20 სვლაზე შეცდა და თეთრებს სასწრაფოდ სამოიდე სვლის შემდეგ შეცდომითვე რომ არ ეპასუხათ, გარის ცუდად ჰქონდა საქმე. ლეკოს უპირატესობა ნაწილობრივ შემდგომშიც ძალაში დარჩა, მაგრამ უნგრელს მოსაგებლად ბევრი არ უმოძრავია, 37-ე სვლაზე გააფორმა ყაიმი. ორ ტურში გათამაშებული ექვსი პარტიიდან ერთადერთი უფერული მე-8 ტურში შიროვისა და ანანდის შეხვედრა გამოდგა, რომელშიც მხარეებმა დებიუტი უნაკლოდ გაითამაშეს, მცირედი შეცდომაც არსად დაუშვეს და 23-ე სვლაზე მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს.

**დავით გულუა**

### VIII ტური

ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — გარი კასპაროვი (რუსეთი) — 0,5:0,5
ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) — 1:0
ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — 0,5:0,5

### IX ტური

ლეკო — კასპაროვი — 0,5:0,5
შიროვი — კრამნიკი — 0,5:0,5
ანანდი — ხალიფმანი — 1:0

### სატურნირო ვითარება

1-2 კასპაროვი, კრამნიკი — 5,5; 3-6 ანანდი, შიროვი, ლეკო, ხალიფმანი — 4.



# პრინცი და მხეცი

ბობოქარი ბრიტი ჩემპიონი, პრინც ნასიმ ჰამედი ამ შაბათს ძვირფასი ორგანიზაციის (ვბო) 126-გირვანქიანი დივიზიონის ქამარს დაიცავს ეპირება. მისი მეტოქე მეტად კარგი სამხრეთაფრიკელი მოკრივე ვუიანი ბუნგუ იქნება. ჰამედს თავის პატივად მიაჩნია ორგანიზაციის ტიტულის დაცვა, ამის გამო ამერიკაში სესარ სოტოსთვის ართმეული საბჭოს (ვბკ) ქამარიც კი დათმო: რახან ამერიკელები ჯიუტად არ სცნობენ ორგანიზაციას და მის წესებს, მოსთხოვეს კიდეც ჰამედს, თუ კიდევ გააგრძელებ მაგ ვერსიით ჩხუბს, ჩვენი ქამარი დაგვიბრუნეო.

ვუიანი ბუნგუ ლატაკ ისტ-ლონდონის გარეუბან მდანსტანეს მკვიდრია. იქ ბავშვთა საკრივო სკოლა აქვს და მეტად პოპულარული, სილატაკიდან ამოზრდილი კაცია. ნასიმ ჰამედი ულირსად იქცევა, როცა ბუნგუს წარმომავლობას აქილიკებს.

„ჩემთვის გასაგებია მაგ კაცის მოტივაცია“, ამბობს ნასიმი, „ეგ ისეთი ადგილიდან არის, სკოლაში რომ ჯიბით დააქვთ საჭმელი, თუ რა თქმა უნდა აქვთ. მე ნოკაუტით მოვიგებ. მისთვის ეს ბრძოლა ცხოვრების საქმეა, ჩემთვის რიგითი შეხვედრა“. ნასიმ ჰამედი „ფერარის“ დააქროლებს და მილიონერის წესებით ცხოვრობს. ბუნგუ ასეთი არ არის, თუმც შთამბეჭდავია, რომ კარიერაში მხოლოდ ორჯერ წაუგია და ბოლოს რვა წლის წინათ მეტსახელად „მხეცი“ შეურქმევიათ და ნასიმთან ბრძოლას ცხოვრების შანსად ალიქვამს.

ასე რომ, ბრძოლა ფიცხელი იქნება. ყოველთვის ასეა, როცა ორი სამყარო ეჯახება ერთმანეთს.




ღარიბი და მდიდარი: ვუიანი ბუნგუ და ნასიმ ჰამედი

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

# სლალომი წვიმიან ღამეს


REUTERS

ცნობილ ავსტრიელთა მარაქაში ოცი წლის მარიო მატიც გაერია

20000 მაყურებლის აპლოდისმენტების თანხლებით გაიმარჯვა გუშინ მამაკაცთა მსოფლიოს თასის ღამის სლალომზე ავსტრიელმა მარიო მატმა, ხოლო ამდენი ხალხის მხარდაჭერა 20 წლის მოთხილამურემ იმიტომ დაიმსახურა, რომ მათი თანამემამულეა. თავად სრიალი კი ავსტრიულ შლადმინგში გაიმართა. შტირიის პროვინციას ბოლო დღეებში გაზაფხული ერთობ მოეძალა, ზედ შეჯიბრების დაწყების წინ ისეთი 24-საათიანი ჟუჟუნა წვიმა წამოვიდა, კინაღამ თოვლის სახსენებელი გაწყვიტა იმ არემარეში. ორგანიზატორებმა ივარგეს, ქიმიის თანამედროვე მიღწევებით გამომუშავებული საჭირო საშუალებები მოიშველიეს და მესლალომეებს ფეხქვეშ სულ ფაფუკი თოვლი მოუფინეს. ამათაც ერთხმად აღიარეს, ტრასა კარგი იყო და არაფერს შევუწუხებივართო. მატმა კი, როგორც გამარჯვებულმა, ჟურნალისტებს ერთი-ორი კიდევ უთხრა, თუმცა არაფერი ისეთი, რაც მის წინამორბედებს არ უთქვამთ.

ბედნიერი ვარ, ენით გამოუთქმელი შეგრძნებაა, როცა ამდენი ხალხის თვალწინ იმარჯვებო, დაახლოებით ასე ჟღერდა ახალგაზრდა ავსტრიელის კომენტარები.

მარიო მატზე მეტი ინტერესით შლადმინგში ნორვეგიელი კეტილ ანდრე ამოდტის სრიალს ელოდნენ, რახან იგი სლალომის საერთო ჩათვლის ლიდერი იყო. სკანდინაველს ურიგოდ არ უასპარეზია, მეოთხე ადგილზე გავიდა და ახლა სლალომის სეზონის ფინიშის სწორზე ერთადერთი სლოვენი მათიას ვროვნიკი შერჩა მეტოქედ, თუმცა იმასაც 80 ქულით უსწრებს. რა უნდა მოხდეს მომავალ კვირას იტალიურ ბორმიოში ისეთი, ვროვნიკი ამოდტს რომ დაეწიოს? პროგნოზებთან უკაცრავად კი გახლავართ, მაგრამ გავბედავთ და ამოდტს ბორმიოს ეტაპამდე გამოვაცხადებთ წლეულს მსოფლიოს ნომერ პირველ მესლალომედ.

ახლა კი მცირე ხნით იტალიაში გადავიდეთ, სადაც მესლალომე ქალები პაექრობდნენ. გაიმარჯვა ამერიკელმა კრისტინა კოზნიკმა, ხოლო შემდეგი ადგილები ფრანგმა კრისტელ საიონიმ და სლოვენმა სპელა პრეტნარმა დაიკავეს. სლალომისტთა საერთო ჩათვლას სწორედ ეს უკანასკნელი ლიდერობს.

**დავით გულუა**



# პინგვინები აყროლდნენ

9 მარტი

**ოტავა — პიტსბურგი 7:0**

2:0 3:0 2:0

1:0 სალო 13'56 (4); 2:0 მაკიჩერნი 17'44 (25), 3:0 ალფრედსონი 24'47 (14); 4:0 დაკელი 32'04 (6); 5:0 პროსპალი 38'54 (21); 6:0 მაკიჩერნი 44'21 (26), 7:0 ჰოსა 45'50 (27)

**ლოს ანჯელესი — რეინჯერსი 3:1**

0:1 1:0 2:0

0:1 იორკი 10'17 (22); 1:1 შტუმპელი 37'36 (13); 2:1 შტუმპელი 44'03 (14); 3:1 მოდინი 59'58 (18)

**ფილადელფია — ვაშინგტონი 3:1**

0:1 1:0 2:0

0:1 საიმონი 12'03 (23); 1:1 ტოკეტი 37'16 (13); 2:1 ოჯიკი 42'45 (7); 3:1 ლინდროსი 55'00 (27)

**სენტ ლუისი — ვანკუვერი 2:2**

0:0 2:0 0:2 0:0

1:0 ნეში 33'45 (4); 2:0 ისტვუდი 37'58 (17); 2:1 ნესლუნდი 43'18 (21); 2:2 მოგილნი 54'05 (20)

**კალგარი — ტორონტო 2:6**

1:1 1:5 0:0

0:1 დომი 3'58 (5); 1:1 მორისი 8'51 (9); 1:2 ჰოგლუნდი 20'36 (27); 1:3 ტომასი 23'14 (18); 1:4 პერონი 29'00 (14); 1:5 სუნდინი 30'26 (29); 2:5 უიმერი 34'24 (10); 2:6 ბერეზინი 38'14 (19)

**ფინიქსი — აილენდერსი 5:0**

2:0 2:0 1:0

1:0 რენიკი 3'28 (31); 2:0 დოუნი 7'58 (22); 3:0 დრეიკი 30'48 (12); 4:0 ლეტოვსკი 39'26 (14); 5:0 გრინი 49'05 (21)

ფილადელფიის გენერალური მენეჯერი ბობი კლარკი როგორც იქნა, კმაყოფილი დარჩა. უკანასკნელი წლების განმავლობაში „მფრინავთა" ხელმძღვანელობამ უამრავი გაცვლა განახორციელა, მაგრამ სასურველ ეფექტს ვერ მიაღწია, მაგრამ კლარკის მიერ ამჯერად შესრულებულმა ორმა ტრეიტმა, ეტყობა, კარგი ნაყოფი უნდა გამოიღოს, რისი დასტურიც ფილადელფიელთა მორიგი მატჩი გახლდათ.

ხუთშაბათს „მფრინავები" ათამაშებულ ვაშინგტონს მასპინძლობდნენ, რომელიც ბოლო ექვს მატჩში წაუგებლად ასპარეზობდა და ახალი წლის შემდეგ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლავთ. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს და ლამის ორი პერიოდი თამაში თვითონ მიჰყავდათ. მერე კი ლიდერობა მატჩამდე ერთი დღით ადრე ფინიქსიდან შეძენილმა რიკ ტოკეტმა ითავა. ფილადელფიაში 8 წლის შემდეგ დაბრუნებულმა ვეტერანმა ორი ძალისმიერი ილეთით ტრიბუნები ალტაცებაში მოიყვანა და ქომაგთა შეძახილებით გამხნევებულმა მასპინძლებმაც დაიწყეს. ამის შემდეგ ვაშინგტონმა მეტოქეთა ერთ-ერთი შეტევა წესის დარღვევით შეაჩერა. ყინულზე გასულმა „მფრინავთა" რიცხვმრავლობის ბრიგადამ სწრაფი კომბინაცია გაითამაშა და ვალერი ზელეპუკინის დარტყმის შემდეგ დამატებაზე ყველაზე სხარტი ტოკეტი აღმოჩნდა. მესამე პერიოდის მესამე წუთზე კიდევ ერთი ახალწვეული, ჯინო ოჯიკი გამოირჩა. ბოლოს კი ახალი პარტნიორების თავგამოდებით წაქეზებულმა „მფრინავთა" ლიდერებმა — ერიკ ლინდროსმა და მარკ რეკიმ გაითამაშეს კარგი კომბინაცია და მატჩის ბედიც გადაწყვიტეს.

საერთოდ „დედლაინამდე", ანუ გაცვლის ბოლო ვადამდე, რომელიც 14 მარტს იწურება, გადასვლები მთავარი თემაა. ჯერ ერთი, გუნდები ბოლო დღეს არ უცდიან და ერთი კვირით ადრე ენერგიულად იწყებენ საქმეს. არც ტრეიდებში მონაწილენი ყოყმანობენ. მაგალითად, ფინიქსმა ერთბაშად ორი ცნობილი მოთამაშე შეიძინა. ტოკეტზე გაცვლილმა მიქაელ რენბერგმა ჯერემი რენიკის (1+1) წამყვან სამეულში მიიღო ადგილი. ტრიო უკვე თავის მეორე ცვლაში გამოირჩა და შემდეგაც ერთობ აქტიურობდა. ექსნიუჯერსელმა მცველმა, გამოცდილმა ლაიდ ოდელეინმა კი დაცვაში დაამყარა წესრიგი და, რენბერგის დარად, ერთი პასი მიითვალა. „კოიოტებმაც" წინა მატჩებისგან სრულიად განსხვავებული ჰოკეი აჩვენეს — აილენდერსს უპრობლემოდ გაუმკლავდნენ.

კალგარის რიგებშიც სულ ახლახან ფილადელფიაში შეძენილი ფორვარდი მარკ ბიურო გამოირჩეოდა, მაგრამ მის პარტნიორებს კოლორადოსთან განადგურების შემდეგ (3:8) ძალა აღარ ეყოთ და ტორონტოს მხოლოდ ერთ პერიოდში გაუწიეს წინააღმდეგობა, შემდეგ კი 10 წუთში ოთხი უპასუხო გოლი გაუშვეს.

ზედიზედ მეორედ დამარცხდა პიტსბურგიც. „პინგვინთა" გონებამახვილმა მცველმა, დარიუს კასპარაიტისმა თქვა, დღეს არ ვთამაშობდით, ვყარდითო. მათ მართლაც უნიათოდ იასპარეზეს. ეს განსაკუთრებით შეტევის ხაზზე ითქმის, რომელიც თავის საქმეს არ აკეთებდა და ოტაველთა მცველებსაც გაუხსნეს ხელ-ფეხი. „სენატორებმა" წაუგებელი სერია 7 მატჩამდე გაზარდეს (+5+0-2) და კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი სხვაობით გაიმარჯვეს.

აი, ვანკუვერი კი, რომც ვერ გავიდეს პლეი ოფში, ქებას მაინც იმსახურებს, რადგან ყველა მატჩში ბოლომდე იბრძვის და უიმედო მდგომარეობაშიც კი გამოსავალს ეძებს. ზედიზედ მეორედ, ამჯერად დასავლეთის ლიდერ სენტ ლუისთან პაექრობაში დაფარეს კანადელებმა ორშაიბიანი დეფიციტი, ოვერტაიმში კი მეკარე გარტ სნოუმ კვლავ იხსნა თანაგუნდელები. თუმც სტუმრებმა ანგარიში მეტად კურიოზულად გაქვითეს. ერთ-ერთ თანამსაჯს, დენ მაკურტს ციგურა წაძვრა, წაიბორძიკა და სენტლუისელი მცველი ჯეფ ფინლი წააქცია. ამით ალექსანდრ მოგილნის კარისკენ გზა გაეხსნა და რუსმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. სენტლუისელთა მცველმა ელ მაკინისმა კი კარიერაში მე-800 პასი მიითვალა.

ასევე საიუბილეო, მე-500 პასი გააკეთა ლოს ანჯელესის ლიდერმა, ლუკ რობიტაილმა. იოზეფ შტუმპელმა ორივე შაიბა მისი დახმარებით შეაგდო.

... ამასობაში გუშინ კიდევ რამდენიმე ტრეიდი განხორციელდა, რომელთაგან ორს გამოვარჩევთ. ერთი გაცვლა ედმონტონსა და მონრეალს შორის მოხდა. ამ გუნდებმა ბოლო ხანს საგრძნობლად გამოასწორეს ვითარება და ამ ნაბიჯით ახლა სუსტი რგოლების გაძლიერებას აპირებენ. ედმონტონში ხისტი და, როგორც ამერიკელები ამბობენ, „STAY AT HOME" (თავის ზონაში ჩაკეტილი) მცველი იგორ ულანოვი გადავიდა. 30 წლის იგორი, რომელმაც 9 წლის განმავლობაში აგერ უკვე მე-6 კლუბი გამოიცვალა, წლეულს ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას სათამაშო დროის სიმცირის გამო. იგი რუსთაგან ლამის ერთადერთია, ვინც პოლიციურ ფუნქციებს წარმატებით ასრულებს. ულანოვის ნაცვლად მონრეალში 23 წლის პერსპექტიული მცველი, კრისტიან ლაფლამი გადავიდა.

ტამპასა და ბუფალოს შორის მომხდარი გაცვლის გმირი კი კრის გრეტონია. მიუხედავად იმისა, რომ გრეტონმა ვერ შეძლო იმის გაკეთება, რასაც მისგან მოელოდნენ, წლეულს ტამპაში მეორედ მისვლის შემდეგ ერთობ მაღალ დონეზე თამაშობს. „ელვების" კაპიტანი 41 (14+27) ქულით კლუბში მესამე ადგილზე იყო, ამიტომაც ბუფალო მასზე დიდ იმედებს ამყარებს. ფიზიკური მონაცემებითა და სათამაშო სტილით ერიკ ლინდროსის მსგავსი გრეტონი წესით აგრესიულ „ხმლებს" მართლაც უნდა გამოადგეს. მის შესაძენად ბუფალომ ორი ფორვარდი — ბრაიან ჰოლცინგერი და უეინ პრიმო (კეიტ პრიმოს ძმა), მცველი კორი სარიჩი და დრაფტში არჩევის უფლება არ დაზოგა.

**სამველ ლარიბიანი**

## სატურნირო ვითარება

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 67 | 38 | 8 | 5 | 21 | 202:162 | 89 |
| ტორონტო | 68 | 38 | 7 | 3 | 23 | 209:178 | 86 |
| ვაშინგტონი | 68 | 35 | 11 | 1 | 22 | 181:161 | 82 |
| ფილადელფია | 67 | 36 | 11 | 2 | 20 | 196:152 | 85 |
| ოტავა | 67 | 34 | 11 | 2 | 22 | 200:168 | 81 |
| ფლორიდა | 67 | 35 | 5 | 5 | 27 | 198:166 | 80 |
| რეინჯერსი | 69 | 28 | 10 | 3 | 31 | 193:193 | 69 |
| მონრეალი | 67 | 29 | 7 | 3 | 31 | 158:155 | 68 |
| პიტსბურგი | 67 | 27 | 8 | 6 | 32 | 192:199 | 68 |
| კაროლინა | 67 | 29 | 9 | 0 | 29 | 177:184 | 67 |
| ბუფალო | 68 | 27 | 10 | 2 | 31 | 168:174 | 66 |
| ბოსტონი | 67 | 19 | 17 | 5 | 31 | 165:198 | 60 |
| აილენდერსი | 67 | 19 | 8 | 1 | 40 | 155:221 | 47 |
| ტამპა | 65 | 15 | 7 | 7 | 43 | 163:245 | 44 |
| ატლანტა | 65 | 12 | 6 | 4 | 47 | 140:242 | 34 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 67 | 43 | 8 | 0 | 16 | 207:135 | 94 |
| დალასი | 67 | 36 | 7 | 3 | 24 | 166:147 | 82 |
| კოლორადო | 68 | 31 | 10 | 1 | 27 | 191:174 | 73 |
| დეტროიტი | 68 | 40 | 8 | 1 | 20 | 226:175 | 89 |
| ფინიქსი | 67 | 34 | 7 | 1 | 26 | 197:184 | 76 |
| ლოს ანჯელესი | 67 | 32 | 8 | 3 | 27 | 211:195 | 75 |
| ედმონტონი | 67 | 25 | 15 | 8 | 27 | 185:175 | 73 |
| სან ხოსე | 69 | 28 | 9 | 7 | 32 | 187:179 | 72 |
| კალგარი | 68 | 28 | 8 | 5 | 32 | 181:211 | 69 |
| ანაჰაიმი | 68 | 28 | 10 | 2 | 30 | 180:189 | 68 |
| ვანკუვერი | 68 | 23 | 14 | 7 | 31 | 179:198 | 67 |
| ნეშვილი | 67 | 23 | 6 | 6 | 38 | 170:198 | 58 |
| ჩიკაგო | 67 | 24 | 7 | 2 | 36 | 195:214 | 57 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 85 (37+48); რეკი (ფილადელფია) 80 (24+56); ნოლანი (სან ხოსე) 78 (40+38); პ.ბურე (ფლორიდა) 72 (45+27); პ. კარია (ანაჰაიმი) 70 (35+35); ამონტე (ჩიკაგო) 70 (34+36); რენიკი (ფინიქსი) 70 (31+39); ვ. ბურე (კალგარი) 69 (35+34); დემიტრა (სენტ ლუისი) 68 (26+42); ლეკლერი (ფილადელფია) 67 (34+33); მოდანო (დალასი) 66 (31+35); აიზერმანი 65 (28+37), შენაჰანი (ორივე დეტროიტი) 64 (35+29); რობიტაილი 64 (33+31); პალფი (ორივე ლოს ანჯელესი) 64 (25+39); სელიანე (ანაჰაიმი) 63 (26+37); ნედველი (რეინჯერსი) 63 (22+41)*

*მცველები: ლიდსტრიომი (დეტროიტი) 53 (17+36); რ. ბლეიკი (ლოს ანჯელესი) 49 (16+33); დეჟარდენი (ფილადელფია) 48 (13+35); პრონგერი (სენტ ლუისი) 48 (10+38); ოზოლინში (კოლორადო) 47 (16+31); ჰაუსლი (კალგარი) 47 (10+37); გონჩარი (ვაშინგტონი) 43 (15+28); ტვერდოვსკი (ანაჰაიმი) 42 (11+31); შვეჰლა (ფლორიდა) 41 (9+32); ბურკი (კოლორადო) 39 (10+29)*

*ახალბედები: გომესი (ნიუ ჯერსი) 52 (10+42); ტანგეი (კოლორადო) 46 (14+32); მ. იორკი 43 (22+21); ჰლავაჩი (ორივე — რეინჯერსი) 39 (18+21); განი (ფილადელფია) 37 (15+22); ლეტოვსკი (ფინიქსი) 31 (14+17); სტიუარტი (სან ხოსე) 31 (9+22); რაფალსკი (ნიუ ჯერსი) 29 (4+25); მოროუ (დალასი) და აფინოგენოვი (ბუფალო) 26 (13+13); ჰეხტი (სენტ ლუისი) 26 (8+18)*


REUTERS

პიტსბურგელთა მეკარის სებასტიან ობინის კარში გატანილი შვიდი გოლიდან ორი შონ მაკიჩერნის ანგარიშზეა

### გერმანია

XXIV ტური

უნტერჰახინგი 1:2 ლაუტერნი

0:1 კობი (11), 0:2 ბუკი (16), 1:2 ბრაიტენრაიტერი (86)

შტუტგარტი 0:2 აინტრახტი

0:1 იანგი (60), 0:2 გებჰარტი (80)

მეორე ბუნდესლიგა

XXII ტური

გლადბახი 2:1 ზტ. პაული

ნიურნბერგი 1:1 კოტბუსი

მაინცი 5:0 ქემნიცი

### ინგლისი

III დივიზიონი. XXXVI ტური

სუონსი 4:1 ნორთჰემპტონი

### ჰოლანდია

XXV ტური

ალკმაარი 4:0 ვალვაიკი

ნაიმეგენი 1:2 სიტარდი

### შვეიცარია

I ტური

გრასჰოპერი 4:4 სენტ გალენი

### იტალია

სერია B. XXVI ტური

ტრევიზო 2:2 პესკარა

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXIX ტური

ლილი 3:2 კაენი

### ბელგია

XXVI ტური

გენტი 2:0 ბრიუგე

### ჩეხეთი

XX ტური

ტეპლიცე 3:0 ბუდეოვიცე

### თურქეთი

XXIV ტური

ტრაბზონი 2:0 ერზურუმი

### ავსტრია

XXIV ტური

შტურმი 6:1 გრაცერი



REUTERS ლოს ვეგასიდან

# ახალი ალი

მალე ჰოლივუდში, „კოლამბია ფიქჩერზის" სტუდიაში განთქმული რეჟისორი მაიკლ მანი გადაღებას შეუდგება. ფილმს „ალი" ერქმევა და ლეგენდარული ჩემპიონის ცხოვრებას გადაგვიშლის თვალწინ. „ალი" გაის ამდროს გამოვა ეკრანებზე, მოკრივის როლს კი უპოპულარულესი მომღერალი და მსახიობი უილ სმითი შეასრულებს. თავად ალიც გახარებულია, უთქვამს, მისტერ მანი საინტერესოდ ხედავს ჩემს განვლილ ცხოვრებასო.



REUTERS მელბურნიდან

# მელბურნის გზებზე

ფორმულა ისეთი რამ არის, მანქანალაც კი არ არის მანქანალა. აი, რა ამბავია „ეროუზის" გუნდის საჯინიბოში. გუნდის სასპონსორო საქმეთა მენეჯერი ელენ ბერგოლდი (მარცხნივ) მელბურნელ მოდელ სენდი ალენს მიუძღვის, რათა იქ ფოტოაპარატების ჩხაკუნი ატყდეს.



REUTERS გვადალუპედან

# გვადალუპე

ფრანგთა პრეზიდენტი ჟაკ შირაკი თავისი ქვეყნის ვესტინდურ სამფლობელოებში მოგზაურობს. გვადალუპეზე, ბას ტერეში, ის კალათბურთს წაეთამაშა იქაურ ბიჭებს. ასეა, ქვეშევრდომებს უნდა გაეთამაშო.

# კრიკეტის ცეკვები

კრიკეტი კაი გრძელი თამაშია, შესვენებებიც გვარიანი აქვს. „ლანჩთაიმის" შესვენება უძველეს დროიდან მოჰყვება, ანუ მაშინდლიდან, როცა მოთამაშენი და მაყურებლები გვარიანად გამოძღებოდნენ და მერე გააგრძელებდნენ კრიკეტს. ეს ადათი ერთგვარად შემორჩა კრიკეტს და თუ მისი მონაწილენი და მაცქერალნი სავალდებულო ჩაის არ მიირთმევენ და ტრიბუნებზე რჩებიან, ერთ კარგა გვარიან შოუსაც გამოჰკრავენ ხელს. ვთქვათ, ინდურ ცეკვას, იქაური ტურფანი რომ ასრულებენ თანამემამულეთა და სამხრეთაფრიკელთა შეხვედრის „ლანჩთაიმ ინთერვალის" დროს.



REUTERS კოჩინიდან

# ციყვი აირჩიეს



REUTERS კუალა ლუმპურიდან

გაისად, მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თამაშები უნდა ჩატარდეს. მრავალმხრივ შეჯიბრს თილისმად იქაური ციყვი „სი ტუმასი" დაუდგინეს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური თამაშები უკვე ოცდამეერთედ ტარდება. „სი ტუმასის" წარდგენამ ხალხი გაახალისა, ციყვი იქაურ ფოლკლორში ხალისიანი და ხუმარა ვინმე ყოფილა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli